დატყვევებულ თურქულ გემს ჯარიმის გადახდა ელის A8

განათლება უცხოეთში B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 3 დეკემბერი, 2002 წელი. №184

ფასი 50 თეთრი

ბიბიენდი

გია ჭანტურია და ედ ჯონსონი საპარლამენტო მოსმენაზე.

ეკა კვესიტაძე

ნავთობსადენი და ბორჯომი ბოლო დღეების ყველაზე ემოციური განხილვების თემა გახდა. ხოლო, კვირა ღამით, გარემოს დაცვის სამინისტროში ავთანდილ ჯორბენაძის მოულოდნელ გამოჩენასა და გარემოს დაცვის მინისტრის კანცელარიაში გადაპატიჟებას, ამ თემის სრული მითოლოგიზირება მოჰყვა.

გუშინ სამი ფრაქციის – "დემოკრატების," "ახლებისა" და "ტრადიციონალისტების" სხდომაზე მიწვეულ ნინო ჩხობაძეს, ძირითადად, სამ კითხვაზე უწევდა პასუხის გაცემა - რატომ დაიბარეს კანცელარიაში ღამის სამ საათზე, იქ თავისი ნებით წავიდა თუ ძალით წაიყვანეს და რატომ შეცვალა ბოლო მომენტში პოზიცია, როცა მანამდე ამტკიცებდა, რომ ნავთობსადენის ბორჯომზე გავლას არ დაუშვებდა.

ამ ბრალდებების მიუხედავად, გუშინ გარემოს დაცვის მინისტრი ისევ კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ ნავთობსადენი ბორჯომზე ვერ გაივლის იმ სახით, რომლიც "ბი-პი"-მ წარმოადგინა.

გაგრძელება A3 გვერდზე

"გადაწყვეტილებას მე ვიღებ"...

თამარ ხორბალაძე

საქართველოს პრეზიდენტმა, მძიმე ღამისა და ნავთობსადენთან დაკავშირებით მიღებული არანაკლებ მძიმე გადაწყვეტილების შემდეგ, ორშაბათს ტრადიციული ბრიფინგის დაწყება ერთი საათით დაიგვიანა, ჟურნალისტების წინაშე გამოსულმა კი სცადა, მთლიანად ეტვირთა სახელისუფლებო გადაწყვეტილებების მიღების ტვირთი.

"გადაწყვეტილებას იღებს არა ნინო ჩხობაძე, არამედ საქართველოს პრე-ზი-დენ-ტი! მე არ გავურბივარ ამ პასუხისმგებლობას! იყო კამათიც, ნერვიულობაც იყო... მე მქონდა მორალური უფლება, რომ ჩავრეულიყავი..." - გაღიზიანებული გახლდათ გუშინ საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც იძულებული გახდა, საკუთარი პოზიცია ღიად დაეფიქსირებინა ნავთობსადენის მარშრუტის ბორჯომის ხეობაზე გავლის გარდაუვალობასთან დაკავშირებით.

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი ბევრს საუბრობდა იმაზე, რომ "ბი-პი"-მ უპრეცედენტო ვალდებულებები აიღო გარემოს დაცვასთან დაკავშირებით: **"მარტო ბიომრავალფეროვნების დაცვას 9 მილიონი დოლარი მოხმარდება. უსაფრთხოება ისე იქნება დაცული, ბომბდამშენების თავდასხმაც ვერაფერს დაუშავებს... შეიძლება მარშრუტებიც კი შეიცვალოს, თუ ასეთი აუცილებლობა დადგა..."** - აცხადებდა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ამ ნავთობსადენის საქართველოს ტერიტორიაზე გავლის საქმეში ჩაქცეულ სისხლს ახსენებდა სამწყოსს: **"მე სისხლი ჩავაქციე იმაში,**

გაგრძელება A2 გვერდზე

პოლიტიკა

ჩოქბაჭენი - კოლონიური მენტალიტეტით შეპყრობილთა პოზა

ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანაზე ატეხილი აურზაურით გაღიზიანებული ნავთობლობისტები ნამდვილ მისწრაფებას ვერ მალავდნენ: "ამ პროექტმა ხომ პური უნდა გვაჭამოს?" პასუხი კი ასეთი მიიღეს: "უბედურება ის არის, რომ პურის ჭამიდან ქაქის ჭამაზე გადასვლის მომენტი გვეპარება ხოლმე." ეწყინათ. ნიშანდობლივია. ყველაფერი თითქმის უცვლელი დარჩა.

A3

ეკონომიკა

კვირის ბოლოს მეცხრე ენერგობლოკი ამუშავდება

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ელექტროენერგიის ის რაოდენობა, რასაც თბილისი იღებს, საკმარისია ქალაქის ოცდაოთხსაათიანი მომარაგებისათვის.

A4

უცხოეთი

ერაყში ექსპერტთა მისია გრძელდება, ლონდონი ჰუსეინის წინააღმდეგ უკვე მეორე დოსიეს აქვეყნებს

საერთაშორისო ბრალდებები ერაყის მისამართით უფრო და უფრო ძლიერდება. ოფიციალური ლონდონი ერაყის პრეზიდენტის რეჟიმის შესახებ თავის რიგით მეორე დოსიეს აქვეყნებს.

A5

საზოგადოება

მერიას პირობის შესრულება უჭირს

მოვა ზამთარი და ნახავთ, რომ დაპირებას შევასრულებთო, აცხადებდა მერია. ზამთარიც მოვიდა, მაგრამ მერიამ პირობის შესრულება მხოლოდ დაიწყო. სკოლებსა და საბავშვო ბაღებში საწვავის შეტანა ჭიანურდება.

A6

სამართალი

ცხრა წლის წინ მოპარული უძვირფასესი ხატები საპატრიარქოს დაუბრუნდა

"წლების წინ ნაქურდალი დაუზიანებლად დავიბრუნეთ და დავაკავეთ ერთი პიროვნება", – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ჯაბა ჯანხოთელმა.

A7

ამინდი

თბილისი	6
ქუთაისი	16
ბათუმი	21
სოხუმი	18
ფოთი	19
თელავი	5
ზუგდიდი	18
გორი	6
ახმეტა	5
ჭიათურა	9
გაბრა	17
სამტრედია	17

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1600
ევრო	2.1429
გირვანქა სტერლინგი	3.3629
რუბლი	0.0678

75 პატარა ბალერინა

თამარ სუხიშვილი

ხალისიანი განწყობა გუშინ ოპერის თეატრის შესასვლელშივე იგრძნობოდა: ავტობუსის გაჩერებაზე იყიდებოდა ფერადი ბუშტები და ჭრელ-ჭრელი სათამაშოები, ისმოდა ბავშვების ჟრიამული. პატარები მოუთმენლად ელოდნენ სპექტაკლის დაწყებას, სპექტაკლისა, რომელიც ბევრს ერთხელ უკვე ნანახიც ჰქონდა, თბილისის კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდიამ ლეო დელიბის "კოპელია" ჯერ კიდევ გაზაფხულზე წარმოადგინა. მას შემდეგ, როგორც სტუდიის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მაკა მახარაძემ აღნიშნა, სპექტაკლში ბევრი არაფერი შეცვლილა, დადგმას მხოლოდ რამდენიმე, თითქმის უმნიშვნელო ქორეოგრაფიული თუ დეკორაციული დეტალი შეემატა.

გაგრძელება B2 გვერდზე

სცენა სპექტაკლიდან "კოპელია".

ლევან ხარბედიანის ფოტო

სტივენ მანი: აშშ იწონებს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას

"24 საათის" ექსკლუზიური ინტერვიუ აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველთან კასპიის რეგიონის საკითხებში

ჭოთა უტიაშვილი

- რა კომენტარს გაუკეთებდით საქართველოს მთავრობის გუშინდელ გადაწყვეტილებას?

- ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს ამ გადაწყვეტილებას. მიგვაჩნია, რომ ეს სწორი ნაბიჯია და იგი საქართველოს ინტერესებს შეესაბამება.

- მაშინ, რატომ გამოიწვია მან ასეთი აზრთა სხვადასხვაობა? და თანაც, რატომ აღმოჩნდა 17-კილომეტრიანი მონაკვეთი ასე პრინციპული საკითხი 1700-კილომეტრიანი მილსადენის მშენებლობისათვის?

- პრობლემას მთლიანობაში უნდა შეეხედოთ. 1700-კილომეტრიანი მილსადენი ვერ იმუშავებს, თუ მისი ერთი მეტრიც კი არ არის თავის ადგილზე. მე ვფიქრობ, პროცესი ისე მიმდინარეობს, როგორც დაგეგმილი იყო. გარკვეულ ეტაპზე განხილვაში ჩაერთო საზოგადოება, გაიმართა დებატები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამან პოზიტიური შედეგი მოიტანა. "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კონსორციუმმა" (ბტს) გეგმაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ახლა, ვფიქრობ, ყველა კმაყოფილი უნდა იყოს.

- მაგრამ ბევრი საქართველოში მაინც არ არის დარწმუნებული, რომ ბორჯომის ხეობა ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილი იყო ნავთობსადენისათვის. მით უმეტეს, რომ ახალქალაქის გავლით მისი მშენებლობა ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრირებას და მათთვის ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნას.

- ვფიქრობ, რომ "ბრიტიშ პეტროლიუმმა" ("ბი-პი"), პოზიციის შემუშავებისას, გაითვალისწინა ყველა ფაქტორი. მათ შორის ერთ-ერთი უსაფრთხოებაა.

გაგრძელება A2 გვერდზე

„იტერა" თანახმაა, საქართველო უწყვეტი გაზმომარაგებით უზრუნველყოს

საერთაშორისო კომპანია "იტერა ჰოლდინგის" პრეზიდენტი იგორ მაკაროვი მთელი დღის განმავლობაში მართავდა შეხვედრებს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და სახელმწიფო კანცელარიაში. მოლაპარაკებებზე, ძირითადად, სამი საკითხი განიხილებოდა: ზამთარში თბილისისათვის გაზის მიწოდება, "იტერასადმი" საქართველოს ვალების რესტრუქტურიზაცია და რუსთავის "აზოტის" "იტერასათვის" პირდაპირი წესით მიყიდვა. პირველ ორ საკითხზე შეთანხმება მიღწეულ იქნა; "იტერა" დათანხმდა უწყვეტ გაზმომარაგებასა და ვალების ეტაპობრივად გადახდას, რაც შეეხება "აზოტს," ამ საკითხზე მოლაპარაკებები გაგრძელდება.

სოფო კვინტრაძე

"იტერას" ხელმძღვანელთა ვიზიტის პარალელურად სახელმწიფო კანცელარიას ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაციაც ესტუმრა. კონგრესმენები ჯერ სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს შეხვდნენ, შემდეგ კი ქვეყნის პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. ორივე შეხვედრაზე ამერიკელებმა ცალსახად დააფიქსირეს აშშ-ს მთავრობის კეთილგანწყობა და მხარდაჭერა საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარების პროცესისადმი.

გაგრძელება A4 გვერდზე

ქართული რეფორმა სამხრეთკავკასიური განსჯის საგანი ხდება

საქართველოში სტუმრად მყოფი სომხეთისა და აზერბაიჯანის სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, საერთაშორისო ექსპერტთა მოთხოვნით, საქართველოს გამოცდილების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოსაზრებებს ისმენენ; თუმცა, ბევრ რამეში არ ეთანხმებიან.

სოფიკო ჩხაიძე

უცხოელ ექსპერტთა საერთო აზრით, საქართველოში წარმატებით განხორციელებული სასამართლო რეფორმა უნდა გაითვალისწინონ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა, განსაკუთრებით, ახლო მეზობლებმა: აზერბაიჯანმა და სომხეთმა. შესაბამისად, უცხოელთა მიერ მოწონებული ქართული სასამართლო რეფორმა მეზობელი ქვეყნების განსჯის საგანი ხდება.

გუშინ, თბილისში, სასტუმრო "მერიოტში," გერმანიის მთავრობის ხელშეწყობით შეუდგა მუშაობას რეგიონული კონფერენცია თემაზე "სასამართლო გადაწყვეტილებათა კანონიერი ძალა და მათი გადახედვის შესაძლებლობა". კონფერენციას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სასამართლო ხელისუფლების პირველი პირები და გერმანელი ექსპერტები ესწრებოდნენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A6 სამართალი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 განათლება B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

მოკლედ

თბილისი. საქართველოს შენატანი ევროსაბჭოს ბიუჯეტში შეადგენს 244 ათას ევროს. ანალოგიური შენატანი სომხეთის მხრიდან 210 588 ევროა.

ყველაზე მეტი მაჩვენებელი აზერბაიჯანს აქვს, რომელმაც ევროსაბჭოს 365 ათასი ევრო შემატა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. სომალელი მეკობრეების მიერ ტყვედ აყვანილი, კორეის დროშით მცურავი გემის "ჟენ ლილის" ეკიპაჟის 6 ქართველი მეზღვაურის გამოსასყიდ 600 000 დოლარს გემის ბერძენი მეპატრონე გადაიხდის.

როგორც სარწმუნო წყარომ განაცხადა, ამჟამად გემის მეპატრონე ეძებს შუამავალს, რომლის საშუალებით მეკობრეებისათვის გამოსასყიდი თანხის გადაცემა უნდა მოხდეს. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ორი კვირის ვადაში, დაბა ხარაგაულში თვითმმართველობის ხელახალი არჩევნები უნდა დანიშნოს. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

სოხუმი. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა მინისტრთა კაბინეტს ახალი პრემიერ-მინისტრი გენადი გაგულია წარუდგინა.

ვალერი არშბამ ანრი ჯერგენიას, რომელიც რესპუბლიკის მთავრობას ბოლო წელიწადნახევარი ხელმძღვანელობდა, მადლობა გადაუხადა გაწეული მუშაობისათვის. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. 19 დეკემბერს საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ჩამოდის უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. საშემოდგომო სავალდებულო სამხედრო გაწვევის მაჩვენებელი, ჯერჯერობით, 20 პროცენტს შეადგენს. როგორც დღეს მერიაში გამართულ თათბირზე თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ განაცხადა, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის მაჩვენებელი სავალალოა, მით უმეტეს, როცა საშემოდგომო გაწვევის ვადა 30 დეკემბერს იწურება. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოდის. **"პრაიმ-ნიუსი"**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსი კორნელი სალია სამშაბათს მოსკოვში გაემგზავრება დსთ-ს ქვეყნების კოლეგებთან პირველ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად. **"პრაიმ-ნიუსი"**

■ ■ ■

თბილისი. კოსოვოში სამშაბათს ქართველ მშვიდობისმყოფელთა ოცეული გაემგზავრება. როგორც თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურში აცხადებენ, ოცეული 35 კაცისაგან შედგება და მას კაპიტანი მალხაზ მაკარიძე ხელმძღვანელობს. ეს კოსოვოში ქართული სამშვიდობო ქვედანაყოფის რიგით მეშვიდე როტაციაა. **"პრაიმ-ნიუსი"**

■ ■ ■

თბილისი. ამერიკელი სენატორები, თბილისში სამდღიანი ვიზიტის დასრულების შემდეგ, მოსკოვში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში დაგეგმილ შეხვედრებზე საქართველოს მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლაზე ისაუბრებენ. **"პრაიმ-ნიუსი"**

■ ■ ■

მოსკოვი. სამხედრო ეშელონის 8 ვაგონი, რომლებშიც რუსეთის შეიარაღებული ძალების ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის მაიკოპის სამშვიდობო ბრიგადის 558-ე ბატალიონის პირადი შემადგენლობა და სამხედრო ტექნიკა იმყოფებოდა, გაგრის რაიონში რელსებიდან გადავიდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაზარალებულა. **"პრაიმ-ნიუსი"**

სტივენ მანი: აშშ იწონებს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას

პირველი გვერდიდან

საერთოდ, ვფიქრობ, რომ მილსადენები არ ქმნიან ახალ პოლიტიკურ კლიმატს. პირიქით. იმისათვის, რომ მილსადენი აშენდეს, პოლიტიკური პირობები უკვე უნდა არსებობდეს. მაგალითად, ხშირად მესაუბრებიან ბალკანეთის ქვეყნებზე გამავალი მილსადენების პროექტებზე და მეუბნებიან, რომ ისინი რეგიონში მშვიდობის დამყარებას შეუწყობს ხელს. მე ამას არ ვეთანხმები. ვფიქრობ, რომ რეგიონში უნდა არსებობდეს შესაბამისი პოლიტიკური პირობები, რომ იქ მილსადენის გაყვანა შესაძლებელი გახდეს.

ბაქო-ჯეიჰანს რომ დავუბრუნდეთ, თუ ყველა ფაქტორს მთლიანობაში შევხედავთ - არა მხოლოდ უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის, არამედ საინჟინრო და ეკონომიკურ ფაქტორებსაც – მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ ეს ყველაზე ოპტიმალური მარშრუტია და მას ენდობა აშშ-ს მთავრობა.

- საქართველოს მთავრობამ მთელი კამპანია ზუსტად საწინააღმდეგოს მტკიცებაზე ააგო. ის აცხადებდა, რომ მილსადენი შეცვლიდა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას. ეს არასწორი შეხედულება იყო?

- ეს მნიშვნელოვანი პროექტია საქართველოს ეკონომიკისათვის. იგი გარკვეულ, თუნდაც მოკრძალებულ, ეკონომიკურ სარგებელს მოიტანს. შეიქმნება გარკვეული რაოდენობით სამუშაო ადგილები და ქვეყანა ტრანზიტიდანაც მიიღებს შემოსავალს.

ამავე დროს, ამ პროექტის მიხედვით მსოფლიო შეაფასებს საქართველოს საინვესტიციო კლიმატს, და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

თანაც, თუ არ იქნება ბაქო-ჯეიჰანი, არ იქნება არც ბაქო-ერზრუმი. ასე რომ, როცა საქართველო დათანხმდა ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტს, ამით პირობები შექმნა გაზსადენისთვისაც. გაზსადენი კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით.

- თუ ფიქრობთ, რომ ეკოლოგიური რისკი მინიმალურია და რამე რომ მოხდეს, ვინ უნდა დაფაროს ზარალი?

- მე მჯერა, რომ რისკი მინიმალურია. ეკოლოგია ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. აშშ ასეულობით მილიონ დოლარს ხარჯავს საზღვარგარეთ გარემოს დაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მე მგონი, ამ საქმეში ჩვენი ნდობა შეიძლება.

"ბი-პი"-ც ბოლო დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეკოლოგიურ საკითხებს. ეს მისი იმიჯის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ესეც გვაფიქრებინებს, რომ ისინი ეკოლოგიური რისკის საკითხს სერიოზულად ეკიდებიან..

რაც შეეხება კითხვას, ვინ უნდა დაფაროს შესაძლო ზარალი, ამისათვის უნდა ჩავიხედოთ ტერიტორიის მფლობელ სახელმწიფოსთან შეთანხმების ტექსტში. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის უფლებას მე იურისტებს დავუთმობდი.

სტივენ მანი.

- თქვენი აზრით, აღნიშნული ეკოლოგიური გარანტიები საკმარისი იქნება თუ არა ევროპის ბანკისა და მსოფლიო ბანკისათვის კრედიტის გამოსაყოფად?

- დიახ.

- ანუ ეს იყო უკანასკნელი იურიდიული დაბრკოლება?

- რამდენადაც ვიცი, ასეა. მაგრამ საჭიროა საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერაც. რასაკვირველია, გარემოს დაცვაზე ყველამ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ, მაგრამ, მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ საქმე ეხება ეკონომიკურ და საინვესტიციო გარემოსაც. საქართველოსათვის ეს საფლაგმანო პროექტებია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ენერგეტიკული უსაფრთხოებაც.

ერთ რომელიმე ასპექტზე მეტისმეტად ვიწრო ფოკუსირება არასწორი იქნება. პროექტს მთლიანობაში უნდა შეხედო და მაშინ გაცილებით მეტი მიზეზი გექნება, მას მხარი დაუჭირო.

- საკითხს ისე წარმოადგენენ, თითქოს საქმე "ბი-პი"-ს ყოფნა-არ ყოფნას ეხებოდეს, სინამდვილეში კი კითხვა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, უნდა გაიაროს თუ არა მან ბორჯომზე. ჯერჯერობით, "ბი-პი"-სგან არ მოგვისმენია დამაჯერებული არგუმენტები, თუ რატომ უნდა გაიაროს მილსადენმა ბორჯომზე და არა ახალქალაქზე ან სადმე სხვაგან.

- ეს ყველაფერი მხოლოდ შეფასებებია. მაგრამ ფაქტი შემდეგია: ამ მილსადენს არც ამერიკის მთავრობა აშენებს და არც საქართველოსი, ეს არის კერძო ინვესტორთა ჯგუფი, რომელიც აცხადებს, რომ ისინი მხოლოდ მოცემული პირობებით ააშენებენ ბაქო-ჯეიჰანს. ისინი დებენ საქმეში სამ მილიარდს. ასე რომ, მათი აზრი მხედველობაში უნდა მივიღოთ.

მე არ ვეთანხმები იმ ორგანიზაციებს, რომელთაც მარშრუტების დამატებითი განხილვა უნდათ. ჯერ ერთი, საკითხი უკვე განხილულია კონსორციუმის მიერ; მეორეც, მარშრუტის შეცვლა გამოიწვევს მშენებლობის ღლებით გადადებას, რადგან საჭირო ხდება ხელახალი საინჟინრო შესწავლა. შეიძლება ზოგისთვის პრობლემა არ იყოს, რომ ბაქო-ჯეიჰანი 2010 წლისათვის დასრულდეს, მაგრამ მე გარანტიას გაძლევთ, რომ ეს მოკლავდა ბაქო-ერზრუმის გაზსადენის პროექტს.

- თუ პრობლემა მხოლოდ ვადების გაწელვაში მდგომარეობს, მაშინ, გამოდის, საქართველოს მთავრობას ბორჯომზე თავიდანვე რომ ეფიქრა, ახლა ეს პრობლემა აღარ იდგებოდა.

- ვფიქრობ, რომ ჩვენ მაინც ამ მარშრუტის არჩევამდე მივიდოდით. მე მგონი, ეს საკითხი იყო არა ვაჭრობის საგანი, არამედ კეთილი ნების ადამიანთა ერთობლივი მცდელობა, ეპოვათ საუკეთესო შესაძლო მარშრუტი.

- ანუ, თუ ყველა ფაქტორს ავწონ-დავწონით, თქვენი აზრით, ბორჯომი მაინც ყველაზე ოპტიმალური გზაა?

- დიახ.

- საქართველოს მთავრობამ ხელი შეუწყო პროექტთან დაკავშირებით გადაჭარბებული მოლოდინების შექმნას. ბუნებრივია, ყველა იმედი არ გამართლდება. ამას ემატება გარემოს დაცვითი პრობლემებიც. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს შეცვლის საზოგადოების დამოკიდებულებას მილსადენის მიმართ?

- საქართველომ თავის თავს უნდა ჰკითხოს, სხვა რა ინვესტიციები გააჩნია ქვეყანას. სამწუხაროდ, არც ისე ბევრი. ვფიქრობ, საქართველო უნდა მიესალმოს იმას მაინც, რაც ქვეყანაში შემოდის. ბუნებრივია, რომ მილსადენის მშენებლობა ვერ შეცვლის ეკონომიკას, ვერც საქართველოში და ვერც სხვა ქვეყანაში. საერთოდ, შეცდომაა ვიფიქროთ, რომ დიდი პროექტები ეკონომიკას ცვლის. ეს "გოსპლანის" აზროვნების სტილია. საჭიროა ეკონომიკის ნაბიჯ-ნაბიჯ მშენებლობა. მაგრამ ბაქო-ჯეიჰანი ძალზე შესამჩნევი ნაბიჯია, რომელმაც უნდა აჩვენოს მსოფლიოს საქართველოს დამოკიდებულება უცხოური ინვესტიციებისადმი.

- გავრცელდა მოსაზრება, რომ ნავთობსადენის ახალქალაქზე გავლის წინააღმდეგი იყო აზერბაიჯანი.

- ეს კონსორციუმის საქმეა, რომელიც მასში ფულს დებს და არა აზერბაიჯანელებისა. ჩვენ სულ ამას ვუბრუნდებით. აქ სამი მილიარდი დოლარი დევს სასწორზე.

- გავრცელდა ხმები, რომ გაზსადენის პროექტი ორი წლით გადაიდო. თუ ადასტურებთ ამას?

- არა. ჯერ გვაქვს ერთწლიანი დაგვიანება 2006 წლამდე- ბევრი საქმეა მოსაგვარებელი. მაგრამ აზერბაიჯანი და თურქეთი ყველაფერს აკეთებენ პროექტის წარმატებით დასრულებისათვის.

- რაც შეეხება ყაზახეთის შეერთებას ბაქო-ჯეიჰანის პროექტთან?

- ამის თაობაზე უახლოეს დღეებში, აშშ-ს შუამავლობით, გაიმართება მოლაპარაკებები ყაზახეთს, აზერბაიჯანსა და "ბი-პი"-ს შორის. ვფიქრობ, ყაზახეთი ჩაერთვება ამ პროექტში. ჯერჯერობით, მილსადენებზე საუბარი არ არის, საუბარია ტანკერებზე. მილსადენის მშენებლობას დიდი მოცულობის ნავთობი სჭირდება.

- თუ არის რაიმე კავშირი ერაყის შესაძლო ომსა და კასპიის ნავთობის ათვისების ტემპებსა და პირობებს შორის?

- არავითარი კავშირი არ არსებობს. ჩვენ ამ მილსადენების მშენებლობის საკითხს, უკვე შვიდი წელია, ვიხილავთ. ეს გრძელვადიანი გეგმის ნაწილია და ერაყის მოვლენები, რა სცენარითაც არ უნდა განვითარდნენ ისინი, მას ვერ შეცვლის.

და ბოლოს, მსურს, გავიმეორო, რომ ჩვენ მივესალმებით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

ლენტეხელები ლაჯანურჰესის აფეთქებით იმუქრებიან

გუშინ უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია ლენტეხში. ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილმა ლენტეხელთა ერთმა ნაწილმა გამგეობის შენობაში საპროტესტო აქცია წამოიწყო, ნაწილი კი ამბროლაურში წავიდა და ლაჯანურჰესის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამართა აქცია. **"მოგვცით დენი, თორემ ჰესს ავაფეთქებთ,"** – ასეთი განცხადებებით გამოვიდნენ ლენტეხელები ქუჩაში. სვანები რაიონში ხელისუფლების წარმომადგენლების სასწრაფო ჩასვლას ითხოვენ.

ლაჯანურჰესზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული ფრანგული კომპანია "ალსტომი" ანარმოებს, ლენტეხის რაიონს ელექტროენერგია 15 ოქტომბრიდან არ მიეწოდება. 15 ნოემბერს ლენტეხში ჩასული სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა ლენტეხელებს დაჰპირდნენ, რომ რაიონი ელექტროენერგიას 23 ნოემბერს აუცილებლად მიიღებდა, თუმცა პირობა, ტრადიციულად, არ შესრულდა. **"ამაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ლაჯანურჰესის სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება, ჩვენ უკვე მივმართეთ ქონების მართვის სამინისტროს წერილით, რომ ამ ხალხის პასუხისმგებლობის საკითხი მთელი სიმწვავით დადგეს. ჰესის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო, ზუსტად შეეფასებინა ჰესზე შექმნილი სიტუაცია. წყლის შემაკავებელი სფერული ტურბინის გამოცდას, რომელიც ფრანგებმა მოითხოვეს, დამატებითი დრო დასჭირდა. სწორედ ამის გამო ვერ შესრულდა დანაპირები. ახლა ყველა სამუშაო გრაფიკით მიმდინარეობს და ზუსტად ათ დღეში ლენტეხის რაიონი ელექტროენერგიას მიიღებს,"** – გვითხრა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ნუგზარ უფლისაშვილმა. სვანეთში კი უკვე თოვლია, ღამით ტემპერატურა მინუს ათ გრადუსამდეც ეცემა.

"24 საათი"

გამარჯვებულია კაცი, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობისთვის გაწირავს სიცოცხლეს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განცხადება



1994 წლის 3 დეკემბერი მწუხარების დღეა.

ამ დღეს გიორგი ჭანტურია მოკლეს.

ყველამ იცოდა, ვის ესროდნენ ტყვიას. საუკუნის დასაწყისში საქართველოსთვის ავისმოსურნე საზოგადოებამ წინამურთან მოკლა ილიას ერის თავისუფლებისკენ ლტოლვა; საუკუნის დასასრულს კი ქართულ სახელმწიფოებრიობას, მის დემოკრატიულ განვითარებას ესროლეს ტყვია. ეს იყო შედეგი იმ დროს არსებული ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკისა.

საფუძველი ეყრებოდა პროგრესული პოლიტიკური ძალების ერთიანობას. სწორედ აქ უნდა ეთქვა გადამწყვეტი სიტყვა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და, უპირველესად, გია ჭანტურიას.

იმდენად დიდი იყო გავლენა ამ ერთი ადამიანისა, იმდენი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და ნიჭი იყრიდა მასში თავს, რომ არ არსებობდა ძალა, რომელიც მას წინ აღუდგებოდა. ერთადერთი, რაც შეაჩერებდა, იყო პოლიტიკური ტერორი.

ქართული სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას, რეაქციულმა ძალებმა პოლიტიკის კრიმინალიზაცია დაუპირისპირეს. ამის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ ბოლო რვა წლის განმავლობაში ქვეყანა ასცდა ეროვნული საწყისით მონიშნულ გეზს; მაღალგანვითარებული, დემოკრატიული სახელმწიფოს ნაცვლად მივიღეთ დაქსაქსული საზოგადოება, ეკონომიკურად ღატაკი, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური სპექტრი.

რვა წლის მანძილზე საქართველომ გადაიტანა ყველა განსაცდელი, რაც შეიძლება მოიტანოს პოლიტიკაში კრიმინალის ბატონობამ. არც დღეს ვართ ამისგან დაზღვეულები, რადგან, არსებული სახელისუფლებო კრიზისის ჟამს, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ჩვენს თვალწინ ძლიერდებიან კლანური დაჯგუფებები.

განვლილმა რვა წელიწადმა სრულად გააშიშვლა მკვლელთა ზრახვები და ქართული საზოგადოებისათვის უკვე დღესავით არის ნათელი, თუ რატომ მოკლეს გიორგი ჭანტურია - მასთან ერთად სურდათ გაენადგურებინათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც სულ მცირე დროში მომავალი საქართველოს ბედს ჩაიბარებდა.

ჩვენ გიორგი ჭანტურიას ხსოვნის ნათელსაყოფად კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დროშა 85 წლის მანძილზე არასოდეს დახრილა და დღეს ახალი ძალით, ერთიანობით და უცვლელი პრინციპებით ვაკეთებთ იმას, რაც გია ჭანტურიას უნდა ეკეთებინა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დიდი ტკივილით, სიყვარულით და გამარჯვების რწმენით იხსენებს გიორგი ჭანტურიას - ლიდერს, თავისუფლებისათვის მებრძოლ უშიშარ მეციხოვნეს, ერის გაღვიძებული სინდისისათვის მოკლულ პატრიოტს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმი

"გადაწყვეტილებას მე ვიღებ"...

პირველი გვერდიდან

რომ ნავთობსადენისა და გაზსადენის დასავლეთის მიმართულება საქართველოზე გასულიყო. ჰეიდარ ალიევმა დიდი გმირობა ჩაიდინა... ეს არა მხოლოდ ენერგეტიკული, არამედ პოლიტიკური დამოუკიდებლობის საკითხია..."

საუბრობდა საქართველოს პრეზიდენტი იმაზეც, რომ **"საქართველოს ხელისუფლებას არ გადაუდგამს არც ერთი ისეთი ნაბიჯი, რომელიც ბორჯომის წყალსა და ბორჯომის ხეობას დაუზარალებს. პირიქით - ამ რეგიონში დაგეგმილია დიდძალი ინვესტიციების შემოსვლა..."**

თუმცა, მან აქვე გაამჟღავნა იმ ფაქტობრივი საერთაშორისო ზეწოლის დეტალები, რომელმაც საქართველოს ხელისუფლებას "ბი-პი"-სთვის მწვანე შუქი აანთებინა. **"ამ დღეებში საქართველო საერთაშორისო ყურადღების ცენტრში იყო. პირადად მესაუბრა თურქეთის პრეზიდენტი. დიდ დაინტერესებას იჩენდა ჰეიდარ ალიევი, რომელსაც რამდენჯერმე ვესაუბრე. დაინტერესებას ამჟღავნებდნენ ვაშინგტონში, ლონდონში..."**

და კიდევ: **"მე ვერ ვხედავ სხვა წყაროს, რომლის წყალობითაც ამ სიცივისა და გათოშილობისგან შეიძლება გამოვიდეთ..."** - აცხადებს იგი.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ, მისივე განცხადებით, მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვი არ ეპარება, საქართველოს პრეზიდენტი მაინც იტოვებს არგუმენტს, რომელიც არაერთხელ გამოიყენა პოტენციური მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ: **"ნებისმიერი დიდი პროექტის განხორციელებისას ემოციებს არ უნდა ავყვეთ. თუნდაც ხუდონჰესის მძიმე მაგალითი გავიხსენოთ. ხუდონჰესის პროექტი რომ განხორციელებულიყო, საქართველოს 700-დან 1000 მეგავატამდე დადგმული სიმძლავრე ექნებოდა. სვანეთი ახლა იხვეწება, იქნებ ინვესტორი გვიშოვოთ და ჰესების კასკადი აგვიშენოთო...."**

"ყველაფერი ვიცი..."

"ყველაფერი ვიცი ძალიან კარგად," - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყანაში შექმილი ენერგეტიკული სიტუაციის კომენტირებისას და აღნიშნა, რომ **"მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე ჩვენ ველოდით."** ამის მიზეზად კი ედუარდ შევარდნაძე ასახელებს **"უპირატესად სუბიექტურ მომენტებს"**, კერძოდ, საუბრობს იმაზე, რომ ენგურჰესზე აპრილამდე საკმარისი წყალია, მაგრამ ახლა ორი აგრეგატი გაფუჭდა. მოკლედ, საქართველოს პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ქვეყანა მალე განათდება და... ისევ იხსენებს ხუდონჰესს.

"მზად ვარ..."

საქართველოს პრეზიდენტი მზად არის, დაარეგულიროს აჭარის ლიდერთან წარმოშობილი პრობლემები, რასაც 5 დეკემბრისთვის სახელმწიფო მინისტრის აჭარაში სტუმრობაც უნდა წაადგეს.

პარალელურად, ედუარდ შევარდნაძე თავს არიდებს პარტიულ საკითხებზე საუბარს და ამბობს: **"პარტიის საპატიო თავმჯდომარე ვარ. მე შემიძლია ვიყო 30 პოლიტიკური ორგანიზაციის საპატიო ხელმძღვანელი..."**

მზად არის პრეზიდენტი ჩეჩნების ექსტრადირებისთვისაც, მაგრამ **"ჩეჩნების ექსტრადიციასთან დაკავშირებით ყველა ფორმალობა უნდა იყოს დაცული."**

მან მზადყოფნა გამოთქვა არჩევნებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებისთვისაც, თუ ასეთი აუცილებლობა დადგება; იქვე კი შეეცადა, საბურთალოს არჩევნების ჩაშლაზე პასუხისმგებლის ვინაობა მიეთითებინა: **"რა თქმა უნდა, რომ არ ჩატარდა არჩევნები, ამის შედეგად წარმოიშვა გარკვეული იმედგაცრუება, თუმცა გასარკვევია, ვისთან უნდა იყოს დაკავშირებული ეს იმედგაცრუება - პრეზიდენტთან, მერიასთან თუ საკრებულოსთან?"**

კომენტარი

ზურაბ ყვანია

დარწმუნებული ვარ, არ შეიძლება, დადგეს ნავთობსადენის გაყვანის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ. თუმცა, ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ნავთობსადენის გაყვანა არ უნდა უქმნიდეს საშიშროებას საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ბუნებრივ წიაღისეულს, როგორიც გახლავთ ბორჯომის მინერალური წყალი. ჩემთვის გაუგებარია, ორიოდე კილომეტრით მარშრუტის შეცვლა ასეთი გადაულახავი პრობლემა რატომ შეიქმნა. მით უფრო, იმ პირობებში, როცა მშენებლობა შეიძლება დაიწყოს ყოველგვარი დაყოვნების გარეშე. ვიდრე ნავთობსადენი მიაღწევს უშუალოდ ბორჯომამდე, სრულიად შესაძლებელია, დაზუსტდეს მარშრუტის ახალი მცირე მონაკვეთი, რომელიც მოხსნის ყოველგვარ დაბრკოლებას. შესაძლოა, ეს მცირე შესწორებაც ვიღაცას ხელს არ აძლევს.

ვახტანგ რჩეულიშვილი

"თემა ძალიან სერიოზულია. კარგია, რომ საზოგადოება ასე აქტიურად განიხილავს ბორჯომის ტერიტორიაზე ნავთობსადენის გავლის საკითხს. მე, უბრალოდ, საყვედურს გამოვთქვამდი გარემოს დაცვის სამინისტროს მისამართით, რადგან მიმაჩნია, რომ შესაბამისი დასკვნა ადრე უნდა გაკეთებულიყო. ახლა კი საკითხი წკიპზე მივიდა და პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. თუმცა, არ ვამტყუნებ იმათ, ვინც პრობლემას ეკოლოგიური უსაფრთხოების კუთხით გულწრფელად უდგება.

რამდენადაც ვიცი, არსებობს 15-კილომეტრიანი ზონა, რომელსაც ნავთობსადენი გვერდს აუვლის. არადა, ბორჯომის ხეობა სიგანეში სულ არ არის 15 კილომეტრი. თანაც, სადღაც ხომ უნდა გაიაროს ამ მილსადენმა? მოდით, სხვა კუთხითაც შევხედოთ პრობლემას: რკინიგზა რომ გადის ბორჯომის ხეობაში, განა ეს ნაკლებ საფრთხეს უქმნის გარემომცველ ბუნებას? მეორე ხუდონი არ გამოგვივიდეს, რომელზედაც ეკოლოგიური მოსაზრებების გამო ვთქვით უარი."

ვიტალი ხაზარაძე

"გადაწყვეტილების საბოლოო ტექსტს არ ვიცნობ, მაგრამ მას რომ მხარდაჭერა სჭირდება, ეს ცხადია.

გარემოს დაცვის სამინისტრომ გასცა დასტური ნავთობსადენის გატარებაზე და არც შეიძლებოდა სხვანაირად მომხდარიყო. ვიღაცას, უბრალოდ, მოუნდა, რომ პროექტი ჩავარდეს. აქ უფრო რუსული თამაში მიდის - ნავთობსადენის საქართველოზე არგავლა სწორედ მის ინტერესებში შედის. ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა სხვა გზითაც შეიძლება: ნახევარ კილოგრამ რადიაციულ ნივთიერებას გადააგდებ ხეობაში და დამთავრებულია საქმე - ასი წლით ბორჯომი აღარ არის!"

ლევან გაჩეჩილაძე

არ ვიცი, რის ხარჯზე წავიდა ხელისუფლება ამგვარ დათმობაზე. ერთადერთი პასუხია - საკუთარი ინტერესის გამო. ხელისუფლებას, უდავოდ, ჰქონდა გარკვეული ფინანსური დაინტერესება ნავთობსადენთან დაკავშირებით. ხოლო როდესაც კომერციულ ინტერესთან გვაქვს საქმე, ადამიანებს ცალ ფეხზე ჰკიდიათ ქვეყნის ბედი. ბორჯომის ხეობაზე გამავალი ნავთობსადენი, შესაძლოა, არა მარტო ეკოლოგიური საფრთხე აღმოჩნდეს, ის ტურიზმის განვითარებასაც სერიოზულად შეაფერხებს. ჩვენ არ გვესმის სუფთა წყლის ფასი, ჩვენ მას არ ვყიდულობთ. უნდა ვიცოდეთ, რომ წყალი ნავთობზე ძვირი ღირს და საკმაოდ წარმატებითაც იყიდება. ხელისუფლების ამგვარი გადაწყვეტილება ვიღაცის ჯიბის ინტერესებს ემსახურება...

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მალრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ჩოჩბაჯენი - კოლონიური მენტალიტეტით შეპყრობილთა პოზა

საქართველო პატარა და მოკლე ქვეყანაა – ტერიტორიით, მოსახლეობით, მეხსიერებით, შესაძლებლობებით, თვალსაწიერით, პასუხისმგებლობით, ამ ვალდებულების მატარებელი ადამიანების სულითა და მათი ნათქვამის "ფეხის ზომით". ეს სამწუხარო თვისებები კიდევ ერთხელ და თვალსაჩინოდ დავინახეთ გასულ კვირას. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანაზე ატეხილი აურზაურით გაღიზიანებული ნავთობლობისტები ნამდვილ მისწრაფებას ვერ მალავდნენ: "ამ პროექტმა ხომ პური უნდა გვაჭამოს?" პასუხი კი ასეთი მიიღეს: "უბედურება ის არის, რომ პურის ჭამიდან სხვა რამისს ჭამაზე გადასვლის მომენტი გვეპარება ხოლმე." ეწყინათ. ნიშანდობლივია. ყველაფერი თითქმის უცვლელი დარჩა.

გიორგი გახელაძე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის (BTC Co) თავკაცმა საქართველოს პრეზიდენტსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს ერთ ღამეში გადაათქმევინა პირობები. ერთი ენამახვილი კაცის ნათქვამის არ იყოს, ხელისუფლებამ კიდევ "ჩაირცხვა". სინამდვილეში, ნავთობსადენის პროექტზე გაცემული გარემოს დაცვითი ნებართვის პირობებს სავალდებულო ხასიათი მხოლოდ მაშინ ექნება, როდესაც ჩვენს სახელმწიფო მოხელეებსა და თანამოქალაქეებს, პასუხისმგებლობის გრძნობასთან ერთად, ნებისყოფა გაუჩნდებათ. სხვა შემთხვევაში, ის ფარატინა ქაღალდად იქცევა. თავის გუშინდელ პრესკონფერენციაზე გარემოს დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ პირდაპირ თქვა: **"დადებული პირობების შესრულების გარანტია ჩვენი მონდომება და საზოგადოებრივი მხარდაჭერა იქნება."** უბრალოდ, შაბათს, ღამით "ბი-პი"-სთან ჭიდილში შეთანხმებული პირობები ბორჯომისა და წალკის გადარჩენად აღიქმებოდა, რადგან თავად მოლაპარაკებების პროცესში ქართული მხარისაგან გამოჩენილი პრინციპულობა იძლეოდა ამ იმედს. მაგრამ ესეც (ხან)მოკლე აღმოჩნდა. ამიტომ "წუხანდელი ღამენათევი" ახალი გარემოსდაცვითი ნებართვა №0011-ის მიმოხილვაც მოკლედ ღირს. ის, მართლაც, დუმბაძისეული "ფაქიზოსავით" წელმოწყვეტილია.

უპირველესად, უნდა გავიმეოროთ, რომ ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე მოსალოდნელი ცვლილებების ფონზე, "ბრიტიშ პეტროლიუმის" მიერ ინვესტიციების მოზიდვა ამ პროექტისთვის ეჭვქვეშ დგას. კომპანიამ ეს იცის და ხელოვნურად აჯანჯღლებს მშენებლობის პროცესს. მაგრამ, ბუნებრივია, ცდილობს, ეს სხვას – თუნდაც, საქართველოს გადააბრალოს. "ჩქარი ტაშით" მიღებული სასურველი ნებართვის მიუხედავად, მან ვერ შეიტანა ორშაბათს დაგეგმილი საკრედიტო განაცხადი მსოფლიო თუ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკებში. ტერიტორიის მფლობელ, ანუ საქართველოს სახელმწიფოსა და "ბი-პი"-ს შორის დადებული ხელშეკრულების მე-3 დანართის თანახმად, გარემოს დაცვითი ნებართვის გაცემის ბოლო ვადა იყო 28 დეკემბერი. ასე რომ, BTC Co, "ბი-პი", სნსკ, საქართველოს პრეზიდენტი და ნავთობსადენით სხვა "პურისმჭამელები" საქართველოს მთელ მოსახლეობას აშანტაჟებდნენ ნებართვის გაცემის დაჩქარებით ან, დაგვიანების შემთხვევაში, სტრატეგიული პროექტის ჩაშლით. მართალია, შაბათს BTC Co-ს თავკაცმა დევიდ ვუდვორდმა საქართველოს გარემოს დამცველებს ბოდიში მოუხადა უდიერი მოპყრობისათვის, მაგრამ კვირას ღამე საქართველოს პრეზიდენტის კაბინეტში "ტერიტორიის მფლობელი სახელმწიფოს" ხელისუფლება მან ჩოქბჯენში იხილა და კმაყოფილიც დარჩა. მან საკუთარ თავს უფლება მისცა, ამაყად ეთქვა: **"ჩვენს მიერ წარმოდგენილი მყარი არგუმენტების შემდეგ, გარემოს დაცვის სამინისტროს არც ერთ წარმომადგენელს სურვილიც კი არ გასჩენია, რომ ბორჯომზე მილსადენის გავლას შეწინააღმდეგებოდა."** რამდენიმე საათის შემდეგ მინისტრმა ნინო ჩხობაძემ უარყო ეს ფაქტი და ბატონ ვუდვორდს ზედმეტად თავდაჯერებული უწოდა.

იხტიბარგაუტეხელ მინისტრს საკუთარი დაპირებების გარანტიად ორი რამ მიაჩნია - საქართველოს პრეზიდენტის მიერ გუშინ საჯაროდ აღებული პასუხისმგებლობა და ხელმოწერილი ნებართვის ბოლო აბზაცი: **"იმ შემთხვევაში, თუ BTC Co. ვერ შეასრულებს წინამდებარე დოკუმენტით ნაკისრ ვალდებულებებს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, "ტერიტორიის მფლობელ ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების" შესაბამისად, უფლება ექნება, მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს BTC Co.-ს მიერ ამ ვალდებულებების შესრულება."** ედუარდ შევარდნაძის მიერ აღებული და მიუგებელი პასუხისმგებლობები იმდენი უნახავს საქართველოს, რომ ჩამოთვლადაც არ ღირს. მით უფრო, რომ პროექტის საზიანო შედეგები იმ დროს გამოჩნდება, როდესაც პრეზიდენტისთვის პასუხის მოთხოვნა ფიზიკურად შეუძლებელი გახდება. ამიტომ, ახალგაზრდა ნინო ჩხობაძეს უფრო საკუთარი პასუხისმგებლობა, თანაც, მისივე თქმით, "სისხლის სამართლის" – უნდა ახსოვდეს. საზოგადოებრივ მხარდაჭერაზე აქცენტის გადატანითა და სამინისტროს მხრიდან მონიტორინგის განხორციელების გარანტიად მსოფლიო ბანკიდან 2-მილიონიანი კრედიტის დასახელებით, ჩხობაძემ მეორე არგუმენტიც თავადვე ეჭვქვეშ დააყენა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ექსპერტები, რომლებიც უშუალოდ მუშაობდნენ ნებართვის პირობებზე და მართლაც ოფლი ღვარეს "ბი-პი"-სთან მოლაპარაკებების დროს, გაბითურებულად გრძნობენ თავს. **"თავდაპირველი პირობების ნუსხაც კი, თავისთავად, გარანტიას არ წარმოადგენდა. ჩაწერილს ხომ დაცვა სჭირდება? აქ კი ჩაწერის უფლებაც ვერ დავიცავით. მთავარი იყო, რომ ოდესმე საქართველოს ხელისუფლებას გამოეჩინა პრინციპულობა, რაც მოსახლეობას იმედს მისცემდა და ამ პირობების შესრულების კონტროლს აქტიურად მოსთხოვდა ხელისუფლებას. ახლა კი იმედი გაცრუდა,"** – თქვა გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ ზაალ ლომთაძემ. თუ ამას დავუმატებთ რამდენიმე ასეული გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციიდან მხოლოდ ხუთიოდეს აქტიურობას, მივხვდებით, რა "მოკლე ხელები" – შესაძლებლობები გვაქვს.

№0011-ში აღარ არის თავად ნებართვის, ანუ დოკუმენტის სტატუსის აღმწერი პირველი ნაწილი, რომელიც პასუხისმგებლობის საკითხებს საზღვრავდა. ამ დებულებათა დასაჭურისებულმა ნაწილმა ბოლოში გადაინაცვლა. ახლანდელი დოკუმენტიც შეიცავს, ერთი შეხედვით, საგარანტიო დებულებებს, მაგრამ ისინი უნდა განიხილებოდეს კომპლექსში. მაგალითად, **"მიწისქვეშა წყლის საბადოების გადაკვეთისას BTC Co. განახორციელებს ყველა ღონისძიებას, რათა მილსადენის მარშრუტი გატანილი იქნას წყლის სანიტარული დაცვის I, II, და III ზონების გარეთ" (5.b).** თუმცა, მომდევნო პუნქტშივე წერია, **"თუ აღნიშნული ზონების გადაკვეთა წარმოადგენს სათანადოდ დასაბუთებულ გარდაუვალობას, BTC Co. დაგეგმავს და განახორციელებს...."** შაბათს საღამოს "შეთანხმებული" ვერსიის ამავე პუნქტებში იყო სიტყვები **"უნდა განახორციელოს", "ვალდებულია დაგეგმოს და განახორციელოს".** თუ დავუკვირდებით, თითქოსდა წრვილმანი ცვლილებები მართლაც "პარტერში ჩადგომას" ნიშნავს. წინა ვერსიით, ბორჯომის ზონისადმი მიძღვნილ მე-9 თავში ეწერა: **"მოცემულ მონაკვეთზე საბოლოო მარშრუტის დამტკიცებამდე, გარემოს უშიშროების თვალსაზრისით ყველაზე უფრო მისაღები ალტერნატივის გამოსავლენად, შესწავლილი უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი ალტერნატივებისა:"(b),** ხოლო ახალ ვერსიაში: **"BTC Co. ვალდებულია, მარშრუტის მოცემულ მონაკვეთზე პროექტის საბოლოო დადგენამდე, წარმოადგინოს განახლებულ "ანგარიშში მარშრუტის შესახებ," სულ მცირე, ქვემოთ მითითებული მარშრუტები, რომელთაგან ორივე კვეთს ახალქალაქის რაიონს:.."** (b). ხელმოწერილი ნებართვის იმავე თავის (f) პუნქტში ნათქვამია, რომ BTC Co-ს მიერ ჩატარებული შესწავლების შედეგად, ბორჯომის ხეობის მონაკვეთის უალტერნატივოდ წარმოდგენისას, BTC Co. მიმართავს არსებულ საუკეთესო ტექნოლოგიებსა და მიდგომებს, **"რათა ექსპლუატაციის პერიოდში მიღწეულ იქნას "ნულოვან რისკთან" მაქსიმალურად მიახლოებული დონე".** ასევე ამოვარდა ტექსტიდან BTC Co-ს ვალდებულება, თუნდაც ბორჯომის ხეობის უალტერნატივობის შემთხვევაში, მოსახლეობის ალტერნატიული წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფის შესახებ. ახლა იგი მხოლოდ შეისწავლის ასეთი წყალმომარაგების შესაძლებლობებს.

ეს ყველაფერი ერთად და მოკლედ ნიშნავს, რომ BTC Co. ვალდებულია, მხოლოდ ფორმალურად წარმოადგინოს ალტერნატიული მარშრუტების შესწავლა, თუმცა, მაინც არსებული მონაკვეთი დამტკიცდება. მიწისქვეშა წყლის საბადოების გადაკვეთისას გასატარებელი ყველა ღონისძიება კი მარშრუტის ფარგლებში მოხდება, რადგან **"თუ შემდგომი შეთანხმებით დადგინდება, რომ ნებისმიერი ზიანის აღმოფხვრა სრულიად შეუძლებელია, BTC Co. გაიღებს სრულ, ადეკვატურ და სამართლიან კომპენსაციას იმ ზარალთან მიმართებით, რომლის სრული აღმოფხვრა ვერ მოხერხდა" (მე-13 თავი).** გარდა ამისა, ამოვარდა პირობა, რომ ბორჯომის ზონის ამსახველი მე-9 თავის ნებისმიერი სხვა პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამინისტროს შეეძლო, შეეჩერებინა მილსადენის მშენებლობის ნებართვა.

გარემოს დაცვითი თვალსაზრისით ბორჯომის ხეობაზე ცოტა მეტი მნიშვნელობის წალკის მტკნარი წყლების მიწიქვეშა საბადოებისა და ქცია-ტაბასწყურის საკითხიც უფრო ბუნდოვანი გახდა იმის მიუხედავად, რომ ამ ზონასაც ცალკე თავი ეთმობა.

გია ჭანტურია, ჯერ კიდევ ხუთშაბათს, საჯაროდ ჰპირდებოდა საზოგადოებას, რომ ახალქალაქის მარშრუტზე უარის თქმის საფუძველს – აშშ-ს შეიარაღების უწყებებისა და მათი ექსპერტების დასკვნებს გააცნობდა. სინამდვილეში ასეთი დოკუმენტური მასალა უშიშროების საბჭოში უნდა იყოს. განა სწორედ უშიშროების საბჭომ არ თქვა უარი ახალქალაქის იაფ, რუსეთის სამხედრო ბაზის გასვლის დამაჩქარებელ და ეკოლოგიურად ბევრად უსაფრთხო მარშრუტზე (განა სტამბოლის ხელშეკრულება უფრო მკაფიო და მაღალი რანგის სავალდებულო პირობა არ არის, რომლის შესრულება საქართველოს რა ხანია უნდა მოეთხოვა?)? ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ დევიდ ვუდვორდი სცემს, თუმცა ეს მისი საქმე არ არის: **"ნავთობი, რომლის ტრანსპორტირებაც უნდა მოხდეს ამ ნავთობსადენით, ეკუთვნის აზერბაიჯანს და მისი მონაპოვარია. ბუნებრივია, აზერბაიჯანს არ შეუძლია, დაეთანხმოს მილიონობით დოლარისა და უდიდესი შრომის ფასად მოპოვებული ნავთობის ექსპორტს სომხეთით დასახლებული რეგიონის გავლით."**

ბივიენდი

პირველი გვერდიდან

ნინო ჩხობაძე დეპუტატებთან თავის პოზიციას იცავს.

იმ "აცხედითად" მონათლული ღამის მოვლენების დრამატიზირება, როგორც ჩანს, მართლაც ზედმეტად ხდება, რადგან გარემოს დაცვით დოკუმენტში დარჩა ის ძირითადი პირობები, რომელსაც ჩხობაძის უწყება კატეგორიულად აყენებდა.

თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია ის დეტალი, რომ სამინისტროს ეს პრინციპულობა საკმაოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ჩხობაძის ყველაზე სერიოზული მოთხოვნაა, რომ "ბი-პი"-მ სხვა ალტერნატიული მარშრუტები წარმოადგინოს და გარემოს დაცვის სამინისტრო მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემს თანხმობას ბორჯომის მარშრუტს, თუ ის აბსოლუტურად უალტერნატივოა. ეს პუნქტი დოკუმენტში მართლაც ჩაიდო, თუმცა გუშინვე ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა "ბი-პი"-ს პოზიცია. ყარაყაის მარშრუტი, რომლის შესწავლასაც გარემოს დაცვის მინისტრი ბრიტანული კომპანიისაგან მოითხოვს, უკვე კარგა ხანია დაწვრილებით არის შესწავლილი და ამ მარშრუტზე "ბი-პი"-ს უკვე უარი საბოლოოდ აქვს ნათქვამი. კომპანიის თბილისის ოფისის ხელმძღვანელმა ედ ჯონსონმა გუშინ ძალიან კონკრეტულად განაცხადა, რომ სამინისტროს "ბი-პი" მართლაც წარუდგენს ყარაყაის მარშრუტთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას, თუმცა ეს რეალურად არაფერს შეცვლის და ნავთობსადენის მარშრუტად ისევ ბორჯომი დარჩება.

ყარაყაის მთავარი პრობლემა არის ის, რომ იქ სამუშაოების ჩატარება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. გარდა ამისა, ამ მთაზე ნავთობსადენისთვის დერეფნის გაჭრას ქანების აფეთქებაც დასჭირდება, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ ეკოლოგიურ კატაკლიზმებს გამოიწვევს.

ასე რომ, ეს პუნქტი, რომელსაც გარემოს დაცვის სამინისტრო თავის ყველაზე დიდ მიღწევად თვლის, რეალურად, არანაირ გავლენას არ ახდენს ბორჯომის მარშრუტზე.

რაც შეეხება მეორე პუქტს - რომ ნავთობსადენმა არ უნდა გადაკვეთოს მიწისქვეშა წყაროების სანიტარული ზონები, დოკუმენტში კატეგორიული მოთხოვნა უკვე უფრო რბილი ფორმულირებით შეიცვალა - "ბი-პი" მაქსიმალურად შეეცდება, რომ ეს ზონები არ გადაიკვეთოს.

და კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტი - ნულოვანი რისკის საკითხი. ეს პუნქტი შეიცვალა ნულთან დაახლოებული რისკით, რაც საერთაშორისო სტანდარტებით ნიშნავს, რომ ავარია, შესაძლოა, მხოლოდ ათას წელიწადში ერთხელ მოხდეს (რადგან ნულოვან რისკზე გარანტიის მიცემა არარეალურია და იურიდიულად ვერ საბუთდება).

გუშინ ხელშეკრულებაში ჩადებულ გარანტიებზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდნენ გია ჭანტურია და ედ ჯონსონი.

"ბი-პი"-ს თბილისის ოფისის ხელმძღვანელი აცხადებდა, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი ყველაზე უსაფრთხო ნავთობსადენი იქნება მსოფლიოში.

უკვე ყველა თანხმდება იმაზე, რომ სტანდარტები, რომლითაც ეს ნავთობსადენი აშენდება, უფრო მაღალი იქნება, ვიდრე მსოფლიოში აქამდე იყო მიღებული, რითიც, ბუნებრივია, იზრდება ბორჯომის ხეობის დაცვის ხარისხიც.

ეს არის ის ერთადერთი შედეგი, რომელიც მთელი ამ აჟიოტაჟის შედეგად იქნა მიღწეული. დანარჩენი იგივე დარჩა, ბორჯომის მარშრუტი აპელაციას აღარ ექვემდებარება.

გუშინ "გაერთიანებული დემოკრატები" ძალინ ხშირად ახსენებდნენ ნავთობსადენის ახალქალაქის მარშრუტს. გია ბარამიძე პრეტენზიას უყენებდა ხელისუფლებას, რომ მან "ბი-პი"-ს ურჩია, ეს მარშრუტი მაღალი რისკების გამო სერიოზულად არ განეხილა.

ბუნებრივია, ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულად მომგებიანიც კი იქნებოდა, თუ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი ახალქალაქის ტერიტორიაზე გაივლიდა. ეს დაეხმარებოდა ამ რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების ლეგიტიმურობის გაზრდას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის გარკვეული ეკონომიკური სტიმულის მიცემასა და უსაფრთხოების ზომების გამკაცრებას.

მაგრამ ეს ჰიპოთეზა სრულიად არარეალურია იმ ხელისუფლების ხელში, რომელსაც სამცხე-ჯავახეთში დღეს არანაირი პოლიტიკა არ გააჩნია და იქ დაწყებულ სეპარატისტულ მოძრაობას თვითონვე უწყობს ხელს თავისი უმოქმედობითა და უსუსურობით.

მთავრობისთვის ჯავახეთის ტერიტორიაზე ნავთობსადენის გავლა განსაკუთრებით მიუღებელია იმიტომაც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის უსაფრთხოებაზე სწორედ ის არის პასუხისმგებელი. უსაფრთხოების საჭირო ზომებს კი, ბუნებრივია, ვერ მიიღებს რეგიონში, რომელიც მისი კონტროლის სფეროდან თითქმის უკვე გასულია.

ახალქალაქის, ყარაყაისა და ბორჯომის მარშრუტის გარდა, კიდევ არის ერთი ალტერნატიული მარშრუტი, რომელიც თავიდანვე იქნა უარყოფილი, რადგან ის ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალს კვეთს.

ასე რომ, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ამ პირობებში ბორჯომი მართლაც უალტერნატივო მარშრუტია და ეს საქართველოს ხელისუფლების პრობლემაა და არა "ბრითიშ პეტროლიუმის" ან ამ პროექტის სხვა ინვესტორების.

ბოლო დღეებში ქართული საზოგადოება კიდევ ერთხელ აღმოჩნდა სერიოზული დილემის წინაშე: ის აცნობიერებს, რომ ნავთობსადენი ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა დასავლეთის მთელი ინტერესი ამ კორუმპირებული და უპერსპექტივო ქვეყნის მიმართ მხოლოდ ენერგო-პროექტების გამოა გამოწვეული. რაც არ უნდა აპროტესტონ ჩვენმა ინტელექტუალებმა ის ფაქტი, რომ საქართველოსთვის "ტრუბა" მთავარი არ არის, რეალობას ვერსად გავექცევით, რადგან სხვა რამე ღირებულის შექმნა ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ.

მეორეს მხრივ, ყველა ნორმალური ქართველისთვის ბორჯომის ხეობა ძალიან ძვირფასია და, ბუნებრივია, მისთვის მტკივნეულია იმ აზრთან შეგუება, რომ ბორჯომს, შეიძლება, საფრთხე დაემუქროს.

ასე რომ, სრულიად მიუღებელია ის ფაქტი, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ადამიანების უკან რუსეთის აგენტებს, მოღალატეებს ეძებენ, რომლებიც ნავთობსადენის პროექტის ჩაშლას მიზანმიმართულად ცდილობენ.

ასეთი კამპანიის მაგივრად, იმავე გია ჭანტურიას და თუნდაც "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობას უფრო მეტად უნდა ეზრუნათ იმაზე, რომ მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე აეხსნათ სიტუაცია. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოების ნაწილი მათ არგუმენტებს, ალბათ, უფრო მეტი გაგებით შეხვდებოდა.

პარლამენტი ნარკომანების თავშესაფარი არ არის

დეპუტატთა ნაწილი კოლეგების ნარკოლოგიურ შემოწმებას მოითხოვს

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარემ ჯემალ გოგიტიძემ კიდევ ერთხელ წამოსწია ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში "მოკალათებული" ნარკომანი დეპუტატების თემა. აჭარის დეპუტაციის ერთ-ერთი ლიდერი, უშიშროების ორგანოების ინფორმაციაზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტში 20 "მორფინისტია".



ნარკომანები გვარცხვენენ - ასეთია ბიუროს საერთო აზრი.

გიორგი ასანიშვილი

"დანიშნეთ ერთი დღე სინჯების ასაღებად. ვინც უარს იტყვის, ირიბად დაადასტურებს, რომ ნარკომანია. მართალია, ასეთი ხალხის დაჭერის უფლებას კანონი არ იძლევა, მაგრამ მათ სხვა ფორმით მოვთხოვთ პასუხს," - აცხადებს გოგიტიძე. მანამდე კი, ვიდრე ხალხის რჩეულების მორალური სახე გაირკვევა, "აღორძინების" თავმჯდომარეს მიზანშეუწონლად მიაჩნია, საქართველო მიუერთდეს "ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლისთვის თანამშრომლობის ჯგუფის შექმნის შესახებ" (პომპიდუს ჯგუფი) ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციას.

გოგიტიძის ინიციატივას საპარლამენტო სტრუქტურების მრავალი ხელმძღვანელი ეთანხმება. ზეზვა ლულუნიშვილი, ნუგზარ ნავაძე, დავით სალარიძე, ზურაბ ტყემალაძე და სხვები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში მოარული ხმები ნარკომანი პარლამენტარების არსებობის შესახებ ყველა დეპუტატს სცნებს ჩირქს და მიზანშეწონილად მიიჩნევენ ტესტირების ჩატარებას, რითიც ერთხელ და სამუდამოდ გაირკვევა, "ვინ ვინ არის."

თუმცა, ამ საკითხს ყველა ერთნაირი სერიოზულობით როდი უდგება. ზოგიერთისთვის იგი ხუმრობის საგანია. **"თუ თავი ან ცხვირი მოიფხანა კაცმა, ნარკომანი ჰგონიათ. ამიტომ ზოგს უკვე თავის მოფხანისაც კი ეშინია,"** - ეცინება გიგი წერეთელს. მან ბიუროს წევრები იმ ინფორმაციითაც გაანათლა, რომ ზოგიერთი ნარკოტიკს ოყნითაც იკეთებს.

"გამაბრუებელ" თემას "ნაციონალების" საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელი კოტე კემულარია განაცოცხლებს, რომელიც ტოქსიკომანების არსებობასაც იხსენებს და ინტერესდება, ხომ არ არიან ამ "განხრის" "მოკაიფეები" საკანონმდებლო ორგანოში.

"ცენტრისტული" პოზიცია უკავია ვახტანგ რჩეულიშვილს, რომელიც აცხადებს, რომ დეპუტატების ნარკოლოგიური ტესტირება ნებაყოფლობითი უნდა იყოს და საჭიროდ მიიჩნევს, დეპუტატად არჩევისთანავე **"პარლამენტარმა სამსახურში წარმოადგინოს სამედიცინო ცნობა, რომ ის გიჟი და ნარკომანი არ არის."** ამასთან, სოციალისტების ლიდერი იმასაც იხსენებს, წინა მოწვევის პარლამენტში თავად როგორ ჩააბარა სისხლი ექსპერტიზაზე და ამით დამსწრე საზოგადოებას აგრძნობინებს, რომ პირადად ის "სუფთაა".

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდა ფრაქცია "აფხაზეთის" ხელმძღვანელი გივი ლომინაძე. მისი თქმით, ნარკოტიკის მიღება დანაშაული არ არის, დანაშაულია მხოლოდ მისი გავრცელება და ამიტომ ტოტალური, მასობრივი შემოწმების წინააღმდეგია. **"პირადად მე არანაირ ტესტირებას არ გავივლი,"** - აცხადებს ლომინაძე.

გუშინდელი განსჯის ერთადერთი ხელშესახები შედეგი ის არის, რომ სამ საპარლამენტო კომიტეტს (იურიდიულს, საპროცედუროსა და ჯანდაცვის) საკითხის "უფრო ღრმად" შესწავლა და წინადადებების შემუშავება დაევალა.



ფრანგული საბანკო პერიპეტიები

თორნიკე შარაშენიძე

საფრანგეთის, და საერთოდ, ევროზონის უდიდესი ბანკი "ბიენპი პარიბასი" ბოლო ორი კვირის განმავლობაში არნახული სისწრაფით ზრდის თავის კაპიტალს. ჯერ იყო და, ბანკმა 2,5 მილიარდ ევროდ შეიძინა "კრედიტ ლიონეს" 10,9 პროცენტი, რაც მთელი საქმიანი სამყაროსათვის შოკად იქცა: "ბიენპიმ" თითო აქციისათვის ნომინალურ ღირებულებაზე ორჯერ მეტი გადაიხადა, რათა თავისი კონკურენტებისათვის ეჯობნა და ყველას დაანახა, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაფართოებას. ახლახან კი "ბიენპიმ" კიდევ 5,32 პროცენტით გაზარდა თავისი წილი "კრედიტ ლიონეში".

ეს გაყიდვები საფრანგეთის მთავრობის ეგიდით მოხდა, რომელიც აქამდე "ლიონეს" უდიდესი მეწილე იყო და ახლა ცდილობს, ბიუჯეტში შექმნილი დიდი ბზარები ამოავსოს. ასე რომ, თავის გაფართოებას "ბიენპი" მეტწილად სწორედ საფრანგეთის ეკონომიკურ სისუსტეს უნდა უმადლოდეს. რომ არა საბიუჯეტო პრობლემები (რის გამოც ევროკომისია პარიზს სანქციებითაც კი დაემუქრა), ხელისუფლება "კრედიტ ლიონეში" თავისი წილის გაყიდვაზე, ალბათ, არც იფიქრებდა.

"ბიენპის" წარმატებები გვარიანად დააფრთხობს საფრანგეთის სხვა კომპანიებს - სადაზღვევო გიგანტ "აჟიეფსა" და ბანკ "კრედიტ აგრიკოლეს," რომლებიც "ლიონეში" 10-10 პროცენტს აკონტროლებენ. "ლიონეს" წილისათვის გამოცხადებულ აუქციონზე ეს კორპორაციებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, "ბიენპის" შეთავაზებულ ფასს ვერ შეწვდნენ.

"ბიენპის" შემდგომ გაფართოებას ახლო მომავალში, ალბათ, აღარ უნდა ველოდოთ. ამ ბანკს ევროპაში კონკურენტების შემოერთება უჭირს, რადგან, "ეროვნული თავმოყვარეობის" გამო, სხვა ქვეყნებში ამის გაგონება არ სურთ. ამიტომ "ბიენპისათვის" გაზრდის ერთადერთი საშუალება ისევ ფრანგული ბანკები იყო, კერძოდ კი, სწორედ "კრედიტ ლიონე," რომლის პრივატიზაციასაც საქმიანი სამყარო კარგა ხანს ელოდა.

"გაზპრომი" შელახული იმიჯის აღდგენას ცდილობს

რუსული "გაზპრომი" ოფიციალურად ეპატიჟება თანამშრომლობისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (ერგბ). ეს ნაბიჯი კომპანიის შელახული საერთაშორისო იმიჯის აღდგენისკენაა მიმართული, რომლის გამოც გაზის გიგანტს საზღვარგარეთ საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს.

კომპანიაში ერთი წლის წინ წესრიგის დასამყარებლად პრეზიდენტ პუტინის მიერ დასმული ალექსეი მილერი უკვე შეხვდა ერგბ-ს წარმომადგენლებს და მათთან მომავალ პროექტებზე ისაუბრა, რომელთაგან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპაში გაზსადენის მშენებლობას ითვალისწინებს. მილერი აცხადებს, რომ ბანკი მზადაა პროექტების დასაფინანსებლად. კომპანიის თავკაცის თქმით, ასეთ გადაწყვეტილებაში იმანაც შეიტანა წვლილი, რომ "გაზპრომის" ფინანსური საქმეები მოწესრიგდა. კერძოდ, ძველი ხელმძღვანელობის დროს გამქრალი თანხები მთლიანად დაბრუნებულია. თავად ერგბ-ც ოფიციალურ დოკუმენტში ადასტურებს, რომ "გაზპრომის" ფინანსური საქმიანობა ახლა გაცილებით უფრო გამჭვირვალე და საიმედოა, ვიდრე ადრე.

38 პროცენტით სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი "გაზპრომი" დიდ იმედებს ამყარებს გაზსადენის პროექტზე, რომელიც ბალტიის ზღვით გერმანიასა და ჰოლანდიაზე გავა და დიდ ბრიტანეთს მიაღწევს. თუკი ერგბ ამ პროექტში ჩაება, კომპანიის იმიჯი მნიშვნელოვნად გამოსწორდება და მას უმსხვილესი საფინანსო ორგანიზაციებისაგან კრედიტების მოზიდვის გაცილებით უკეთესი შანსები ექნება.

მილერის თქმით, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსეთში ბუნებრივი გაზის საფასურზე. "გაზპრომი" შიდა ბაზარზე მეტად იაფ (საერთაშორისო სტანდარტებზე ხუთჯერ ნაკლებ) ფასში ყიდის გაზს და ყოველნაირად ცდილობს, მთავრობაში ფასების 40 პროცენტით აწევის საკითხი გაიტანოს.

მოკლედ

თბილისი. თბილისსა და ბათუმს შორის საბიუჯეტო პრობლემების განსახილველად ბათუმში სახელმწიფო მინისტრი და ფინანსთა მინისტრი, პრეზიდენტის დავალებით, კიდევ ერთხელ ჩავლენ. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა და დასძინა, რომ აღნიშნულ ვიზიტზე შეთანხმება აჭარის ავტონომიის ლიდერთან ორი დღის წინ გამართული სატელეფონო საუბრისას იქნა მიღწეული.

შეგახსენებთ, რომ ყოველთვიურად აჭარიდან, საბიუჯეტო შემოსავლების სახით, ცენტრალურ ბიუჯეტს, საშუალოდ, 2,5-3 მილიონი ლარი აკლდება, რაც ხშირად ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზი ხდება. საერთოდ, ბოლო ორი წლის მანძილზე დავალიანება 70 მილიონ ლარს აღწევს.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, "აჭარასთან საჩხუბარი არაფერი გვაქვს. გადასახდელი უნდა გადაიხადოს, თუ საჭიროა დახმარება, ჩვენ მზად ვართ ამისათვის". მანვე აღნიშნა, რომ ისეთი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, როგორც ერთი ქვეყნის შვილებს შეჰფერის. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. დღეს საქართველოში ორდღიანი ვიზიტით ჩამოსული ამერიკელი სენატორები ეკონომიკური განვითარების ახალი გეგმის წარმოდგენას აპირებენ. ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას სენატორმა-რესპუბლიკელმა კურტ უელდონმა განაცხადა.

მისი თქმით, დელეგაციის შემადგენლობაში შედის "იტერას" პრეზიდენტი ანდრეი მაკაროვი, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ აშშ დაინტერესებულია საქართველოს რეგიონში ნავთობისა და გაზის პროექტების განვითარებით. "ჩვენ გვინდა, უკეთ გავეცნოთ საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის მშენებლობის საკითხებს, ვინაიდან აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ პროექტების განხორციელებას რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით," - განაცხადა სენატორმა.

უელდონმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ დაინტერესებულია ნავთობის დამატებითი ალტერნატიული საბადოებით. სენატორების ჯგუფი აპირებს, შეიმუშაოს სპეციალური პროგრამა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების განვითარებისათვის, ისეთი, როგორც აშშ-ს რუსეთთან აქვს, რომელიც 108 ასპექტს შეიცავს და გულისხმობს ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სფეროში თანამშრომლობას. ამერიკელები თვლიან, რომ თანამშრომლობის ახალი პროგრამა ქართველ და ამერიკელ პარლამენტარებს შორის მთლიანად შეცვლის დღეისათვის არსებულ ორმხრივ ურთიერთობებს. "ჩვენ ყოველწლიურად შევხვდებით ქართველ პარლამენტარებს და შევქმნით სპეციალურ პროგრამას, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას," - აღნიშნა უელდონმა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, სააქციო საზოგადოება "თბილავიამშენმა" თურქმენეთის თავდაცვის სამინისტროს შეკვეთა შეასრულა. ეს შეკვეთა თურქმენეთისათვის სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავის მშენებლობას ითვალისწინებდა.

სამინისტროს ინფორმაციით, თვითმფრინავის მშენებლობა უკვე დასრულებულია, ამჟამად კი მისი საექსპლუატაციო გამოცდები მიმდინარეობს, რომელთა დასრულების შემდეგაც თვითმფრინავი დამკვეთს გადაეცემა. გარდა ამისა, საწარმომ ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, უკვე გამოუშვა გაზის გამათბობელი რადიატორის - "ჭერკულესის" პარტია. რაც შეეხება "თბილავიამშენის" წარმოების მოცულობის მაჩვენებლებს, მისი მოსალოდნელი მოცულობა 16,3 მლნ ლარს შეადგენს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ნოემბერში გადაჭარბებით შესრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პარამეტრი - ნაცვლად 97 მილიონი ლარისა, ბიუჯეტში მობილიზებულია 98,1 მილიონი ლარი, - აცნობეს „მედია-ნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტიდან.

სამინისტროს მიერ დღეს გავრცელებული ცნობით, საბაჟო დეპარტამენტის კუთხით ცენტრალურ ბიუჯეტში 28.308.000 ლარი შევიდა, ნაცვლად დაგეგმილი 28.300000 ლარისა. საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მობილიზებულია 24.510.000 ლარი, ნაცვლად 24.000.000 ლარისა.

სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, შესრულებულია სოცუზრუნველყოფის ფონდის პარამეტრებიც, 15.040.000 ლარის ნაცვლად, მობილიზებულია 15.102.000 ლარი.

შესრულებულია ადგილობრივი ბიუჯეტების პარამეტრებიც. ფინანსთა სამინისტრო გავრცელებულ ცნობაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წლის დასაწყისიდან, საგადასახადო შემოსავლების კუთხით, სავალუტო ფონდის პარამეტრი 6 მილიონი ლარით არის გადაჭარბებული.

დაზუსტებულ ინფორმაციას სახელმწიფო ხაზინა ეროვნული ბანკის ფორმა 412-ის დადასტურების შემდეგ გამოაქვეყნებს. ნოემბრის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მონაცემებს ჯერჯერობით არ აქვეყნებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. **"მედია-ნიუსი"**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ
2002 წლის 27 ნოემბერი - 3 დეკემბრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

	UK£	US$	€uro	¥en
UK£		0.6431	0.6385	0.0052
US$	1.5551		0.993	0.008
€uro	1.566	1.007		0.0081
¥en	193.76	124.62	123.72	

2002 წლის 3 დეკემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

ევრო	1	2.1429 ლარი
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	1	3.3629 ლარი
შვეიცარიული ფრანკი	1	1.4511 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1600 ლარი
თურქული ლირა	1 000 000	1.4286 ლარი
იაპონური იენი	10	0.1746 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0678 ლარი
აზერბაიჯანული მანათი	1 000	0.4416 ლარი
სომხური დრამი	100	0.3687 ლარი
უკრაინული გრივნა	10	4.0506 ლარი

„იტერა“ თანახმაა, საქართველო უწყვეტი გაზმომარაგებით უზრუნველყოს

დღეიდან სამთავრობო კომისია ˝იტერას˝ ვალების გადახდის გრაფიკის შედგენას იწყებს

ვირველი გვერდიდან

როგორც დელეგაციის ხელმძღვანელი კურტ უოლდონი აცხადებს, სწორედ მათ შესთავაზეს “იტერას” ხელმძღვანელებს, რომ ჩამოსულიყვნენ საქართველოში და ქვეყნის ხელისუფლებასთან დიალოგი გაემართათ. უოლდონი ცალსახად მიუთითებს, რომ აშშ-ს მთავრობას სურს, საქართველოს მოსახლეობას უწყვეტი გაზმომარაგება ჰქონდეს ზამთარში და ამიტომაც **“ჩვენ ვთხოვეთ “იტერას” პრეზიდენტს ბატონ მაკაროვს, რომ თავის თავზე აიღოს ვალდებულება ამის თაობაზე,”** – განაცხადა უოლდონმა.

ამერიკელებმა ისაუბრეს, აგრეთვე, საქართველოს “იტერასადმი” არსებული დავალიანების რესტრუქტურიზაციის აუცილებლობაზეც, ასევე, დავალიანების გარკვეული ნაწილის ჩამოწერაზეც. თუმცა, კონგრესმენები ვერ აკონკრეტებენ, რა რაოდენობის გადავადებაზე შეიძლება იყოს საუბარი და რამდენი ხნით. როგორც უოლდონი აცხადებს, ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა და “იტერას” ხელმძღვანელობამ უნდა მოილაპარაკონ.

ედუარდ შევარდნაძე “იტერას” პრეზიდენტს იგორ მაკაროვს გვიან ღამით შეხვდა. როგორც საქართველოში “იტერას” წარმომადგენლობის ხელმძღვანელი თამაზ პატარიძე აცხადებს, შეთანხმება ყველა საკითხზეა მიღწეული. “იტერა” უზრუნველყოფს ზამთარში საქართველოს უწყვეტ გაზმომარაგებას, რადგან მან გარანტიები მოხმარებული გაზის საფასურის გადახდაზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავასა და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის ალეკო გოცირიძისაგან მიიღო. როგორც ცნობილია, იანვრიდან “თბილგაზი” სწორედ ამ

ბაქარ გელაშვილის ფოტო

დავით მირცხულავა და იგორ მაკაროვი

ორი უწყების დაქვემდებარებაში გადადის. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მერაბ კვეკვესკირიც ადასტურებს, რომ სამივე საკითხზე, რაც “იტერასა” და ქართულ მხარეს შორის განიხილებოდა, მიღებულია ორივე მხარისათვის სასარგებლო შეთანხმება. მათ შორის, უმნიშვნელოვანესი თბილისის მოსახლეობის გაზით უწყვეტი მომარაგების საკითხის დადებითად გადაწყვეტაა. ხოლო რაც შეეხება ვალების რესტრუქტურიზაციას, კვეკვესკირის თქმით, დღეიდან სამთავრობო კომისია პრეზიდენტ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, დაიწყებს მუშაობას დოკუმენტზე, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს გადავადებული ვალის გადახდის გრაფიკის შედგენა.

ყოველივე ამის სანაცვლოდ კი, როგორც აღმოჩნდა, “იტერა” კვლავ ითხოვს რუსთავის “აზოტის” პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემას. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის წინ სტრატეგიული ობიექტების პრივატიზების სამთავრობო კომისიამ, რომელსაც ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი ხელმძღვანელობდა, “აზოტის” პრივატიზებაზე საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა, რამაც “იტერა” საკმაოდ გაანაწყენა, პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე კვლავ დაისვა საკითხი “აზოტის” “იტერასათვის” პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემაზე. “იტერას” მხარე აღნიშნული საკითხის მოგვარების დაჩქარებას ითხოვს. გუშინ ღამით მიღწეული შეთანხმებების ფონზე, სავარაუდოდ, “აზოტის” საკითხი “იტერას” ინტერესების გათვალისწინებით გადაწყდება.

“იტერას” დელეგაცია საქართველოდან დღეს მიემგზავრება, მანამდე კი მაკაროვი ამერიკელ კონგრესმენებთან ერთად მიღწეულ შეთანხმებებზე ოფიციალურ განცხადებებს გააკეთებს.

კვირის ბოლოს მეცხრე ენერგობლოკი ამუშავდება

სოფიკო ოხანაშვილი

დღეისათვის დედაქალაქის ელექტროენერგიით ოცდაოთხსაათიანი მომარაგება არანაირ პრობლემას აღარ წარმოადგენს. ამ ინფორმაციას ადასტურებს როგორც “ეი-ი-ეს თელასი”, ასევე სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროც. ამ უწყების წარმომადგენლის თქმით, ასეთი მტკიცების საფუძველს რუსეთიდან ელექტროენერგიის განახლებული იმპორტი, ენგურჰესის ორი აგრეგატის მიერ გამომუშავებული და ურთიერთადხმარების პროგრამით აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან შემოტანილი ელექტროენერგია იძლევა.

ამჟამად საქართველოს ელექტროსისტემა 1055 მეგავატი სიმძლავრის დატვირთვით მუშაობს. კვირას ღამით მუშაობა განაახლა “კავკასიონის” მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიანმა გადამცემმა ხაზმა, რომლის მეშვეობითაც რუსეთიდან 280 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელება დაიწყო. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ნინო ასათიანის თქმით, 705 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას ადგილობრივი გენერაცია გამოიმუშავებს, 70 მეგავატი კი აზერბაიჯანიდან შემოდის. რუსეთიდან შემოტანილი დენის საფასურის 30 პროცენტს გაერთიანებული ენერგოკომპანია, ხოლო 70 პროცენტს “ეი-ი-ეს თელასი” გადაიხდის. ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ენგურჰესის ორი აგრეგატი, რომლებიც 300 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. სახელმწიფო ენერგოსისტემის გენერალური დირექტორის ვახტანგ ბეგიაშვილის ინფორმაციით, საქართველოში ურთიერთადხმარების პროგრამის ფარგლებში, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან (“სალხინოს” გადამცემი ხაზით) 110 მეგავატი ელექტროენერგია შემოდის. ეს პროგრამა ხელშეკრულებების საფუძველზე ხორციელდება. **“ხელშეკრულებების თანახმად, როცა ავარიული და დეფიციტური მდგომარეობაა სისტემაში, ეს ქვეყნები გვეხმარებიან ელექტროენერგიით, ხოლო ჩვენ ამ დენს ზაფხულში ჩავასესხებთ”**, - განაცხადა ვახტანგ ბეგიაშვილმა. ურთიერთადხმარების პროგრამით ელექტროენერგიის აზერბაიჯანიდან მიღების ვერსიას უარყოფს “ეი-ი-ეს თელასის” ლობისტი ირაკლი მელაშვილი, რომელიც ამბობს, რომ “ეი-ი-ეს თელასს” არავინ აწვდის ელექტროენერგიას ურთიერთდახმარების პროგრამით. **”ჩვენ ამ ელექტროენერგიას, ჩვეულებრივ, ვყიდულობთ”**, - აღნიშნა მან.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ელექტროენერგიის ის რაოდენობა, რასაც თბილისი იღებს, საკმარისია ქალაქის ოცდაოთხსაათიანი მომარაგებისათვის. ნინო ასათიანის ინფორმაციით, დედაქალაქის ელექტროენერგიით ოცდაოთხსაათიან უზრუნველყოფას, მაქსიმუმ, 510 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგია სჭირდება, დანარჩენი ელექტროენერგია საქართველოს რეგიონებს საბითუმო ბაზრის მიერ დაწესებული ლიმიტის თანახმად მიეწოდება, რადგანაც იქ გადახდის დაბალი მაჩვენებელია. **“იმისათვის, რომ მთელი საქართველო 24 საათის განმავლობაში იღებდეს ელექტროენერგიას, 2300 მეგავატია საჭირო”**, - აღნიშნა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სპეციალისტებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და იქვე დასძინა, რომ ამ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა საჭირო ელექტროენერგიის ნახევარს იღებს, **“24 საათი ჩართულია ყველა სასიცოცხლო ობიექტი, წყალსაქაჩები, პორტები, ფეროს 50 მეგავატი მიაქვს. ვინც გადამხდელია, ელექტროენერგიაც აქვს”**, - განაცხადა ნინო ასათიანმა.

ერთმანეთს ემთხვევა სათბობ-ენერგეტიკისა და “ეი-ი-ეს თელასის” პოზიციები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ამჟამად შემოტანილი ელექტროენერგიის რაოდენობა შეუფერხებლად უზრუნველყოფს თბილისის ელექტროენერგიით ოცდაოთხსაათიან მომარაგებას. ირაკლი მელაშვილის თქმით, პრობლემა ამ ელექტროენერგიის თბილისამდე მიტანაში მდგომარეობს. “ეი-ი-ეს თელასის” ლობისტი სწორედ ამას ასახელებს ბოლო დღეებში დედაქალაქში შექმნილი ენერგოკრიზისის მიზეზად, ხოლო რაც შეეხება დენის ტრანსპორტირების პრობლემას, ირაკლი მელაშვილი ამის მიზეზს ვერ აკონკრეტებს. “ეი-ი-ეს თელასის” ლობისტმა ყურადღება კიდევ ერთ საკითხზე გაამახვილა, რაც თბილისის ელექტროენერგიით მომარაგებას უკავშირდება. მელაშვილის ინფორმაციით, გუშინ გაერთიანებულმა ენერგოსისტემამ ქვესადგურები გათიშა იმ მოტივით, რომ “ეი-ი-ეს თელასმა“ გადააჭარბა იმ ლიმიტს, რაც თბილისისათვის არის დაწესებული. ირაკლი მელაშვილი ამ არგუმენტს აბსურდულს უწოდებს. **“ეს ელექტროენერგია ჩვენი ნაყიდია, ამიტომ ეს განცხადება აბსურდულია”**, - თქვა მან.

ამჟამად სომხეთიდან აღარ ხორციელდება 120 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტი, რომელიც “ეი-ი-ეს თელასმა“ შეიძინა. დენის შემოტანის შეწყვეტის მიზეზი კვირას ღამით "ალავერდის" ხაზზე მომხდარი ავარია გახდა. ამ საქმეს სამართალდამცავები იძიებენ. საქართველოს ენერგოსისტემის გენერალური დირექტორის ვახტანგ ბეგიაშვილის თქმით, ამ დროისთვის “ალავერდის“ გადამცემი ხაზი უკვე აღდგენილია და სომხეთიდან იმპორტის განხორციელება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტისათვის ტექნიკურ მზადყოფნას ირაკლი მელაშვილიც ადასტურებს, რომელიც აცხადებს, რომ **“როგორც კი სისტემაში ამის საჭიროება გაჩნდება, სომხეთიდან ელექტროენერგიას უპრობლემოდ მივიღებთ.”**

მიუხედავად იმისა, რომ მეცხრე ენერგობლოკის ასამუშავებლად საჭირო თანხების მობილიზება ვერ მოხერხდა, ირაკლი მელაშვილი იმედოვნებს, რომ მეცხრე ბლოკი ამ კვირის ბოლოსთვის მაინც ამუშავდება. ამის გარანტიას სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლეიშვილიც იძლევა. მისი თქმით, უკვე ხელმოწერილია კონტრაქტი უახლოესი ორი თვის განმავლობაში ბლოკისათვის ბუნებრივი აირის მიწოდებასთან დაკავშირებით. მელაშვილის თქმით, იმისათვის, რომ მეცხრე ენერგობლოკი ამუშავდეს, “ეი-ი-ეს მტკვარი” ბანკიდან კრედიტს აიღებს, რომელსაც იანვარში სახელმწიფო დაფარავს. მელაშვილის თქმით, საუბარია საკმაოდ დიდ თანხაზე, თუმცა კრედიტის ოდენობა არ დაუკონკრეტებია. შეგახსენებთ, რომ მეცხრე ბლოკის მუშაობისათვის ყოველთვიურად 3,7 მილიონი დოლარია საჭირო. **“იანვრამდე ბლოკი უნდა ამუშავდეს. სახელმწიფო გვპირდება, რომ ამ თანხებს იანვარში დაფარავს”**, - განაცხადა “ეი-ი-ეს თელასის” ლობისტმა. მეცხრე ბლოკის აქამდე უმოქმედოდ ყოფნის მიზეზად მელაშვილი სახელმწიფოს მიერ თანხების გადაურიცხაობას ასახელებს.

ჩრდილოვანი ბიზნესი წესია, ლეგალური - გამონაკლისი

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, “TACIS”-ის დაფინანსებით, ჩაატარა გამოკვლევა თამბაქოს ნაწარმის, ელექტროსაქონლის, სარეცხი საშუალებების, მობილური ტელეფონების, ტელევიზორებისა და სხვა სამომხმარებლო საქონლის ბაზრებზე. გამოკვლევის შედეგად ქვეყანაში დიდია აღურიცხავი, ანუ კონტრაბანდული იმპორტის წილი. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ამჟამად ქვეყანაში რეალურად განხორციელებულ იმპორტის მოცულობასა და სახელმწიფო სტრუქტურების ოფიციალურ მონაცემებს შორის სხვაობა 100 მილიონი აშშ დოლარია, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 3,1 პროცენტს შეადგენს და საქართველოს მასშტაბების გათვალისწინებით, საკმაოდ დიდი ციფრია.

უკანასკნელი მონაცემებით, მკვეთრად გაიზარდა აღურიცხავი იმპორტისა და აღურიცხავი შიდა წარმოების მოცულობა. აქედან უდიდესი წილი თამბაქოს ნაწარმზე მოდის. ქვეყანაში იმპორტირებული ყოველი სამი კოლოფი სიგარეტიდან ორი კონტრაბანდულია, ხოლო სამამულო წარმოების სიგარეტების გამოშვების გაფართოების პარალელურად, გაიზარდა აღურიცხავი წარმოების მასშტაბები. იმპორტიორები პროდუქციის 80 პროცენტზე რეალურ საბაჟო ღირებულებაზე დაბალ ფასს აფიქსირებენ. ამით კი მცირდება დასაბეგრი საოპერაციო მოგება და მოგებაზე დამოკიდებული გადასახადების მოცულობა. საბოლოო ჯამში, მოგებული მხოლოდ იმპორტიორი რჩება და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თამბაქოს ნაწარმს საქართველოს მოსახლეობის 29,5 პროცენტი მოიხმარს, ხოლო მის შეძენაზე წელიწადში 222,1 მილიონი ლარი იხარჯება, იმპორტიორის მოგება და სახელმწიფოს ზარალი საკმაოდ შთამბეჭდავად უნდა გამოიყურებოდეს. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ანალოგიური მდგომარეობაა საწვავის, სასურსათო პროდუქციისა და ფქვილის იმპორტირებისას, ხოლო მიზეზი საბაჟო და საგადასახადო სამსახურების კორუმპირებულობაში უნდა ვეძიოთ.

მაკროეკონომიკისა და ეროვნული ანგარიშების სტატისტიკის სამმართველოს უფროსის რევაზ წაქაძის განცხადებით, **“უკანასკნელი მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა წარმოებისა და ბიზნესის დამახინჯებული წესი, სადაც კეთილსინდისიერი საქმოსანი და მეწარმე, უბრალოდ, ვერ იარსებებს და ჩაიძირება. ეს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ სხვადასხვა დონეზე შეგნებულად განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკაა, სხვაგვარად ჩრდილოვანი ბიზნესის ასეთი მასშტაბები წარმოუდგენელი იქნებოდა.”**

გერმანიაში ავღანეთის საშველად ჩავიდნენ

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ გერმანიის ყოფილ დედაქალაქში, ბონში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან წარმომადგენლობითი დელეგაციები ჩავიდნენ. დელეგატები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ავღანეთში არსებულ სიტუაციას და ამ ქვეყანაში დაგროვებული მწვავე პრობლემის გადაწყვეტის გზებს მიეძღვნება. ფორუმის მონაწილეთა შორის ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაიცაა. კონფერენციის გახსნის წინ ავღანეთში გაერო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა ლახდარ ბრაჰიმმა განაცხადა, რომ ავღანეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას სახელმწიფოს ეფექტურად მართვის საშუალებები, ჯერჯერობით, არ გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ ერთი წლის წინ სწორედ ბონში მოაწერეს ხელი შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ავღანეთში ჰამიდ კარზაის მთავრობა შეიქმნა და გაერო-ს სამშვიდობო კორპუსი გაიგზავნა. ჰამიდ კარზაის მთავრობას ქვეყნის აღდგენისათვის დონორი ქვეყნები 5 მილიარდი ამერიკული დოლარის გამოყოფას შეჰპირდნენ, თუმცა, ავღანეთის ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები კვლავ მიიჩნევენ, რომ ქვეყნის აღდგენისა და რეფორმების განხორციელებისათვის,



REUTERS

ჰამიდ კარზაი

სულ ცოტა, 23 მილიარდი დოლარია საჭირო, რომელიც უახლოესი ხუთი წლის მანძილზე ავღანეთის განადგურებული ინფრასტრუქტურის, ფაქტობრივად, თავიდან აშენებას უნდა მოხმარდეს.

ამჯერად, ბონის კონფერენციის მონაწილეები უმთავრეს განსახილველ საკითხებად ავღანეთის უშიშროების ძალების გაძლიერებას, ეკონომიკური, საფინანსო და იურიდიული სისტემების განვითარებას მიიჩნევენ.

აღსანიშნავია, რომ ავღანეთში ბოლო დროს მომხდარი ინციდენტი ამ ქვეყანაში უამრავი გადაუჭრელი პრობლემის არსებობაზე მიუთითებს. როგორც ცნობილია, შაბათს ქალაქ შინდანდის მახლობლად სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა გუბერნატორ ისმაილ ხანის ტაჯიკ მებრძოლებსა და პუშტუნთა საველე მეთაურის ამანული ხანის დაჯგუფებას შორის. ბრძოლების დროს ასევე დაიცხრილა აშშ-ს სამხედრო ქვედანაყოფების ბაზაც, რის შემდეგაც ამერიკულმა ბომბდამშენმა ბრძოლების მიმდინარეობის ადგილას 900-კილოგრამიანი ბომბი ჩამოაგდო..

ერთი წლის წინ ხელმოწერილი, ბონის შეთანხმების მიხედვით, ყველა ავღანელი საველე მეთაური ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის უნდა დამორჩილებოდა, თუმცა, ეს მოთხოვნა მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

თურქეთი ქურთულ პროვინციებში საგანგებო მდგომარეობას აუქმებს

რევაზ ბახტაძე

ქურთთა მუშათა პარტია თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში აწარმოებდა შეიარაღებულ ბრძოლას. 1987 წელს თურქეთის მთავრობამ საალყო წესების შემოღებით ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამართალდამცველებს განსაკუთრებული უფლებები მიანიჭა ეჭვმიტანილების დასაკავებლად და გამოძიების ჩასატარებლად. საგანგებო რეჟიმის მოქმედების დროს ადამიანის უფლებათა დამცველები და ევროპის ლიდერები ანკარას ხშირად მიუთითებდნენ ამ უფლებების ბოროტად გამოყენების თაობაზე.

1980-იან და 1990-იან წლებში, ქურთი სეპარატისტების წინააღმდეგ წარმოებული შეიარაღებული ბრძოლის შედეგად, ორივე მხრიდან 30 000 ადამიანი დაიღუპა და მილიონობით ადამიანმა საცხოვრებელი დაკარგა. თუმცა, 1999 წელს, ქურთთა მუშათა პარტიის ლიდერის აბდულა ოჯალანის დაპატიმრების შემდეგ, ქურთთა აქტიურობა თურქეთში შემცირდა.

ქურთებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას, რომელიც ერთ დროს 13 პროვინციაზე ვრცელდებოდა, ორი მიზეზი აქვს. პირველი - თურქეთის ხელისუფლების მიერ, ქურთების გასამხედროებულ ნაწილებზე მიღწეული გამარჯვების შემდეგ, რეგიონის მილიტარიზაციისა და საგანგებო მდგომარეობის შენარჩუნების საჭიროება აღარ არსებობს; ქურთთა მუშათა პარტიასთან ბრძოლა, ფაქტობრივად, ქურთთა ლიდერის, აბდულა ოჯალანის, დაკავებით დასრულდა.

მეორე მიზეზს კი თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი წარმოადგენს. დეკემბერში, კოპენჰაგენის სამიტზე, მომავალი წევრები უნდა დაასახელონ. ანკარა ყველაფერს აკეთებს, რათა თურქეთის გაწევრიანების კონკრეტული ვადები ამჯერად მაინც განისაზღვროს.

თურქეთის პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ივნისში მიიღო. თუმცა, რეალურად, ის ძალაში მხოლოდ ორი დღის წინ შევიდა. შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის თქმით, "რეგიონში მშვიდობიანობის ხანა დგება".

ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეს განსაკუთრებით სასიხარულო ამბავი იყო: "გაუმარჯოს თურქეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას!" - გაჰყვიროდა შეკრებილი ხალხი. მოსახლეობას იმედი აქვს, რომ შეიარაღებული პირების რაოდენობის შემცირებითა და მოსახლეობისთვის კანონიერი უფლებების აღდგენით ცხოვრების პირობები გაუმჯობესდება.

ამავდროულად, აგვისტოში, თურქეთმა ქურთებს საკუთარ ენაზე ტელემაუწყებლობისა და სწავლების უფლება მისცა, რაც ევროკავშირის ერთერთ უმთავრეს მოთხოვნასაც წარმოადგენდა. საგანმანათლებლო-კულტურული უფლებების მინიჭებამ დაძაბულობის შემცირებას ხელი შეუწყო.

თურქეთის მმართველი "სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ" თავისი პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად წამებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის აღმოფხვრა დაასახელა. თურქეთი ცდილობს, რომ ლიბერალური რეფორმები დაჩქარებული ტემპებით განახორციელოს, რათა ევროპელ ლიდერთა გული მოიგოს. ანკარა იმედოვნებს, რომ დეკემბერში თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საბოლოო თარიღი დადგინდება.

თუმცა, გარკვეული ეჭვები მაინც არსებობს. სკეპტიკოსების აზრით, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ სახელმწიფომ საკუთარი კონტროლი შეამციროს იმ რეგიონზე, რომელიც უკანასკნელ დრომდე, ქურთ სეპარატისტებსა და ოფიციალურ ხელისუფლებას შორის მიმდინარე დაპირისპირებისას, ბრძოლის ველი იყო.

"საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა, მაგრამ ჩვენი სურვილია, რომ იგი რეალურ ცხოვრებაშიც გაუქმდეს", - ამბობს ჰალის გურაღი, 35 წლის ვაჭარი.

ევროკავშირი ანკარას გადაწყვეტილებას მყისვე გამოეხმაურა და მიესალმა რეფორმების კურსს თურქეთში. თურქეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა აბდულა გულმა რამდენიმე ხნით ადრე "თურქიშ დეილი ნიუზისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მის მიერ აღებული რეფორმების ტემპი "ევროპაში შოკს გამოიწვევს".

მთავრობის წარმომადგენლის განცხადებით, დღეს პრემიერ-მინისტრი რეფორმათა პაკეტით წარდგება პარლმენტში, რათა გასაწევრიანებლად აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილების გატარება კოპენჰაგენის სამიტამდე მოესწროს. იმის მიუხედავად, რომ კოპენჰაგენის სამიტამდე 9 დღე დარჩა, ვერც ექსპერტები და ვერც ევროპელი პოლიტიკოსები დანამდვილებით ვერ ამბობენ - დაეთანხმება თუ არა თურქეთის გაერთიანებაში მიღებას ევროკავშირის წევრი თხუთმეტივე სახელმწიფო.

ერაყში ექსპერტთა მისია გრძელდება, ლონდონი ჰუსეინის წინააღმდეგ უკვე მეორე დოსიეს აქვეყნებს

გუშინ, ერაყში გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის მეხუთე სამუშაო დღეს, საერთაშორისო ექსპერტებმა ბაღდადიდან საკმაოდ მოშორებით განთავსებული ობიექტის შემოწმება დაიწყეს. ექსპერტები ეჭვობენ, რომ აღნიშნული ობიექტი ერაყის სამხედრო-სამრეწველო დახურულ კომპლექსს ეკუთვნის. პარალელურად, საერთაშორისო ბრალდებები ერაყის მისამართით უფრო და უფრო ძლიერდება. ოფიციალური ლონდონი ერაყის პრეზიდენტის რეჟიმის შესახებ თავის რიგით მეორე დოსიეს აქვეყნებს.

ლევან ღირსიაშვილი



REUTERS

"ალ კარამაჰის" სამხედრო-სამრეწველო ობიექტი.

"ალ კარამაჰი" – ასე ეწოდება იმ ადგილს, სადაც, საერთაშორისო დამკვირვებელთა აზრით, ერაყის სამხედრო-სამრეწველო ობიექტების კომპლექსია განლაგებული. "ალ კარამაჰს" გაერო-ს განიარაღების კომისიის ექსპერტები გუშინ ეწვივნენ. ეს ობიექტი ოთხი წლის წინ საჰაერო დარტყმების შედეგად დაიბომბა, როდესაც გაერო-ს მაშინდელი მისია, სადამ ჰუსეინის ბრძანებით, ქვეყნიდან გააძევეს. გუშინ კი ექსპერტები "ალ კარამაჰის" დახურულ და გასაიდუმლოებულ ობიექტს მეორედ ეწვივნენ. ამჯერად მათ ერაყის ხელისუფლებამ წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1441 რეზოლუცია სადამ ჰუსეინის რეჟიმს საერთაშორისო ექსპერტებისათვის ყოველგვარი დახმარების გაწევას ავალდებულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო კოალიცია ერაყში ფართომასშტაბიან სამხედრო კამპანიას დაიწყებს.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მოჰამედ ელ ბარადეიმ განაცხადა, რომ მას სჯერა ერაყის ხელისუფლების კეთილგონიერების და იმის, რომ ბაღდადი ყველაფერს გააკეთებს, რათა დაამტკიცოს, რომ მასობრივი განადგურების იარაღს არ ფლობს. მან აგრეთვე დასძინა, რომ ინსპექტირების პირველმა დღეებმა ნორმალურად ჩაიარა და ექსპერტებს საეჭვო არაფერი აღმოუჩენიათ. **"ჯერჯერობით რაც ვნახეთ, არის ის, რომ ობიექტები მასობრივი განადგურების იარაღის დასამზადებლად არ გამოიყენება,"** - განაცხადა ბარადეიმ. "ალ კარამაჰის" ობიექტის შემოწმების დეტალური შედეგები უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

პარალელურად, გუშინ, ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის სხდომაზე მოხსენებით წარსდგა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო. მოხსენება სადამ ჰუსეინის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულთა დოსიეს შეიცავს და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების ინფორმაციებსა და ანალიზზე დაყრდნობით არის გაკეთებული.

"ეს დოსიე ძალზე მძიმე წასაკითხია. ის შეიცავს ფაქტებს წამებების, გაუპატიურებებისა და ადამიანის უფლებების სხვა უსაშინლესი დარღვევების შესახებ. ამით ცხადი ხდება, რომ ეს ქმედებები ერაყის რეჟიმის მიზანმიმართული პოლიტიკის ნაწილია," - განაცხადა ჯეკ სტრომ. ამ ნაბიჯით, დიდმა ბრიტანეთმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ იგი აშშ-ს ერთგულ პარტნიორად რჩება და სადამ ჰუსეინისგან "მსოფლიოს გათავისუფლების" საქმეში თავისი წვლილის შეტანას ცდილობს. **"ერაყის განიარაღებით ჩვენ არა მარტო იმ ქვეყნებს დავეხმარებით, ვინც ერაყის მოქმედებისგან იტანჯება, არამედ სადამ ჰუსეინს იმ ძლიერ ინსტრუმენტს ჩამოვართმევთ, რომლის დახმარებითაც ის ერაყელ ხალხს შიშისა და მორჩილების ქვეშ აცხოვრებს,"** - დასძინა მოხსენებით გამოსვლისას დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

ჯეკ სტროს მოხსენებას, რომლის სრული ტექსტიც დღეს გამოქვეყნდება, უკვე გამოეხმაურნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ადამიანის უფლებების დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაცია "საერთაშორისო ამნისტიამ" განაცხადა, რომ დოსიეს გამოქვეყნების ვადა არასწორად იყო შერჩეული და ამით დიდი ბრიტანეთის მთავრობა საკუთარი მიზნების მიღწევას ცდილობს. "საერთაშორისო ამნისტიის" აზრით, დოსიე იმ დროს გამოდის დღის სინათლეზე, როდესაც ბაღდადს გაერო-სათვის დეკლარაციის წარსადგენად ერთი კვირაც კი არ რჩება. ამ დეკლარაციით ბაღდადმა გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს ქვეყანაში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა ან უნდა დაუდასტუროს, ან უარყოს.

თუმცა, ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელი ერაყის საკითხებში მარკ სედვილი აცხადებს, რომ ბრალდება, თითქოს ლონდონი ერაყში სამხედრო კამპანიის დასაწყებად საბაბს ეძებდეს, სინამდვილეს არ შეესაბამება. თავის მხრივ, საკუთარ მოსაზრებას აფიქსირებს "საერთაშორისო ამნისტიის" გენერალური მდივანი ირენ ხანი. **"ადამიანის უფლებებისადმი შერჩევითი მიდგომა სხვა არაფერია, თუ არა გულცივი და ზუსტად გათვლილი მანიპულირება უფლებათადამცველთა სამუშაოთი. არ დაგვავიწყდეს, რომ იგივე მთავრობა თვალს ხუჭავდა "საერთაშორისო ამნისტიიის" მოხსენებებზე, რომლებიც სპარსეთის ყურეში ომის დაწყებამდე ერაყში ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებს შეეხებოდა. ისინი იმ დროსაც დუმდნენ, როდესაც 1988 წელს ხალაბჯაში ათასობით უიარაღო მშვიდობიანი ქურთი დაიღუპა,"** - განაცხადა ირენ ხანმა.

ამდენად, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, აღმოაჩენენ თუ არა საერთაშორისო ექსპერტები ერაყში მასობრივი განადგურების იარაღს. ადამიანის უფლებათა დარღვევა, სამწუხაროდ, უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია. ინსპექტორთა დასკვნა კი გაცილებით უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ერაყის ხელისუფლების დეკლარაცია, რომელიც 8 დეკემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭოს უნდა წარედგინოს.

მოკლედ

**კოტ-დ`ივუარი.** კოტ-დ`ივუარის სამთავრობო ძალებმა ქვეყნის დასავლეთში განლაგებული ქალაქი ამბოხებულებისგან გაათავისუფლეს. ქალაქში მომუშავე კანადელმა მისიონერმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, რომ მის მისიაში, დაახლოებით, 150-მა ადამიანმა შეაფარა თავი. სამთავრობო ძალების სარდლობის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ქალაქის მისადგომებთან და ქუჩებში ბრძოლები, ფაქტობრივად, შეწყვეტილია, თუმცა ხელისუფლების ძალებმა ქალაქის მთლიანად გაწმენდა ჯერ ვერ მოახერხეს. კოტ-დ`ივუარის პრეზიდენტის მხარდამჭერი შეიარაღებული ძალები ამბოხებულებისგან ქვეყნის დასავლეთ რაიონების გაწმენდას ცდილობენ. ორგანიზაცია ECOWAS-მა, რომელშიც დასავლეთ აფრიკის რამდენიმე ქვეყანაა გაერთიანებული, გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო შუამავლებს ამბოხებულების შესახებ ინფორმაცია, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ. ამდენად, საერთაშორისო თანამეგობრობამ არ იცის, ღირს თუ არა მათთან მოლაპარაკებების გამართვა.

■ ■ ■

ყატარი. აშშ-ს შეიარაღებული ძალების სარდლობამ ყატარში ახალი შტაბის გახსნის შესაღებ მიიღო გადაწყვეტილება. ამერიკელები ერაყთან ომის რეპეტიციის ჩასატარებლად ემზადებიან. პენტაგონი ყატარში ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრებისა და წვრთნების ჩატარებას გეგმავს. როგორც იუწყებიან, ამჯერად ეს წვრთნები კომპიუტერის საშუალებით ჩატარდება და ჩვეულებრივი სამხედრო მანევრებისგან განსხვავებული იქნება. კერძოდ, ფართომასშტაბიან წვრთნებს, რომელიც ქუვეითში გაიმართება, ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალი ტომი ფრენკსი ყატარიდან უხელმძღვანელებს, რიგი სარდლები კი სხვადასხვა მახლობელ სახელმწიფოებში იქნებიან განთავსებულნი. წვრთნების სავარაუდო სახელწოდება "მზერა შიგნიდან" იქნება. თუკი აღნიშნული წვრთნები წარმატებით ჩაივლის, მაშინ პენტაგონი მის მოდელს ერაყთან მოსალოდნელი ომის დროს გამოიყენებს. მართალია, აშშ-ს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ჯერჯერობით, ყატარის მთავრობასთან არ არის მიღწეული შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანია ყატარის სამეფოდან წარიმართება, მაგრამ ექსპერტთა დიდი ნაწილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყატარი ბოლო წლებში სპარსეთის ყურეში აშშ-ს ყველაზე საიმედო მოკავშირედ იქცა. "უდაბნოს ქარიშხლამდე" ყატარელები თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფას საუდის არაბეთთან კავშირით ცდილობდნენ. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ომმა საუდეთის სისუსტე გამოავლინა, ყატარმა უსაფრთხოების გარანტიების მოძიება აშშ-სთან კავშირით სცადა.

ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ყატარი სხვა არაბული სახელმწიფოების უკმაყოფილებაზე თვალს დახუჭავს და ამერიკელებს ქვეყანაში არსებულ ბაზებს დაუთმობს.

■ ■ ■

სლოვენია. "ასოშიეიტედ პრესის" ცნობით, სლოვენიის პრემიერ-მინისტრმა იანეზ დრნოვშეკმა საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

დრნოვშეკის მთავარმა მოწინააღმდეგემ, ბარბარა ბრეზიგერმა, ხმების 44 პროცენტი მოაგროვა, ხოლო გამარჯვებულმა - 56 პროცენტი.

ახალმა პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ ნატო-ში ახლადმიღებულ ქვეყანას ევროკავშირში 2004 წელს გააწევრიანებს. იმის მიუხედავად, რომ დრნოვშეკი რამდენიმე წლის განმავლობაში მართავს სახელმწიფოს, სლოვენიის მოსახლეობის უმრავლესობის სიმპათიები კვლავ მის მხარეზეა.

აღსანიშნავია, რომ სლოვენია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აღმოსავლეთევროპული ქვეყანაა. სლოვენიაში დემოკრატიული ინსტიტუტები გამართულად მუშაობს, უმუშევრობის დონე კი გერმანიასა და საფრანგეთზე უფრო დაბალია. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 10 000 ამერიკულ დოლარს შეადგენს. ქვეყნის ერთადერთ თავსატეხს კი ის წარმოადგენს, რომ იგი, ევროკავშირის სტანდარტებით, იმდენად მდიდარ სახელმწიფოდ ითვლება, რომ გაწევრიანების შემდეგ მას დახმარებას არ გაუწევენ.

■ ■ ■

ბელარუსი. "რადიო თავისუფლების" ცნობით, ბელორუსის ხელისუფლება იაპონიაში თავის ელჩს ეძებს.

პიოტრ კრავჩენკო, რომელიც ტოკიოში ელჩად 1998 წლიდან მსახურობს, თანამდებობიდან პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ჯერ კიდევ 19 ნოემბერს გადააყენა და სამშობლოში გამოიწვია. ბელორუსის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კრავჩენკო ბრძანებას არ დაემორჩილა და ახლა იაპონიაში იმალება. აქამდე მინსკი ცდილობდა ამ ამბის გაუხმაურებლად, დიპლომატიური არხებით მოგვარებას

აშშ-ს საელჩომ უარყო გავრცელებული ჭორები, თითქოს კრავჩენკომ, მათ პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით მიმართა.

სხვადასხვა წყაროები ადასტურებენ, რომ იაპონიაში ელჩად დანიშვნის შემდეგ კრავჩენკო ბელორუსის ოპოზიციური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა და ლუკაშენკოს არადემოკრატიულ პოლიტიკას აკრიტიკებდა.

უკანასკნელი ინფორმაციით, კრავჩენკომ უარყო გავრცელებული ხმები პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ; თუმცა, სამშობლოში დაბრუნებაზეც, "ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო", უარი განაცხადა.

■ ■ ■

პეკინი. 2 დეკემბერს რუსეთისა და ჩინეთის პრეზიდენტებმა შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზებისაკენ მოუწოდეს.

აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობები ოქტომბერში მკვეთრად დაიძაბა, როდესაც ფხენიანმა ბირთვული იარაღის შესაქმნელი პროგრამების არსებობა აღიარა. "მხარეები, მსოფლიოს ბედისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი აზიის უსაფრთხოების გამო, საჭიროდ მიიჩნევენ, რომ კორეის ნახევარკუნძულს შეუნარჩუნდეს არაბირთვული სტატუსი და მასობრივი განადგურების იარაღის აკრძალვის რეჟიმი", - ნათქვამია პრეზიდენტების დეკლარაციაში. "ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობების ნორმალიზება".

ვიზიტის მსვლელობისას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი შეხვდება ხუ ძინთაოსაც, რომელიც მარტში ჩინეთის პრეზიდენტი გახდება.

ჩინეთის პრეზიდენტმა ძიან ძემინმა და ვლადიმირ პუტინმა იმედი გამოთქვეს, რომ ერაყის კრიზისი მშვიდობიანი გზით მოგვარდება უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე.

■ ■ ■

ავსტრალია. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ იგი მზად არის აზიის მეზობელ სახელმწიფოებში პრევენტიული დარტყმების განსახორციელებლად. ავსტრალიის პრემიერმა ჯონ ჰოვარდმა ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საერთაშორისო სამართალი ეროვნული უსაფრთხოებისთვის შექმნილი რისკების ადეკვატური აღარ არის.

ავსტრალიას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შეიარაღებული ძალები გააჩნია, მათ შორის, თანამედროვე საჰაერო ძალები და სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები.

ავსტრალიის ლიდერის თქმით, მას სურს გაერო-ს ქარტიაში ცვლილებების შეტანა, რათა სახელმწიფოებს პირველი დარტყმის მიყენების საშუალება ჰქონდეთ.

ამჟამად, საერთაშორისო სამართალი პრევენტიული დარტყმების მიყენებას კრძალავს და სახელმწიფოებს მხოლოდ თავდაცვითი ომების უფლებას აძლევს. თავის დროზე ამის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერა აღქმული იყო ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად საერთაშორისო მშვიდობის დაცვის საქმეში.

ავსტრალიელთა მიერ მსგავსი განცხადებების გაკეთება უკავშირდება 12 ოქტომბერს, ინდონეზიის შემადგენლობაში მყოფ კუნძულ ბალიზე, მომხდარ აფეთქებას, რომლის შედეგად ავსტრალიის 90 მოქალაქე დაიღუპა.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის განცხადებამ აზიურ სახელმწიფოთა მთავრობების აღშფოთება გამოიწვია. ინდონეზიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ავსტრალიას სხვა სახელმწიფოებში სამხედრო დარტყმების განხორციელების უფლება არ აქვს. ტაილანდის მთავრობის წარმომადგენელმა კი თქვა, რომ ჯონ ჰოვარდის განცხადებები "გონივრული არ არის".

■ ■ ■

რუსეთი. ტელეკომპანია "ბიბისი"-ს ცნობით, რუსეთის ხელისუფლება ქვეყნიდან შვედი დიპლომატების გაძევებას აპირებს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ორი შვედი დიპლომატი "პერსონა ნონ გრატად" იქნენ გამოცხადებულნი, რადგან "თავიანთი მოქმედებით რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებს ზიანს აყენებდნენ".

რუსეთის ეს ნაბიჯი შვედეთის ხელისუფლებისადმი სამაგიეროს გადახდაა. ცოტა ხნის წინ შვედეთიდან სამრეწველო ჯაშუშობის ბრალდებით, გაძევებულნი იქნენ რუსი დიპლომატები. ჯაშუშობას ისინი კომპანია "ერიქსონში" ეწეოდნენ. მობილური ტელეფონების გარდა, "ერიქსონი" სამხედრო მრეწველობაშიც არის ჩაბმული და მაღალხარისხოვან რადარებს ამზადებს.

■ ■ ■

ირანი. 2 დეკემბერს ირანელი პროფესორის ჰაჯემი აღაჯარის ადვოკატმა სასიკვდილო განაჩენის შეცვლის თხოვნით მიმართა სასამართლოს. ბრალდებულის თხოვნა საშუალებას მისცემს სასამართლოს, აღაჯარის საქმე ხელახლა განიხილოს და, სავარაუდოდ, სასიკვდილო განაჩენი გააუქმოს. ქვეყნის უმაღლესმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ ამგვარი თხოვნით სასამართლო ხელისუფლებას უკვე მიმართა.

გასულ სამშაბათს ქვეყნის მთავარმა პროკურორმა აიათოლა აბდოლნაბიმ განაცხადა, რომ თუ აღაჯარი ოცი დღის განამვლობაში სასამართლოს თხოვნით არ მიმართავს, სასიკვდილო განაჩენი ძალაში დარჩება.

მერიას პირობის შესრულება უჭირს

მერიის სამეურნეო სამსახური გვარწმუნებდა, რომ თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობებს 18 ნოემბრიდან გაათბობდნენ. მოვა ზამთარი და ნახავთ, რომ დაპირებას შევასრულებთო, აცხადებდა სამსახური. ზამთარიც მოვიდა, მაგრამ მერიამ პირობის შესრულება მხოლოდ დაიწყო. სკოლებსა და საბავშვო ბაღებში საწვავის შეტანა ჭიანურდება.

ნანა ქადაგიშვილი

მერიის სამეურნეო სამსახურის უფროსის მოადგილის, ამირან გაბრიჭიძის ცნობით, 98 საგანმანათლებლო ობიექტში 250ტ. ნავთი უნდა შეიტანონ, 6 ობიექტში - 300ტ. ქვანახშირი, 279 ობიექტში - 8500 კუბური მეტრი შეშა, დიზელის საწვავს კი 1540 ტონას შეისყიდიან. "ამის გარდა, წლეულს გარკვეული სიახლეებიც არის. ინდივიდუალური საქვაბე კიდევ 51 სკოლაში დავამონტაჟეთ. ასე რომ, გათბობის საუკეთესო საშუალება სულ 152 სკოლას ექნება. თანაც, ამ სკოლებისთვის დიზელის საწვავის მარაგიც გვაქვს - გაზი რომ გაითიშოს, საქვაბეები ამ საწვავზეც იმუშავებს. საწვავის სხვადასხვა სახეობით ყველა დაწესებულებას მოვამარაგებთ და გათბობის გარეშე არც ერთი სკოლა და საბავშვო ბაღი არ დარჩება. სხვათა შორის, არც ელექტროენერგიის საფასურის გადახდა იქნება პრობლემა. შარშანდელი ნოემბრის შემდეგ ჩვენ "ეი-ი-ეს თელასის" დავალიანება არ გვაქვს", - განგვიცხადეს სამეურნეო სამსახურში.

29 ოქტომბერს დასრულებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა ნავთისა და სალიარის შეტანა ნოემბრის შუა რიცხვებიდანვე დაიწყეს. შეშის შემოტანა კი ძალზე გაჭიანურდა. როგორც სამეურნეო სამსახურში გვითხრეს, ჯერჯერობით, მხოლოდ 150 კუბური მეტრი შეშა შეიძინეს. საწვავის შემოტანა კი იმიტომ ფერხდება, რომ მერიას ტენდერში გამარჯვებული ფირმებისთვის ჯერ ერთი თეთრიც არ გადაურიცხავს და როდის გადაურიცხავს, არავინ იცის. მერიაში, ტრადიციულად, ამბობენ, რომ ბიუჯეტში ჯერ ფული არ არის, თუმცა, საწვავის შემოტანის ხარჯებს ნელ-ნელა, მაგრამ აუცილებლად დაფარავენ. "ფირმები უკვე გვეუბნებიან, საწვავის საფასური ცოტა მაინც მოგვეცითო. მათ თავიდანვე იცოდნენ, რაც ელოდათ. ტენდერის პირობებშიც ჩადებულია, რომ საწვავი ჯერ საკუთარი ხარჯით უნდა შემოიტანონ და მერია ფულს მოგვიანებით, ეტაპობრივად გადაურიცხავს, მაგრამ მათი მდგომარეობაც გასაგებია", - აცხადებს მერიის სამეურნეო სამსახური.

დაუფინანსებლობის გარდა, საგანმანათლებლო დაწესებულებების საწვავით მომარაგებას ერთი პრობლემაც აფერხებს. შენობებს, რომლებშიც ნავთის ღუმელებით თბებიან, საწვავის შესანახი საცავები არა აქვს. ამიტომ მერიას აქ ნავთი ცოტ-ცოტა შეაქვს, რის გამოც ხარჯი მეტია და დროც იწელება. "გადავწყვიტეთ, რამდენიმე რაიონში დიდი ცისტერნები დავდგათ და სკოლებისა და საბავშვო ბაღების ხელმძღვანელობამ კუთვნილი საწვავი თვითონ წაიღოს. ერთი ასეთი ცისტერნა 46-ე სკოლაში უკვე დავდგით. ეს იდეა პედაგოგებმაც მოიწონეს. საწვავის მიწოდება უფრო დაჩქარდება", - კმაყოფილია სამეურნეო სამსახური.

მოკლედ

თბილისი. "AES-თელასის" ადმინისტრაციულ შენობასთან თბილისის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, რომელსაც ელექტროენერგია არ მიეწოდება, საპროტესტო აქცია გამართა. ამჯერად, უკმაყოფილება მერვე ლეგიონისა და კახეთის გზატკეცილის მოსახლეობამ გამოხატა. აქციის მონაწილეთა განცხადებით, მათ უკვე მერვე დღეა ელექტროენერგია არ მიეწოდებათ და, მიუხედავად იმისა, რომ გუშინწინ გზატკეცილი გადაკეტეს, მდგომარეობა მაინც არ გაუმჯობესებულა. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ თელასის შენობიდან არავის გამოუშვებდნენ და არც არავის შეუშვებდნენ. თუმცა, მოგვიანებით მათთან გამოსულმა თელასის თანამშრომელმა აქციის მონაწილეებს განუმარტა, რომ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი უკვე დაიწყო, აღდგა სომხეთიდან ელექტროენერგიის მოწოდება და ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდება. მოსახლეობა ამერიკულ კომპანიას ენდო, თუმცა, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, უფრო რადიკალური ზომების მიღებით იმუქრება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. 44 წლის რუსთაველი მამაკაცი ჯილეხის მსუბუქი ფორმით დაავადდა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ლევან ბაიდოშვილის განცხადებით, დაზარალებული ამჟამად რუსთავის ინფექციურ საავადმყოფოში მკურნალობს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ჯერჯერობით გაურკვეველია, რამ გამოიწვია მისი დაავადება. დაზარალებულმა საავადმყოფოს 29 ნოემბერს მიმართა. იგი აცხადებდა, რომ ათიოდე დღით ადრე თავის ოჯახში ცხვარი გაატყავა და, შესაძლოა, ამ გზით დაავადებულიყო. ავადმყოფის ვერსია ბაიდოშვილს სარწმუნოდ არ ეჩვენება, რადგან ცხვრის ხორცი ავადმყოფის ოჯახის წევრებმაც მიირთვეს და ავად არცერთი მათგანი არ გამხდარა. მანვე აღნიშნა, რომ დაზარალებული სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული, მიწასთან ხშირი კონტაქტი ჰქონდა, თუმცა, დაზუსტებით იმის თქმა, რისგან დაავადდა იგი, არ შეიძლება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერი ელექტროენერგიის მიწოდების მხრივ უბნებისთვის პრივილეგიების გაუქმებას მოითხოვს. ამის შესახებ გუშინ მერიაში გამართულ თათბირზე თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ განაცხადა. ქალაქის მერის განცხადებით, ენერგოკრიზისი უახლოეს დღეებში მოგვარდება, 5 დეკემბერს ჩაირთვება თბილსრესის მე-9 ენერგობლოკი, დამატებითი ელექტროენერგია შემოვა სომხეთიდანაც. დღეისთვის დედაქალაქის გარეუბნებს ელექტროენერგია თითქმის საერთოდ არ მიეწოდება, გამონაკლისს მხოლოდ ცენტრალური უბნები წარმოადგენენ. როგორც ზოდელავა აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ "თბილგაზი" უკვე სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, ბუნებრივი აირის მოწოდებას კონტროლს ყოველდღიურად გაუწევს, რომ მოსახლეობას ამ მხრივ პრობლემები არ შეექმნას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. საახალწლოდ გარე ვაჭრობებსა და ბაზრობებზე გაძლიერებული კონტროლი დაწესდება. როგორც გუშინ მერიაში გამართულ თათბირზე თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ განაცხადა, სადღესასწაულო დღეებში სანიტარული სამსახური, დასუფთავებისა და ვეტსამსახურები შეთანხმებულად იმუშავებენ. საახალწლო განწყობის შესაქმნელად, ხელფასები თვის დასაწყისშივე დარიგდება. დედაქალაქში სადღესასწაულო იერის შესაქმნელად გაფორმდება ვიტრინები და დაიდგმება საახალწლო ნაძვის ხეები. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებით აიკრძალა ცოცხალი ნაძვის ხეების გაყიდვა და მათი ქალაქის ქუჩებში დადგმა. საამისოდ მხოლოდ ნეილონის ნაძვის ხეებს გამოიყენებენ. გარდა ამისა, მერიის თაოსნობით გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. სასმელ წყალზე ძველი დავალიანების ჩამოსაწერად თბილისელებმა „თბილწყალკანალის" რაიონულ სამსახურებს უნდა მიმართონ. ჩამოწერა პირადი განცხადების საფუძველზე ხდება. გაანგარიშებული და ჩამონერილი იქნება ყველა ოჯახის დავალიანება 2002 წლის 1 იანვრამდე. შპს „თბილწყალკანალის" ინფორმაციით, მოსახლეობის დავალიანება დღეისათვის 21 მილიონ ლარს შეადგენს, ჩამოიწერება 15 მილიონზე მეტი ლარი. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. შესაძლო დიდთოვლობასთან დაკავშირებით საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი მზად არის მოსალოდნელი პრობლემების მოსაგვარებლად. სამსახურები უზრუნველყოფილი არიან საწვავით, მანქანა-მექანიზმებით, ტექნიკური მარილით; გზების საუღელტეხილო მონაკვეთებზე ყოველდღიური მორიგეობა დაიწყო. ეს ეხება რიკოთისა და ჯვრის უღელტეხილებს. ჯვრის უღელტეხილი ყველაზე რთული მონაკვეთია, რადგან აქ დიდია ზავასაშიშროება. ამ მიმართულებით დეპარტამენტი ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტთან თანამშრომლობს. სინოპტიკოსების პროგნოზების მიხედვით ზავასაშიშროების შემთხვევაში უღელტეხილი ჩაიკეტება. ჯერჯერობით, ასეთი საშიშროება მოსალოდნელი არ არის. ასე რომ, ყველა მიმართულებით მოძრაობა არ ფერხდება. თოვლთან დაკავშირებით პრობლემები თბილისში არ უნდა შეიქმნას. დედაქალაქის კეთილმოწყობის სამსახური მზად არის უამინდობის შედეგების აღმოფხვრისთვის. შემოტანილია საწვავის მარაგი, ტექნიკური მარილი. ექსპლუატაციისთვის მზადაა მანქანა-მექანიზმები, მათ შორის თოვლსაწმენდი მანქანები, გრეიდერები. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. მესტიის რაიონში პირველი ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ცნობით, დახმარებას დაარიგებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ქეა", განაწილებაზე მონიტორინგს კი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები განახორციელებენ. სულ მესტიაში დარიგდება 225 ტონა ფქვილი, 17 ტონა ზეთი, 11 ტონა შაქარი. დახმარებას 11 ათასი ადამიანი მიიღებს. მესტიისთვის სასურსათო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ, გაერო-ს მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციამ და აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა მიიღეს. ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა ერთობლივად შეაფასეს ძლიერი წვიმების შედეგად მესტიისთვის მიყენებული ზარალი. სტიქიამ გაანადგურა 80 პროცენტი კარტოფილის ნათესი, რაც ამ რაიონისთვის შემოსავლის ძირითადი წყაროა. აღსანიშნავია, რომ აქამდე სვანეთი არ იყო იმ რეგიონების ნუსხაში, რომელსაც მსოფლიო სასურსათო პროგრამა ეხმარება. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო აგრძელებს მოლაპარაკებებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა სვანეთის რეგიონს საგაზაფხულო სამუშაოებისთვის სათესლე კარტოფილი დაურიგდეს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. გასული კვირის განმავლობაში თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ წყალსადენის სათავო ნაგებობებიდან და საკონტროლო წერტილებიდან სასმელი წყლის 124 სინჯი აიღო. ლაბორატორიული გამოკვლევებით დარღვევები არ გამოვლენილა. წყლის ხარისხზე წყალსადენის და კანალიზაციის სისტემების დაზიანებებმა უარყოფითად არ იმოქმედა, ხოლო კვირის განმავლობაში გამოვლინდა წყალსადენის 72 ავარია და საკანალიზაციო ქსელის 97 დაზიანება. ამის შესახებ ინფორმაცია გადაეცა შპს „თბილწყალკანალს" და დღეისთვის ყველა დაზიანება ლიკვიდირებულია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ზოოპარკი წლევანდელ ზამთარს მომზადებული ხვდება. რამდენიმე ვოლიერში გათბობის სისტემაა დამონტაჟებული, რომელიც, როგორც ბუნებრივ აირზე, ისე ელექტროენერგიაზე მუშაობს. ამჟამად ზოოპარკში 170 სახეობის 4.000-მდე ცხოველი ბინადრობს. მიმდინარეობს ახალი ვოლიერის მშენებლობა, სადაც მტაცებელი ფრინველები განთავსდება. **მედია-ნიუსი.**

დაპირისპირება შემთანხმებელ კომისიაში

თბილისის ახალმა საკრებულომ სულ ახლახან გადაწყვიტა, რომ 2003 წელი სამედიცინო დარგის რესტრუქტურიზაციისა და ოპტიმიზაციის შესახებ დებატებს მიუძღვნას. მსჯელობის ერთი წლის განმავლობაში კი დარგის რეორგანიზაციის პროცესი უნდა შეწყდეს. იდეის ავტორების, "ნაციონალისტების", აზრით ჯანდაცვაში მიმდინარე ცვლილებები არსებული ფორმით მიუღებელია და მას ხელახალი საჯარო გააზრება სჭირდება. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში კი ფიქრობენ, რომ ოპტიმიზაციის ერთწლიანი შეჩერება ზარალის მეტს არაფერს მოიტანს.

ზაზა ფაჩუაშვილი

ვასილ ჭეიშვილი

"ნაციონალისტებმა" აღნიშნული საკითხი საკრებულომდე პარლამენტში შეიტანეს და შედეგად ჯანდაცვის კომიტეტმა შექმნა შემთანხმებელი კომისია, რომელსაც სათავეში ორი თანათავმჯდომარე ჩაუყენა - თსსუ-ს ინგლისურენოვანი კათედრის გამგე ლევან მეტრეველი ("ნაციონალური მოძრაობიდან") და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ვასილ ჭეიშვილი, მაგრამ შეთანხმების მაგივრად მოხდა დაპირისპირება, როცა საკრებულომ "ნაციონალისტების" ინიციატივით ოპტიმიზაციის დაძრული პროცესის შეჩერება განიზრახა.

ვასილ ჭეიშვილი: " შემთანხმებელ კომისიაში ბატონი ლევან მეტრეველის მიერ დაყენებულ ბევრ საკითხს დავეთანხმეთ (მაგ. სახელფასო ფონდისა და საკომპენსაციო პაკეტის გაზრდა, მედპერსონალის გადამზადება და ა.შ.) და ამ მიმართულებით მუშაობაც დავიწყეთ, მაგრამ... უცებ ყველაფერი წყდება და გამოდის ეს გადაწყვეტილება."

- თქვენი ოპონენტების თქმით, რესტრუქტურიზაცია და ოპტიმიზაცია ამ ფორმით მიუღებელია...

- როდესაც საუბარია ოპტიმიზაციაზე და რესტრუქტურიზაციაზე, არ მინდა საზოგადოებას დარჩეს ისეთი აზრი, თითქოს ეს ვინმეს აკვიატებული იდეა იყოს. ეს არის სავსებით ბუნებრივი პროცესი, რომელსაც განიცდის ყველა სფერო და ქვეყანა. ყველა საწარმო დაიხურა, რომელმაც ბაზრის მოთხოვნილება ვერ შეასრულა. სამაგიერად წინ მოდის ახალი წარმოება. მაგალითად "ბორჯომი", რომელიც ძველი სახით აღარ არსებობს, მაგრამ მძლავრ სტრუქტურად ჩამოყალიბდა და სერიოზული პერსპექტივები აქვს.

იგივე პროცესები მოხდა სამედიცინო დაწესებულებების შემთხვევაშიც. კომუნისტები ცდილობდნენ, რაც შეიძლება ბევრი საავადმყოფო და ექიმი ჰყოლოდათ, რომ მსოფლიოში ეტრაბახათ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი წარმოუდგენელია ზედმეტი სტრუქტურების შენახვა და ბუნებრივია, რომ შემცირების პროცესებიც დაიწყებოდა. სახელმწიფო ამ პროცესებში ჩაერია, რათა მისთვის მაქსიმალურად მოწესრიგებული და უმტკივნეულო სახე მიეცა. ქვეყანას უნდა ჰქონდეს იმდენი სამედიცინო დაწესებულება და ჰყავდეს იმდენი ექიმი, რამდენიც სჭირდება დღეს და დასჭირდება მომავალში. ოპტიმიზაციის პროცესმა უნდა შეინარჩუნოს საუკეთესო კადრი, რომელიც დასაქმებული იქნება მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ კლინიკაში და სადაც სახელმწიფო პაციენტისთვის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სწორედ ამ ოპტიმიზაციის შედეგად საქართველოს მოსახლეობა მიიღებს ისეთ სამედიცინო მომსახურებას, როგორიც ევროპაშია.

- პრეტენზიაა იმაზე, რომ ქალაქის ცენტრში და პრესტიჟულ უბნებში ხელაღებით იყიდება სამედიცინო დაწესებულებები...

- იყიდება ის შენობები, სადაც ჩატარებულია ტექნიკური რევიზია და დადგენილია, რომ მოცემულ შენობაში ვერასოდეს აშენდება თანამედროვე ტიპის საავადმყოფო. ამასთან, იყიდება ის, რაც იყიდება.

- რა შეიძლება მოჰყვეს საკრებულოს განცხადებას?

ასეთ განცხადებას მოჰყვება ცრუ მოლოდინი ექიმების მხრიდან. სამი თვის განმავლობაში ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს კოლექტივთან, სადაც პაციენტი რამდენიმე თვეა, არ ჰყოლიათ. ბოლო შეხვედრაზე ხალხი დამეთანხმა იმაში, რომ ოპტიმიზაცია მათი გადარჩენის ერთადერთი შანსია. ამ განცხადების შედეგ კი მათ მიაწოდეს ცრუ დაპირება, გაუჩინეს ცრუ მოლოდინი, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს ამ კლინიკის მედპერსონალის მდგომარეობას. ამიტომ საკრებულოს გადაწყვეტილება ჩემთვის მიუღებელია.

- საკრებულოში განცხადება გაკეთდა უფასო სასწრაფო დახმარებების საკითხი, მართლაც, მნიშვნელოვანია, მაგრამ ინვალიდთა პრობლემების მოსაგვარებლად ეს არ არის საკმარისი. პარლამენტის შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე მთავრობისგან მოითხოვს იმ საერთაშორისო კონვენციის შესრულებას, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ინვალიდებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებას ითვალისწინებს და რომელსაც საქართველო რამდენიმე წლის წინ შეუერთდა.

ყოფოდ გამოაცხადა და უფასო გახადა, მაგრამ... სინამდვილეში რა გამოვიდა? კლინიკა ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ აუცილებელი გახდა მისი ოპტიმიზაციის გეგმაში მოქცევა, რათა კარგი კადრის შენარჩუნება შევძლოთ უკვე თანამედროვე კლინიკებისთვის. აი, ეს არის ოპტიმიზაციის შედეგი ტრაფარეტული განცხადებების საწინააღმდეგოდ.

ახლახან მსოფლიო ბანკის კონფერენციაზე ვიმყოფებოდი. საუბარი იყო სწორედ სტაციონარული ქსელის ინტეგრაციაზე. მთელი მსოფლიო ინტეგრაციისკენ მიდის. ამის ფონზე მსგავსი გადაწყვეტილებები ცარიელი სიტყვებია, რომლის უკან არაფერი დგას.

- როგორ აისახება საკრებულოს განცხადება ოპტიმიზაციაზე?

- ჩვენი სამინისტრო ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას და პრეზიდენტის ბრძანებულების შესრულებას. საკრებულოს მისი გაუქმების უფლებამოსილება არა აქვს. უბრალოდ ხალხი ტყუვდება და არ მინდა, მისი კიდევ ერთი იმედგაცრუება ვიხილო.

ფინანსთა სამინისტრო ინვალიდებს, საგადასახადო შეღავათების სანაცვლოდ, დამატებით სუბსიდიებს სთავაზობს

დღეს, საღამოს, ავთანდილ ჯორბენაძე სახელმწიფო კანცელარიაში ინვალიდთა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს შეხვდება. მოწვეულნი არიან ფინანსთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა სამინისტროების წარმომადგენლები. ამ უკანასკნელმა სახელმწიფო მინისტრის ამასწინათ მიღებული დავალება, უნარშეზღუდულ პირთათვის საჭირო ღონისძიებათა ნუსხა უნდა წარმოადგინოს. ფინანსთა სამინისტროს კი ამ ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა დაევალება.

გოგა კოხრეიძე

ვასილ გიგოლაშვილი

ეთერ მამულაშვილი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საგადასახადო შეღავათების საკითხი ფინანსთა და ჯანდაცვის სამინისტროებს დღემდე უნდა მოეგვარებინათ. შეგახსენებთ, რომ, მოქმედი კანონმდებლობით, ინვალიდები და მათი საწარმოები წლების მანძილზე გათავისუფლებული იყვნენ სხვადასხვა გადასახადისგან. 1 აგვისტოდან, სავალუტო ფონდის მოთხოვნით, ეს შეღავათები ფინანსთა სამინისტრომ გააუქმა, რასაც სახელმწიფო კანცელარიასთან ინვალიდების ხმაურიანი და რამდენიმედღიანი საპროტესტო აქცია მოჰყვა. სექტემბერში სახელმწიფო მინისტრმა ფინანსთა მინისტრს, მირიან გოგიაშვილს, რამდენჯერმე დაავალა ამ პრობლემის მოგვარება. ფინანსთა სამინისტრომ ინვალიდებს შეღავათების რამდენიმე პროექტი წარუდგინა, თუმცა, არც ერთი მათგანი ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მისაღები არ აღმოჩნდა.

პარლამენტის შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის, გოგა კოხრეიძის თქმით, უკანასკნელ პროექტში ჩადებული იყო ერთადერთი შეღავათი, რაც მიწისა და ქონების გადასახადის კომპენსირებას ითვალისწინებდა. კოხრეიძე "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის" შესახებ კანონის 32-ე მუხლის ცხოვრებაში გატარებას მოითხოვს. "კანონის ეს მუხლი ინვალიდებისთვის სუბსიდიების გამოყოფას, შეღავათიანი სესხისა და გადასახადებისგან გათავისუფლებას გულისხმობს, რაც ფინანსთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს", - გვითხრა გოგა კოხრეიძემ.

ფინანსთა სამინისტრო მზად არის, საგადასახადო შეღავათების სანაცვლოდ, გამოყოს დამატებითი სუბსიდიები ინვალიდთა სხვადასხვა პროგრამის დასაფინანსებლად. მინისტრის მოადგილემ, ვასილ გიგოლაშვილმა, "24 საათთან" საუბრისას განმარტა, რომ ინვალიდთა საწარმოებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებას ფინანსთა სამინისტრო ამ ეტაპზე არ აპირებს. რაც შეეხება მიწისა და ქონების გადასახადის კომპენსირებას, გიგოლაშვილის თქმით, ეს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში უკვე გაწერილია.

კოხრეიძე აცხადებს, რომ კომპენსირების საკითხი, მართლაც, მნიშვნელოვანია, მაგრამ ინვალიდთა პრობლემების მოსაგვარებლად ეს არ არის საკმარისი. პარლამენტის შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე მთავრობისგან მოითხოვს იმ საერთაშორისო კონვენციის შესრულებას, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ინვალიდებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებას ითვალისწინებს და რომელსაც საქართველო რამდენიმე წლის წინ შეუერთდა.

პროგრამაშია მძღოლთა უფლებები და დასასვენებელი ადგილები

მომავალი წლის გაზაფხულიდან მოქმედებას იწყებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ერთობლივი პროექტი, რომლის მიზანია სამივე რეგიონის საავტომობილო გზებზე მძღოლთა უფლებების დაცვა. ამავე პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი მძღოლებისთვის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების თარგმნა და ამ ბუკლეტების უფასოდ გავრცელება.

ეთერ მამულაშვილი

სულ ცოტა ხნის წინათ კავკასიის ქვეყნების მძღოლთა უფლებების დამცავი სამი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ერთმანეთს თბილისში შეხვდნენ. მათ ხელი მოაწერეს ერთობლივი თანამშრომლობის ოქმს. შეხვედრაზე არასამთავრობოები შეთანხმდნენ, რომ თითოეულ მათგანს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ სრულყოფილი პროექტი 20 დეკემბრისთვის ექნება მზად.

ევრაზიის ფონდის მიერ გამოყოფილი პირველი ეტაპის გრანტის ფარგლებში, ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. მეორე ეტაპის გრანტი, რომელიც თითოეული ქვეყნისთვის 35.000 დოლარს (სულ 105.000 დოლარი) ითვალისწინებს, ერთი წლის მანძილზე მძღოლთა უფლებების დასაცავად რამდენიმე საინტერესო პროგრამის განხორციელებას მოხმარდება.

სამივე ქვეყნის საზღვრებზე, საბაჟოებსა და ავტოგასამართ სადგურებზე დაიდგმება დიდი სარეკლამო აბრები, რომლებზეც განთავსდება მძღოლებისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია, მათ შორის, მძღოლთა უფლებების დამცავი არასამთავრობო ორგანიზაციების კოორდინატები.

პროექტის ქართული მხარის კოორდინატორი რობერტ იანტბელიძე: "დავუშვათ, სომეხი მძღოლი საქართველოს გავლით მიდის რუსეთში. რომელიღაც წესის დარღვევისთვის მას პოლიციელი აჩერებს და სთხოვს 20 ლარს. მძღოლმა არ იცის, რომ ეს ჯარიმა, ოცი კი არა, ხუთი ლარი ღირს. ამიტომ ჩვენი მიზანია, სატრანზიტო (და არა მარტო მათ) მძღოლებმა ზუსტად იცოდნენ, რომელ დარღვევაზე რამდენია ჯარიმა. ბუკლეტებში, რომლებსაც დავბეჭდავთ და უფასოდ გავავრცელებთ, ეს ინფორმაციაც იქნება მოთავსებული. ამავე ბუკლეტში მძღოლთა უფლებების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ნახავთ."

ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, საავტომობილო გზებზე მოეწყოს მძღოლთა მოსასვენებელი ადგილები. საჭიროების შემთხვევაში, საკუთარ ავტომობილებს შეაკეთებენ კიდეც. აქვე იქნება ღამის გასათევი ადგილიც დაგვიანებული მძღოლებისთვის. "საავტომობილო გზებზე დაყაჩაღების ფაქტების სტატისტიკა საგანგაშოა. ამიტომ გვინდა, რომ ასეთი ადგილებით, გარკვეულწილად, უზრუნველვყოთ მძღოლთა უსაფრთხოება.

ამ პროექტით, ყველაზე მეტად, სომხური მხარეა დაინტერესებული, რადგან საქართველო მათთვის საბაზრო ქვეყანაა. არაოფიციალური სტატისტიკა, დაახლოებით, ასეთია: თუ საქართველოდან სომხეთში ერთი მანქანა გადის, სომხეთიდან ჩვენს ქვეყანაში ორმოცი შემოდის,"- გვითხრა რობერტ იანტბელიძემ.

ქართული რეფორმა სამხრეთკავკასიური განსჯის საგანი ხდება

პირველი გვერდიდან

კონფერენციის თემის მნიშვნელობას მოწმობს კავკასიაში გერმანიის მთავრობის ტექნიკური დახმარების საზოგადოების წარგზავნილის ცენო რაიხენბეხერის სიტყვები: **“კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვა ეჭვქვეშ აყენებს თავად სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობას”.**

თავისთავად, გადასინჯვის პრაქტიკა საბჭოური გადმონაშთია და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამ გამოცდილებას საერთოდ არ იყენებენ, პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობაში კი დღემდე შემორჩენილია.

არადა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას თქმით: **“კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვა ზედამხედველობის წესით საშიშროებას უქმნის სამართალწარმოების სტაბილურობასა და ადამიანის უფლებების დაცვას, რადგან გადაწყვეტილების გადასინჯვა არ იზღუდება ვადებით; ამასთან, გადასინჯვა ხდება კონკრეტული საქმით დაინტერესებული პირის – პროკურორის ან სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით. ეს კი ნიშნავს, რომ ნებისმიერი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების თავზე დამოკლეს მახვილივითაა აღმართული მისი გაუქმების საფრთხე. თანაც, როდის მოხდება ეს, ამას ვერავინ იწინასწარმეტყველებს”.**

ლევან ნარსეულიანის ფოტო

ქართველი კოლეგის აზრს ბოლომდე არ ითვალისწინებს სომხეთის საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე გენრიკ დანელიანი. მისი თქმით:

“სომხეთში სასამართლო რეფორმის შემდეგ დარჩა შესაძლებლობა კანონიერ გადაწყვეტილებათა გადასინჯვისა, რადგანაც ჩვენი სახელმწიფო ჩამოყალიბების გარდამავალ ეტაპზე იმყოფება და ეს პრაქტიკა მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ. როცა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სამართლებრივი აზროვნება და არსებობს საშიშროება სასამართლოს მხრიდან შეცდომის დაშვებისა, შეცდომის არ გამოსწორების შემთხვევაში, შეიძლება სავალალო შედეგები მივიღოთ.

ჩვენში კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრავს გადასინჯვის ინიციატორებს. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაპროტესტება შეუძლიათ მხოლოდ განსაკუთრებული ლიცენზიის მქონე ადვოკატებს, რომლებიც საკასაციო სასამართლოში არიან რეგისტრირებულნი; აგრეთვე მაშინ, თუ საქმე სისხლის სამართალს ეხება, გადასინჯვის ინიციატივა შესაძლოა გენერალური პროკურორისგან ან მისი მოადგილეებისგან მომდინარეობდეს.”

სასამართლო რეფორმის ქართულ ვარიანტთან შედარებით ახლოს დგას აზერბაიჯანული. აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის რაფაელ გვალაძის თქმით:

“ჩვენ ყველას საკუთარ ქვეყნებში სამართალწარმოების განსაკუთრებული სპეციფიკა გვაქვს, თუმცა ორიენტირი ერთია: სამართალწარმოება უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების დაცვას საერთაშორისო ნორმების შესაბამისად. სწორედ ამ გზაზე ჩვენც, ქართველების მსგავსად, იმ დასკვნამდე მივედით, რომ უარი უნდა ვთქვათ გადასინჯვის პრაქტიკაზე”.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, რაც, მონაწილეთა აზრით, გამოცდილების გაზიარების დროს სრულიად ნორმალურია, ამ კონფერენციას, ორგანიზატორთა თქმით, სამართლებრივთან ერთად, პოლიტიკური თვალსაზრისითაც ენიჭება მნიშვნელობა.

“თბილისი და საქართველო სამხრეთკავკასიური ინტეგრაციის ცენტრი ხდება, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ლადო ჭანტურიამ, - **აზერბაიჯანელი და სომეხი კოლეგები სიამოვნებით ჩამოდიან საქართველოში და მსჯელობენ საერთო პრობლემებზე. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ვერ წარმოიდგენია ამ რეგიონის მომავალი ამ სახელმწიფოების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის გარეშე. არადა, სომეხ და აზერბაიჯანელ კოლეგებს იშვიათად ეძლევათ ერთად დასხდომის შესაძლებლობა”.**

დღეიდან საქართველოს გამოცდაჩაბარებული პროკურორები ჰყავს

შაბათს საკანონმდებლო ორგანოს სხდომათა დარბაზში ქვეყნის კანონაღმსრულებელმა პროკურორებმა საკუთარი საკანონმდებლო ცოდნის დემონსტრირება მოახდინეს.
საკვალიფიკაციო გამოცდის პირველ ეტაპზე, პროკურატურის 244 თანამშრომელი გამოცხადდა...
პარალელურად, პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში ტესტირება აფხაზეთის პროკურატურის 24-მა თანამშრომელმაც გაიარა.

თამარ კაკიტაძე

ჩატარებული გამოცდით კმაყოფილია ტესტირების ორგანიზატორი, იუსტიციის საბჭოს მდივანი ზურაბ აბაშიძე. **“თუ არ ჩავთვლით მცირე ორგანიზაციულ ლაფსუსს, ფაქტობრივად, გამოცდები ნორმალურ ატმოსფეროში ჩატარდა. ტესტირება მაქსიმალურად გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. მას დაკვირვებას უწევდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები, მაგრამ გადაწერის კი არა, უბრალო გადალაპარაკების ფაქტიც კი არ დაუფიქსირებიათ. სხვა დარღვევებზე ხომ საუბარიც ზედმეტია”,** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ზურაბ აბაშიძემ.

მართალია, გამოცდიდან გამოსული, პროკურატურის ყველა თანამშრომელი დარწმუნებული იყო, რომ ტესტირებას წარმატებით გაართვა თავი, მაგრამ საბოლოო შედეგებით რვა ჩაჭრილი პროკურორი მაინც გამოვლინდა. ვინ არიან ოროსანი სამართალდამცველები, იუსტიციის საბჭოში, ჯერჯერობით, არ ასახელებენ. ისე, ტესტირების ორგანიზატორი იუსტიციის საბჭოს მდივანი საპროკურორო გამოცდებს წარმატებულს უწოდებს, რადგან გამოცდას თავი წარმატებით 258 “აბიტურიენტმა” გაართვა. აქედან, უმაღლესი შეფასება – 100 ქულა 83 პროკურორმა დაიმსახურა.

ერთი სიტყვით, საპროკურორო გამოცდის პირველი ეტაპი დასრულდა და დღეიდან საქართველოს გამოცდაჩაბარებული პროკურორები ეყოლება თუმცა, ეს არ ეხება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, სადაც, ასლან აბაშიძის დამსახურებით, უკვე რამდენიმე წელია, იუსტიციის საბჭო აღარ არსებობს. გამოცდების ჩატარება კი, კანონით, სწორედ იუსტიციის საბჭოს მოვალეობაა.

ტრანზიტულად გაფორმებული ტვირთი ქართული აღმოჩნდა

საქართველოდან ხე-ტყისა და ჯართის კონტრაბანდა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ეკონომიკური დანაშაულია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაბანდისტთა გამოვლენა, თუ მოინდომებენ, სამართალდამცველებს ადვილად ხელეწიფებათ, მსგავსი ფაქტები იშვიათად ხდება ხოლმე. ამჯერად საქმე სწორედ ასეთ იშვიათობასთან გვაქვს.

1 დეკემბერს შს სამინისტროს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს ბათუმელი ჯემალ ჯაფარიძე, რომელმაც წელს, მარტსა და აპრილში, როცა საქართველოდან ძვირფასი ჯიშის ხის მასალისა და ფერადი ლითონების ექსპორტი აკრძალული იყო, თურქეთში 392 ათასი დოლარის ღირებულების ტვირთი – დურალუმინის ჯართი და წაბლის, წიფლის და ფიჭვის მორები გაიტანა. ნიშანდობლივია, რომ ჯაფარიძის მიერ ჩატარებული ოპერაცია ძალზე ტიპურია. მან ტვირთი ტრანზიტულად (საქართველოს გავლით, რუსეთიდან თურქეთში გადასატანად) გააფორმა. ბათუმის საბაჟოზე წარდგენილ დოკუმენტაციაში რუსეთის საზღვრის გადაკვეთის საბუთიც ფიგურირებს და გორის საბაჟოს გავლისაც. მართალია, გორის საბაჟოზე, თურმე, ახლაც ირწმუნებიან, ტვირთმა ჩვენთან გაიარაო, მაგრამ, კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის მალხაზ ლიპარტიას თქმით, მძღოლები, რომლებმაც ტვირთი თურქეთში გადაიტანეს, ამბობენ, რომ მანქანებში ჯართი და ხის მასალა აჭარაში ჩატვირთეს. იმავე ლიპარტიას თქმით, რუსეთიდან მიღებული პასუხებიც საბუთების გაყალბებაზე მიუთითებს. კერძოდ, რუსეთიდან საქართველოში ამ ტვირთის შემოსვლა რუსეთის მხარის კომპიუტერულ მონაცემებში დაფიქსირებული არ არის, ხოლო იმ ფირმებიდან, რომლებიც დოკუმენტაციაში ტვირთის მფლობელებად არიან მოხსენიებულნი, ერთი საერთოდ არ არის რეგისტრირებული, მეორეს კი კარგა ხანია შეწყვეტილი აქვს არსებობა.

გამოვლენილი დანაშაულის მოკვლევის მასალები გუშინ პროკურატურაში გადაიგზავნა და უახლოეს მომავალში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი გადაწყდება.

მოკლედ

გალში მომხდარი აფეთქებისას ცნობილი ბოევიკები დაიღუპნენ

აფხაზეთში მორიგი აფეთქება მოხდა. გალის რაიონის სოფელ შეშელეთში ნაღმზე ავტომანქანა აფეთქდა. აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა. გალის უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, გარდაიცვალა 2 აფხაზი - ნინუა და ხარჩილავა, ასევე, სოხუმის ყოფილი მკვიდრი, ქართველი ეროვნების ანჩაბაძე. მისი ცხედარი გუშინ ზუგდიდში გადაასვენეს.

არსებული ინფორმაციით, დაღუპულები ბუთბას ცნობილი დაჯგუფების აქტიური წევრები იყვნენ და გალის რაიონში საპასპორტო რეჟიმის შესამოწმებლად ჩაიყვანეს. ნოემბრის დასაწყისში მათ დააკავეს გალში მცხოვრები 23 ქართველი იმ მიზეზით, რომ მათ არ ჰქონდათ არძინბას ადმინისტრაციის მიერ დამოწმებული პირადობის მოწმობები. გავრცელებული ინფორმაციებით, გარდაცვლილებს გალის რაიონის ქართული მოსახლეობის დატერორებით არაერთხელ გამოუჩენიათ თავი. ნინუა და ხარჩილავა ცნობილი ბოევიკები იყვნენ. ისინი გალის ბაზარს აკონტროლებდნენ.

არძინბას ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ტერაქტი მოაწყვეს ზუგდიდიდან სპეციალურად შეგზავნილმა პარტიზანებმა. პარტიზანული დაჯგუფების, “ტყის ძმების,” ლიდერი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და აფეთქებას აფხაზ ბოევიკებს მიაწერს.

ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელების ვინაობა დადგენილია

უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილის ვიქტორ შოკინის ინფორმაციით, პროკურატურამ დაადგინა ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის შემსრულებელთა ვინაობა. “მართალია, დადგენილია ღონღაძის მკვლელობის უშუალო შემსრულებლები, მაგრამ მკვლელობის შესახებ არსებული ყველა ვერსია, ჯერჯერობით, კვლავ ძალაში რჩება, რადგან უცნობია - ვინ შეუკვეთა ჟურნალისტის მკვლელობა. მკვლელების შესახებ სერიოზულ ინფორმაციებს ვფლობთ, მაგრამ ვინაობას ჯერ ვერ დავასახელებთ იმ მიზეზის გამო, რომ მათ დასაკავებლად მიმდინარეობს ოპერატიული მუშაობა,” – განაცხადა გენერალური პროკურორის მოადგილემ.

გროზნოში ბოევიკთა შეხვედრას მასხადოვი ხელმძღვანელობდა

გავრცელებული ინფორმაციებით, გროზნოში ჩატარდა საველე მეთაურთა შეხვედრა, რომელსაც ასლან მასხადოვი ხელმძღვანელობდა. შეხვედრაზე, რომელიც, კარგა ხანია, იგეგმებოდა, მასხადოვი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ჩავიდა. ასლან მასხადოვმა გამოჩენილი გმირობისთვის დააჯილდოვა აიდემიროვის დაჯგუფების მებრძოლები, რომლებმაც ხანკალაში რუსეთის საბრძოლო ვერტმფრენი ჩამოაგდეს.

რუსეთის სპეცსამსახურები კატეგორიულად უარყოფენ მასხადოვის მიერ ჩატარებული შეხვედრის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას. “ჩვენ ამ შეხვედრის თაობაზე არაფერი ვიცით; მეტიც, საერთოდ არ ვფლობთ არანაირ ინფორმაციას ასლან მასხადოვის ადგილსამყოფელის შესახებ,” – ასეთი ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელეს რუსმა ძალოვანებმა.

კავკასიელ მძარცველებს მოსკოვის მილიცია ეძებს

მოსკოვში, მარშალის ქუჩაზე მდებარე ვალუტის გადამცვლელ პუნქტს თავს დაესხა სამი მძარცველი. მოსკოვის მილიციის ინფორმაციით, თავდამსხმელები კავკასიური გარეგნობის ახალგაზრდები იყვნენ. მათ გადამცვლელი პუნქტის თანამშრომელს დანის მუქარით აიძულეს კარის გაღება და გაიტაცეს 300 ათასი რუბლი და 5 ათასი დოლარი. დადგენილია გამტაცებელთა მანქანის ნომერი და სერია, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს მძარცველთა ძებნისა და დაკავების ოპერაცია.

ენგურის ხიდზე დაკავებული სომეხი ჯარისკაცები გაათავისუფლეს

პარტიზანები ირწმუნებიან, რომ გათავისუფლებულები ”ბაგრამიანის” ბატალიონის წევრები იყვნენ

ინგა ალავიძე

პარტიზანული დაჯგუფება ”ტყის ძმების” მიერ ენგურის ხიდზე დაკავებული 8 სამხედრო მოსამსახურე გალის უშიშროების სამსახურმა ჩატარებული მოკვლევის შემდეგ გაათავისუფლა. ისინი უკან, ახალქალაქში გაამგზავრეს.

გალის უშიშროების სამსახურის უფროსის კობა მიქაიას ინფორმაციით, პარტიზანთა მიერ დატყვევებულები არიან ახალქალაქში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფილი თანამშრომლები – რიგითები, ეფრეიტორები და ლეიტენანტები. დაკავებულთა ახსნა-განმარტებით, ახალქალაქის რუსეთის სამხედრო ბაზაში თანამშრომელთა შემცირებები დაიწყო. სწორედ ამ დროს გუდაუთის სამხედრო ბაზიდან ახალქალაქში მივიდა ტელეფონოგრამა. გუდაუთა ითხოვდა სამხედრო მოსამსახურეებს. სხვათა შორის, მსგავსი შინაარსის შეტყობინება გუდაუთაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ნაწილიდან ამიერკავკასიის ყველა სამხედრო შენაერთში დაიგზავნა. ახალქალაქის სამხედრო ნაწილის მეთაურობამ გუდაუთაში გაამგზავრა საშტატო შემცირების გამო სამსახურიდან დათხოვნილი თანამშრომლები. ისინი 27 ნოემბერს თავად ჩაიყვანეს ზუგდიდის სოფელ ურთაში, საიდანაც სამხედროები გუდაუთაში გადავიდნენ. პირობის მიხედვით, ახალქალაქელ ჯარისკაცებს გუდაუთაში საუკეთესო საცხოვრებელ და სამუშაო პირობებს – კომფორტულ საცხოვრებელ ბინებს და 10 ათას მანეთიან ხელფასს ჰპირდებოდნენ. ჯარისკაცებმა, ადგილზე ჩასვლისა და სიტუაციის დეტალურად გაცნობის შემდეგ, უარი თქვეს გუდაუთაში სამსახურზე. ”შემოთავაზებული პირობები ტყუილი აღმოჩნდა, რეალურად გუდაუთაში საშინელი პირობები დაგვხვდა, ამიტომაც უკან დავბრუნდით,” – ასეთი ახსნა-განმარტება მისცეს დაკავებულმა სამხედროებმა გალის უშიშროების სამსახურს.

ჩატარებული შემოწმებისას დატყვევებულებს აღმოაჩნდათ: რუსეთის ფედერაციის სამსახურებრივი პასპორტი, გუდაუთიდან გამოგზავნილი ტელეფონოგრამა, ახალქალაქის სამხედრო ბაზის მიერ გაცემული სამივლინებო ფურცელი და პირადი საქმე.

ერთი სიტყვით, სამართალდამცველებმა დაკავებულები დაკითხეს და რადგან მათ კრიმინალის ჩადენა არ დაუმტკიცდათ, ამიტომ გაათავისუფლეს. თუმცა, ეჭვი, რომ რამდენიმე დღის წინ ენგურის ხიდზე დაკავებული რუსეთის სამხედრო ნაწილის 8 სომეხი ჯარისკაცი, აფხაზეთის ომში გამოჩენილი სისასტიკით სახელგანთქმული ”ბაგრამიანის” ბატალიონის წევრები იყვნენ, პარტიზანებს ისევ დარჩათ. მსგავსი ეჭვი გალის უშიშროების სამსახურსაც გაუჩნდა. საქმე ისაა, რომ დაკავებულთა ხელთ არსებული პირადი საქმის მიხედვით, სამხედროები 1992 წლის 28 აგვისტოს, აფხაზეთის ომის დაწყებიდან 2 კვირის შემდეგ, ახალქალაქის სამხედრო ბაზიდან მოხსნეს და სხვა ბატალიონში გადაიყვანეს. ერთი წლის შემდეგ კი, 1993 წლის ნოემბრის დასაწყისში, სოხუმის დაცემიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, კვლავ ახალქალაქის სამხედრო ბაზაში დააბრუნეს. დაკითხვისას სამხედროებმა კატეგორიულად უარყვეს ”ბაგრამიანის” ბატალიონის წევრობა; თუმცა, არ დაკონკრეტეს, 1992-93 წლებში რომელ ბატალიონში მსახურობდნენ.

”დაკავებულებს ჰქონდათ პირადი საქმეც, სადაც ეწერა, რომ 1992-93 წლებში, სწორედ იმ პერიოდში, როცა აფხაზეთის ომი მიმდინარეობდა, ახალქალაქიდან სხვა ბატალიონში გადავიდნენ სამუშაოდ. მართალია, დოკუმენტებში არ ეწერა, რომ ისინი **”ბაგრამიანის” ბატალიონში მსახურობდნენ, მაგრამ ყველა არსებული დეტალით ლოგიკურად მივდივართ დასკვნამდე, რომ ისინი იმ სომხური ბატალიონის წევრები იყვნენ, რომლებმაც აფხაზეთის ომის მსვლელობისას ქართველთა გენოციდი მოაწყვეს,”** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა გალის გამგებლის პარტიზანმა მოადგილემ დავით შენგელიამ.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პარტიზანებს ტელეფონით ესაუბრა უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია და დაჰპირდა, რომ გალის უშიშროების სამსახურის მიერ დაწყებულ მოკვლევას გააგრძელებს ახალქალაქის უშიშროების სამსახური, სადაც დეტალურად გამოიძიებენ ენგურის ხიდზე დაკავებულთა სამხედრო ბიოგრაფიას და გუდაუთაში ახლანდელი მოგზაურობის დეტალებსაც.

”რუსეთის სამხედრო ნაწილის ჯარისკაცების გუდაუთაში გადასვლა ახლაც საეჭვო ვითარებაში მოხდა. დაკავებულები, საქართველოს სომეხი ეროვნების მოქალაქეები არიან. რუსეთი თავის სამხედრო პოლიტიკას კვლავინდებურად აგრძელებს – გუდაუთის ბაზის გაძლიერება მიმდინარეობს, რომელსაც შემდეგ გამოიყენებენ საქართველოსთან დასაპირისპირებლად. ამიტომაც არ გვჯერა, რომ ახალქალაქში გამოძიება ლოგიკურ დასასრულამდე მივა. საქართველო რუსეთს ამჯერადაც ანგარიშს გაუწევს,” – ეჭვობენ პარტიზანები.

ცხრა წლის წინ მოპარული უძველესი ხატები საპატრიარქოს დაუბრუნდა

ხათუნა ჭანგირაშვილი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი ჯაბა ჯანხოთელი და მისი თანამშრომლები გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, გიორგი ჩუბინაშვილის ისტორიულ ნაშრომს - 1956 წელს გამოცემულ წიგნს ეცნობოდნენ. ქართული ოქრომჭედლობის შესახებ ისტორიული მიმოხილვისა და ანოტაციების წაკითხვა მათ გუშინწინ ჩატარებული ოპერაციის შედეგების გადასამოწმებლად დასჭირდათ. საქმე ისაა, რომ ჯაბა ჯანხოთელის უწყებამ სვანეთის ერთ-ერთი სოფლიდან ქვეყნის გარეთ გასატანად გამზადებულ, დაახლოებით, რვა წლის წინ მოპარულ უნიკალურ ქართულ ხატებს მიაგნო.

სავარაუდოდ, ხატები სვანეთის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის - წვისინის ტაძარს ეკუთვნის და ისინი 1993 წელს მოიპარეს. შინაგან საქმეთა სამინისტროში მოწვეულმა სპეციალისტმა სამართალდამცველთა წინასწარი დასკვნები დაადასტურა. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებისა და სპეციალისტის შეფასებები ერთმანეთს დაემთხვა – ნაპოვნი ხატები: “ტახტზე მჯდომი ქრისტე” და “მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები სამხედრო სამოსელში” მე-8 საუკუნისაა.




ლევან ნარსეულიანის ფოტო

”ტახტზე მჯდომი ქრისტე” და ”მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები სამხედრო სამოსელში”

“ხატები საქართველოს ფარგლებს გარეთ გასატანად ჰქონდათ მზად. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მოხდა ჩასაფრება. წლების წინ ნაქურდალი დაუზიანებლად დავიბრუნეთ და დავაკავეთ ერთი პიროვნება”, – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ჯაბა ჯანხოთელმა. სამართალდამცველები დაკავებულის ვინაობას მკაცრად ასაიდუმლოებენ, ამის მიზეზად კი გამოძიების ინტერესებს ასახელებენ. **“ჯერ კიდევ ჩასატარებელი გვაქვს მთელი რიგი ოპერატიული სამუშაოები. რაც მთავარია, ხატები ვიპოვეთ, დამნაშავეებსაც მივხედავთ”,** - აცხადებს ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოს უფროსი.

ჩვენი ინფორმაციით, მე-8 საუკუნის ხატებით, ერთ-ერთი ცნობილი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი დააკავეს. უახლოეს მომავალში კანონდამცველები ამ ჯგუფის სხვა წევრების დაპატიმრებასაც ვარაუდობენ. საზღვარგარეთ გაყიდვას გადარჩენილი, მესტიის რაიონიდან ჩამოტანილი უძველესი ქართული ხატები გუშინ საღამოს შინაგან საქმეთა მინისტრმა საპატრიარქოს გადასცა.

საარჩევნო ტერორი თუ დემოკრატის გილიოტინა?!

მაია მოსიაშვილი

რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, საპარლამენტო არჩევნები რუსთავში შედგა. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მოპოვება გუშინ შეუძლებელი იყო. კომისიის მდივნის, გია გუნიავას მტკიცებით, შემაჯამებელი ოქმები ცესკო-ში წაიღეს და ასლებიც თან გაატყოლეს.

ასეა თუ ისე, გამართლდა როლანდ მგალობლიშვილის ნათქვამი - არჩევნები შედგა და ჩემი კონკურენტები დამარცხდნენო. მგალობლიშვილი თავის გამარჯვებას ლოგიკურს უწოდებს და აცხადებს, რომ რუსთავში რუსთაველმა გაიმარჯვა. მისი თქმით, კენჭისყრის პროცესს ხარვეზების გარეშე არ ჩაუვლია, თუმცა, დიდი მასშტაბით გაყალბება არ ყოფილა.

რუსთავში საარჩევნო აბსურდი ჩვეულებრივ ამბად ჩაითვლებოდა, რომ არა ის ტრაგედია, რომელიც იქ არჩევნების მეორე დღეს დატრიალდა. 38 წლის რუსთაველ მედეა ბერაძეს გული გაუსკდა და ის საარჩევნო ტერორის მსხვერპლი გახდა - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა "სამართლიანი არჩევნების" პრესცენტრმა.

"ის ჩვენი დამკვირვებელი იყო 33-ე უბანზე. გვაქვს ამ ქალბატონის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათის ასლი, სადაც წერს, რომ მას სთავაზობდნენ 80 ლარს, გაყალბებაზე თვალის დახუჭვის შემთხვევაში. თანხაზე უარის თქმის შემდეგ დაუწყეს ტერორიზება და დაშინება. ეს არის ამაზრზენი ფაქტი, როდესაც ადამიანის სიცოცხლე არჩევნებს ეწირება. უკვე იყო ასეთი შემთხვევები გლდანში, მარტვილში. საქართველოში, სხვა სახის ტერორთან ერთად, საარჩევნო ტერორიც შემოვიდა - ადამიანებს, რომელთა მოსყიდვას ვერ ახერხებენ, უსწორდებიან ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა და ზეწოლის გზით, ემუქრებიან შვილების დახოცვით, მეუღლის მოკვლით, აფეთქებით... არ ვიცი, რა სახის მუქარა იყო მედიკო ბერაძის შემთხვევაში, მაგრამ მისი მეუღლე ადასტურებს, რომ ქალბატონი მედიკო არჩევნებს შეეწირა," - აცხადებს "სამართლიანი არჩევნების" ხემძღვანელი ნუგზარ კუპრეიშვილი.

გარდაცვლილის მეუღლე ბიჭიკო ვაჭარაძე: **"არჩევნების დღეს სახლში მოვიდა ღამის პირველ საათზე, გადარეული და გაგიჟებული. ამბობდა, რომ ემუქრებოდნენ - არ გინდა, იცხოვრო ამ ქალაქშიო?! ბავშვები გეზრდებაო და ასე შემდეგ. კვირას "სამართლიანი არჩევნების" შეკრებაზე წავიდა. მის გარდა კიდევ ყოფილა ხალხი, ვისთვისაც იგივე სიტყვები უთქვამთ და ისევე დამუქრებიან.**

ჩემი მეუღლე "სამართლიანი არჩევნებს" წარმოადგენდა და სამართლიან არჩევნებში ვინც გაიმარჯვებდა, იმას დაუდგებოდა გვერდში. ბოლოს და ბოლოს, აღარ უნდა ეშველოს საქართველოს?! როდის მოვა ის დრო, როცა ჩვენი შვილი აღარ იკითხავს, მამი სამსახური და ფული რომ გექნება, რაღაცას ხომ მიყიდი, - ამას ნატრობდა ის ქალი და იმიტომ იდგა იქ."

ბერაძის მულის, ია ვაჭარაძის თქმით, მისი რძალი მას შემდეგ გახდა ცუდად, როცა მას სახლში დაურეკეს და დაემუქრნენ. ამ სატელეფონო საუბრის შესახებ არაფერი იცის ბიჭიკო ვაჭარიძემ. მიუხედავად ამისა, ეჭვი არ ეპარება, რომ მისმა სამმა შვილმა დედა არჩევნების გამო დაკარგა.

წინასწარი მონაცემების მიხედვით, არჩევნებში გამარჯვებული როლანდ მგალობლიშვილი ბერაძის გარდაცვალებას არჩევნებს არ უკავშირებს და აცხადებს, რომ 33-ე უბანზე არანაირ ექსცესს ადგილი არ ჰქონია.

"აქ სხვა რამ იკვეთება. ჩემმა დამკვირვებლებმა მომაწოდეს ინფორმაცია, რომ "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელთა უმრავლესობა ომანიძის ინტერესებს იცავდა. ახლა ომანიძეს სურს, რომ ბერაძის გარდაცვალების ამბავი, სათავისოდ გამოიყენოს," - განაცხადა მგალობლიშვილმა. იგივეს ამბობს მისი დამკვირვებელი 33-ე უბანზე ლალი ბახტაძე: **"მე იქ არაფერი შემიმჩნევია იმდაგვარი, რომ ვინმეს ინფარქტი მოსვლოდა. თუ მართლაც რაღაც იყო, რატომ იქვე არ შეკრიბა ხალხი?"**

გუშინ რუსთავში ერიდებოდნენ იმაზე მსჯელობას, თუ რატომ გარდაიცვალა მედიკო ბერაძე. სიმართლესთან ყველაზე მიახლოებული ვერსიით, ბერაძეს მართლაც დაემუქრნენ, ოღონდ არა ქრთამზე უარის თქმის გამო, არამედ იმიტომ, რომ მან ეს ამბავი ჟურნალისტს უთხრა.

გუშინ ბერაძეს ექსპერტიზა ჩაუტარდა, რომლის პასუხი ორ დღეში გახდება ცნობილი. რუსთავის პროკურორის, თამაზ კოღუას განმარტებით, პროკურატურა იმ შემთხვევაში აღძრავს მომხდარზე სისხლის სამართლის საქმეს, თუ ექსპერტიზის პასუხში ამისი საფუძველი იქნება, რაც, წინასწარი ვარაუდით, ნაკლებად მოსალოდნელია.

დაპატიმრებულ თურქულ გემს ჯარიმის გადახდა ელის

თურქები რომელიმე ევროპული ქვეყნის საარბიტრაჟო სასამართლოთი იმუქრებიან

თურქულ სეინერ "შაქარ ბაბა"-სთან დაკავშირებულ ინციდენტს, რომელიც 10 ნოემბერს აფხაზეთის საზღვაო სივრცეში თევზჭერისათვის დააკავეს და ამჟამად ფოთის ნავსადგურში იმყოფება, შესაძლოა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გამწვავება მოჰყვეს.
2 დეკემბერს იწურებოდა გემის მეპატრონის მიერ საჯარიმო თანხის გადახდის ვადა. თუ ჯარიმა არ იქნება გადახდილი, საქართველოს კანონმდებლობით, გემი კონფისკაციას ექვემდებარება.

ფოთის პორტი.

თეა აბსარიძე (ფოთი)
ინალ ხაშიგი (სოხუმი)
IWPR-ის კორესპონდენტები

ქართველი მესაზღვრეების მიერ თურქული თევზსაჭერი გემის დაკავებამ და ფოთში ექსტრადიციამ თურქულ-აფხაზური სავაჭრო თანამშრომლობის პრობლემა აქტუალური გახადა. ამ ვაჭრობას თბილისში კონტრაბანდად მიიჩნევენ, სოხუმში კი "მხსნელი ჰაერის ნაკადს" უწოდებენ.

"ქართული მხარის ქმედებას აფხაზეთის ხელისუფლება მეკობრეობად აფასებს, რადგან სეინერი მუშაობდა თურქულ-აფხაზურ ერთობლივ საწარმოსთან - "ამლაგურთან" დადებული კონტრაქტის ფარგლებში და დაკავების მომენტში ბიჭვინთის კონცხიდან 39 მილის დაშორებით, ნეიტრალურ წყლებში იმყოფებოდა", – განუცხადა ჟურნალისტებს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ.

"თურქული გემი საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ყოველგვარი ოფიციალური საბუთის გარეშე იმყოფებოდა. ოთხი საათის განმავლობაში ეკიპაჟი არ ემორჩილებოდა სასაზღვრო სამსახურს და სხვადასხვა მანევრით აფხაზეთის მიმართულებით გაქცევას ცდილობდა, ასე რომ, სეინერის დაკავება მხოლოდ მისთვის გამაფრთხილებელი ცეცხლის გახსნის შემდეგ გახდა შესაძლებელი", - განაცხადა **IWPR**-თან საუბრისას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელმა გოჩა ვეტრიაკოვმა.

ვეტრიაკოვის თქმით, ქართული მხარის თხოვნით, ხომალდთან დაკავშირებას ცდილობდა თურქეთის საზღვრის დაცვის სამსახურის ტრაპიზონის რეგიონული სამმართველოს უფროსი ნეჯეთ გუპერიც, რომელმაც მაშინ "სავსებით კანონიერად" აღიარა როგორც თავად ოპერაცია, ასევე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით.

თუმცა, ქალაქ ფოთის სასამართლოს 29 ნოემბრის სხდომაზე თურქული ეკიპაჟის ადვოკატმა მირიან მათიაშვილმა განაცხადა, რომ გამოძიების შედეგებს კატეგორიულად არ ეთანხმება: **"სინამდვილეში "შაქარ ბაბა" საქართველოს ტერიტორიულ წყლებში კი არა, გაგრასა და სოჭს შორის ნეიტრალურ ზონაში იმყოფებოდა და ქართველ მესაზღვრეებს გემის დაკავების არანაირი უფლება არ ჰქონდათ",** - თქვა მირიან მათიაშვილმა **IWPR**-თან საუბრისას.

სასამართლოს დადგენილება, უკანონო თევზჭერისათვის, დამრღვევებს ავალდებულებს ჯარიმის გადახდას 65 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, პერსპექტივაში, შესაძლოა, სეინერის მეპატრონეს მოეთხოვოს ჯარიმა საზღვრის უკანონო დარღვევისათვის 200 ათასი ლარის ოდენობით. სეინერიდან ამოღებული თევზი - 6 ტონამდე, უკვე გაიგზავნა საქართველოს სამხედრო ნაწილებში.

აფხაზეთის დამოუკიდებლობის საერთაშორისო არაღიარების გამო, ამჟამად აფხაზეთის ყველა ნავსადგური დახურულია პირდაპირი ურთიერთობებისათვის. საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულების თანახმად, რომელიც ეყრდნობა დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებებს, აფხაზეთისკენ ან აფხაზეთიდან მომავალმა ყველა უცხოურმა გემმა საბაჟო დათვალიერება ფოთის ნავსადგურში უნდა გაიაროს.

ამგვარი მდგომარეობა სოხუმის პროტესტს იწვევს. აფხაზური მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერის, რაულ ხაჯიმბას აზრით, **"ოფიციალურ თბილისს დღემდე აღიზიანებს აფხაზეთის ეკონომიკის განვითარება და ყველანაირად ცდილობს ამას ხელი შეუშალოს. სეინერზე თავდასხმა 10 ნოემბერს მიზნად ისახავდა ჩვენი თურქი პარტნიორების დაშინებას და აფხაზი და თურქი მეწარმეების თანამშრომლობის ჩაშლას,"** - განაცხადა მან.

იმავდროულად ამგვარი მდგომარეობა თბილისსაც არ აკმაყოფილებს. როგორც **IWPR**-თან საუბრისას გოჩა ვეტრიაკოვმა აღიარა, **"ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, პრეზიდენტის ბრძანებულება აფხაზეთში მიმავალ რომელიმე ხომალდს შეესრულებინოს".**

ამ მხრივ აღსანიშნავია თურქულ-აფხაზური ერთობლივი საწარმოს "ამლაგურის" ამბავი, რომლის "საფარქვეშ" ეწეოდა თევზჭერას სეინერი "შაქარ ბაბა".

1999 წლის იანვარში აფხაზური სანაპირო დაცვის გემებმა თურქული გემი "ქიაკ ქანდესმერი" დააკავეს, რომელიც ეწეოდა თევზჭერას აფხაზეთის სანაპიროსთან, სეინერის მეპატრონეებსა და ქართულ ფირმა "კოლხიდა"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მეორე დღესვე სეინერი გაათავისუფლეს, მაგრამ ორიოდე კვირაში სეინერი აფხაზეთის სანაპიროსთან კვლავ გამოჩნდა. მცირე დროში მოხერხებულმა მეპატრონემ კონტრაქტი უკვე აფხაზურ ხელისუფლებასთან გააფორმა. შემდგომში ამ კონტრაქტის შედეგად ერთობლივი საწარმო "ამლაგური" შეიქმნა.

"ამლაგურის" მთავარი მეტოქე სახელმწიფო კომპანია "აფხაზრიბა" გახდა. მისი გემების პარკი საკმაოდ ჩამორჩებოდა "ამლაგურისას" და, მანამდე კონკურენტის გარეშე მომუშავე სახელმწიფო კომპანიის რენტაბელობამ კლება დაიწყო. ორი ფირმის დაპირისპირებას ბოლო ვლადისლავ არძინბამ მოუღო, რომელიც "ამლაგურის" მხარეს დადგა და უბრალოდ დაშალა სახელმწიფო კომპანია.

დღეისათვის თურქეთს საქართველოსთან საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების მხრივ პირველი ადგილი უკავია და, ამავდროულად, რუსეთის შემდეგ, აფხაზეთის მეორე სავაჭრო პარტნიორია. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ თურქეთის საზღვაო ვაჭრობა აფხაზეთთან მონოპოლიური ხასიათისაა და ხე-ტყის, ქვანახშირისა და თევზჭერის კვოტების გაყიდვა, უკვე მრავალი წელია, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში, ქართველმა მესაზღვრეებმა საზღვაო საზღვრის უკანონო გადაკვეთისათვის 22 გემი დააკავეს.

"ძირითადად ეს თურქული ხომალდებია, თუმცა, იყო ასევე ბერძნული, უკრაინული და ესტონური ხომალდების დაკავების შემთხვევებიც. რეალურად კი ამ გზაზე გაცილებით მეტი ხომალდი მოძრაობს. ყოველკვირეულად სოხუმის ნავსადგურში ორი-სამი კერძო ფირმის კუთვნილი ხომალდი შედის", - ამბობს საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი სერგო ზიბზიბაძე, - **"პირველი ჩეჩნური კამპანიის დროს თურქულ ხომალდებს აფხაზეთში ბოევიკები გადაჰყავდათ, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში ტრანზიტით გადადიოდნენ. არ არის გამორიცხული, ახლაც ამ გემებზე იმყოფებოდნენ ბოევიკები, იარაღი, ნარკოტიკები, ვაჰაბიტური ლიტერატურა, ისევე, როგორც სხვა კონტრაბანდა."**

თურქეთის ხელისუფლება შექმნილ მდგომარეობას მშვიდად ეკიდება. შესაძლოა, ანკარის პოზიცია იმით იყოს ნაკარნახევი, რომ თურქეთში 500 ათასი ეთნიკური აფხაზი ცხოვრობს, რომელთაც არ დაუკარგავთ კავშირი ისტორიულ სამშობლოსთან და აქტიურად ეხმარებოდნენ თავიანთ თანამემამულეებს ქართულ-აფხაზურ ომში.

"ფირმის ხელმძღვანელობა შეიძლება, მხოლოდ გაფრთხილებულ იქნას, რომ თურქეთი არ ცნობს აფხაზეთის სუვერენიტეტს და მათი საქმიანობა რეგიონში მიზანშეუწონელია," - ამბობს თურქეთის ყოფილი ელჩი საქართველოში ბიურაქ გიურსელი.

საქართველოში თურქეთის დიპლომატიური მისიის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა დისლე თოფუზმა უარი თქვა **IWPR**-თან საუბრისას ფოთში დაპატიმრებულ სეინერთან დაკავშირებული ინციდენტის კომენტირებაზე და განაცხადა, რომ **"ამ თემაზე ყველა ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ."**

როგორც **IWPR**-თან საუბრისას ფოთში 29 ნოემბერს ჩამოსულმა ფათინ თურანმა განაცხადა, რომელიც თავს **"ამ კონფლიქტში თურქეთის მხარის წარმომადგენელს"** უწოდებს, **"აუცილებლობის შემთხვევაში, თურქული სეინერის ეკიპაჟი ევროპის რომელიმე საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართავს."**

პოლიტიკური სკანდალის ფონზე, ჯერჯერობით, ყურადღების მიღმა რჩება მომხდარის კიდევ ერთი ასპექტი - როგორც აღმოჩნდა, თურქულ-აფხაზურ საწარმო "ამლაგურში" მომუშავე ყველა სეინერი შავი ზღვის აუზში აკრძალული თევზსაჭერი საშუალებით - ფსკერული ტრალით არის აღჭურვილი.

"ამ ხელსაწყოთი სეინერებმა ფაქტობრივად სანაპიროს მთელი ფსკერი გაატყავეს, მოსპეს წყალმცენარეები, ისინი მხოლოდ შიშველ ქვებს ტოვებენ," - განუცხადა **IWPR**-ს აფხაზეთის სახელმწიფო ეკოლოგიური სამსახურის თანამშრომელმა, რომელმაც ვინაობის დასახელება არ ისურვა.

მისი აზრით, **"ამგვარი თევზჭერის სულ რამდენიმე წელი საკმარისია საიმისოდ, რომ თევზი საერთოდ გაქრეს აფხაზეთის სანაპიროდან, როგორც საქართველოს სხვა რაიონებიდან, სადაც ასევე ფსკერულ ტრალს იყენებენ."**

საკანონმდებლო ბატალიები

გიორგი ასანიშვილი

30 ნოემბერს საბურთალოს და რუსთავის საარჩევნო ოლქებში არჩევნების ჩაშლას პარლამენტარები, ძირითადად, ცესკო-ს "დამსახურებად" მიიჩნევენ. **"საარჩევნო ადმინისტრაცია ნულის დონეზეა. მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნები რომ არ შედგა, ამომრჩევლის პასიურობასთან ერთად, იმის ბრალიც არის, რომ ძალიან ბევრი დარღვევები წარმოჩინდა. საარჩევნო სიებში 44 მაღლივი საცხოვრებელი კორპუსის გამოტოვების ფაქტი ცესკო-სთვის არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე იყო ცნობილი, მაგრამ ამაზე რეაგირება არ მომხდარა,"** - განაცხადა პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" ხელმძღვანელმა ვიტალი ხაზარაძემ, რომელმაც მსჯელობა ისე წარმართა, რომ მთელი დანაშაული, რატომღაც, ცესკო-ში წარმოდგენილ მის პარტიულ ოპონენტებს, კერძოდ კი, ხათუნა გოგორიშვილს უნდა გადაბრალდეს.

კიდევ უფრო რადიკალურია სოციალისტი ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელიც ცესკო-ს დაშლის მოთხოვნითაც კი გამოდის. **"თუ საჭიროა პირადი მაგალითის მიცემა, ამას დენის დავითაშვილი გააკეთებს,"** - ცესკო-ში მივლინებულ თანაპარტიელს წირავს პარლამენტის ვიცე-სპიკერი.

მომრიგებლის როლში ყოფნა სურს მეორე ვიცე-სპიკერ გიგი წერეთელს, რომელიც კოლეგებს შეახსენებს, რომ საკანონმდებლო ორგანოს პირველი მოსმენით უკვე მიღებული აქვს კანონპროექტი ცესკო-ს ახალი წესით დაკომპლექტების შესახებ. თუმცა, როგორც ირკვევა, პარლამენტართა უმრავლესობისთვის ეს ვარიანტიც მიუღებელია, რაც გიგი წერეთელს მეტად აღაშფოთებს. **"თუ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ, სჯობია, ახალი საპარლამენტო არჩევნები აღარ ჩავატაროთ,"** - აპროტესტებს ვიცე-სპიკერი.

თავის მხრივ, არჩევნების გადადებასა და ამ მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდა ნინო ბურჯანაძეს. ასე რომ, საკანონმდებლო ორგანო, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ მოახერხებს მოჯადოებული საარჩევნო წრიდან გამოსვლას.

■ ■ ■

"პარლამენტის კიდევ ერთხელ დაცინვას არ დავუშვებ," - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, როდესაც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მარიამ ცაცანაშვილმა ბიუროს წევრებს შესთავაზა, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საკანონმდებლო ორგანოს მიმდინარე კვირაში განეხილა.

პარლამენტის სპიკერის თქმით, მაშინ, როდესაც მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი რამდენიმე ფრაქციასა და კომიტეტს ჯერ არ განუხილავს, დოკუმენტის ფორსირებული წესით მიღება ყოვლად დაუშვებელია.

„ფედერალიზმი საქართველოს დაღუპავს"

პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ პარლამენტისთვის შეთავაზებული მოდელი, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას ეხება და რომელიც ფედერალიზმის პრინციპებზეა დამყარებული, ქართველ მეცნიერთა ნაწილისათვის აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა.

თამარ ასათიანი

გუშინ, საპარლამენტო ფრაქცია "21-ე საუკუნესთან" ერთად (რომლის წევრებისთვის ასევე მიუღებელია პრეზიდენტის იდეა), ქართველი ისტორიკოსებისა და იურისტების ნაწილმა ფედერალიზმის პრინციპით ქვეყნის მოწყობას **"საქართველოსთვის დამღუპველი"** უწოდა. ფრაქციის სხდომის ყველა მონაწილე ქვეყნის უნიტარული მოწყობის მომხრე აღმოჩნდა.

როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ ელიზბარ ჯაველიძემ განაცხადა, მთავრობამ, **"უმწიფარი და უვიცი ახალგაზრდების აზრის მაგივრად"**, მეცნიერთა არგუმენტაცია უნდა გაითვალისწინოს. მისივე თქმით, **"საქართველოს დიდი საშიშროება ელის, როცა ეროვნული ტრადიციების გაუთვალისწინებლად იღებენ რომელიმე ქვეყნის მოდელს და მას ქართულ რეალობას მექანიკურად არგებენ".**

როგორც ისტორიკოსი ლევან ფრუიძე აცხადებს, **"აღმაშფოთებელია, რომ ხელისუფლებამ ფედერალური მოწყობის მოდელი წამოწია და ამ წამოწყებაში, კონიუნქტურული თვალსაზრისით, მას მხარს უჭერს ზოგიერთი მეცნიერი და პოლიტიკოსი".** ამის მაგალითად ფრუიძეს "ტრადიციონალისტი" აკაკი ასათიანი მოჰყავს, **"რომელიც ფედერალიზმის მომხრედ გამოდის, მაგრამ მთელი მისი მსჯელობა ბლეფზეა აგებული.** ფრუიძე მიიჩნევს, **"რომ ფედერალური მოწყობა საქართველოს თავს არ უნდა მოახვიონ".**

სხდომაზე ე.წ. "ბოდენის დოკუმენტზეც" ისაუბრეს. სხდომის მონაწილეთა განცხადებით, ამ დოკუმენტით აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში კონფედერაციულ საწყისებზე შემოდის, ხოლო კონფედერაციულ ქვეყანას შეუძლია საქართველოსთანაც იყოს კავშირში, რუსეთთანაც და თურქეთთანაც.

თსუ-ს დოცენტის რევაზ სალიას განცხადებით, "ბოდენის დოკუმენტში" ახალი არაფერია. მისი თქმით, **"1994 წელს პრეზიდენტმა რუსეთში საქართველოს მაშინდელ ელჩს ვაჟა ლორთქიფანიძეს წერილი მისწერა, რომელშიც კონფედერაციული მოწყობის აუცილებლობაზეა საუბარი".** სალიას თქმით, **"1999 წელს პარლამენტიდან გაერო-ში გაიგზავნა დოკუმენტის პროექტი, სადაც ასევე აფხაზეთთან კონფედერაციულ მოწყობაზეა საუბარი.** მისივე განცხადებით, **"ამ დოკუმენტს ხელისუფლება საიდუმლოდ ინახავდა და მას ხელთ აქვს დოკუმენტის ასლი, რომელიც ხელმოუწერელია".** თუ ვინ არის დოკუმენტის ავტორი, სალიამ არ იცის.

აკადემიკოსი ოთარ საღინეიშვილიც ემხრობა ქვეყნის მოწყობის უნიტარულ მოდელს. მას მიაჩნია, რომ საბოლოოდ ამ მოდელმა უნდა გაიმარჯვოს. მას პარლამენტში შეტანილი აქვს პროექტი, რომელიც სწორედ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოდელს ეხება და იმედი აქვს, რომ იგი პარლამენტართა ფართო მსჯელობის საგანი გახდება.

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

ერთიან ოპოზიციას ამ ქვეყანაში ვერავინ დაამარცხებს

თბილისი, ლამის ერთი თვეა, მთავრობის გარეშე ცხოვრობს. ამას მოქალაქეთა ცხოვრება არ შეუცვლია, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს 70 და მეტი წლის მტკიცედ ნაშენებ სტრუქტურასთან, რომელთან ერთადაც და რომლის გარეშეც ზამთარში თოვლი მოდის, არ გვაქვს შუქი, ჩამოგვდის წყალი, შენდება უკანონო, მაგრამ ნებადართული ობიექტები და თან, გვცივა. ეს ტენდენცია, სხვათა შორის, პირველ რიგში, სწორედ ამ მთავრობისთვის არ უნდა იყოს სულერთი. ვინმემ ხომ მაინც უნდა მოისაკლისოს რომელიმე ვიცე-მერი, ან, თუნდაც, სახლმმართველი... ძველები არავის ენატრება ქალაქის თავის გარდა, რომელიც, უკვე რამდენი ხანია, არ თმობს პოზიციებს და დაჟინებით ცდილობს ჭირში და ლხინში გამოცდილი თანამებრძოლების ხელისუფლებაში დაბრუნებას. უკვე მოსაწყენიც კია იმაზე უქმად საუბარი, რომ ამ ადამიანებს ერთმანეთთან არამხოლოდ აწყობილი სამსახურეობრივი თანამშრომლობა, არამედ კარგად დარეგულირებული ფინანსურ-წილობრივი ურთიერთობები აკავშირებთ. ქალაქის კორუფციული იდილია საკრებულომ დაარღვია. ხელისუფლებამ კი, თავის მხრივ, საკრებულოს დისკრედიტაციის ყოველდღიურ მცდელობას არჩევნების დისკრედიტაციის მცდელობაც დაუმატა. საკრებულოს "ნაციონალისტი" თავმჯდომარე არჩევნებში თავს დამარცხებულად არ მიიჩნევს იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერც დედაქალაქში და ვერც რეგიონში თავისი კანდიდატურა ვერ გაიყვანა. სააკაშვილიც, თავის მხრივ, შემხვედრი დაჟინებით მოითხოვს ქალაქის მმართველობაში ახალი სახეების გამოჩენას. გუშინ კოლეგიის სხდომაზე ზოდელავამ ისევ ვერ წარადგინა თბილისის მთავრობა. მიზეზი ისევ მიხეილ სააკაშვილი იყო.

მაია ჭალაგანიძე

მიხეილ სააკაშვილი წიწამურში

- მიუხედავად თქვენი ძალისხმევისა, ისე ჩანს, რომ საკრებულოს სტრუქტურები ჩამოუყალიბებელია და ვერ მუშაობს. რა უშლის ამას ხელს?

- საკრებულო ამუშავებულია. ჩვენთვის მთავარია, მთავრობა ამუშავდეს. საკრებულოში ორი კონცეფციაა, ერთი - ლევან გაჩეჩილაძის, რომელიც ამბობს, რომ არ უნდა დავამტკიცოთ ახალი მთავრობა და უნდა დავაბრუნოთ ძველი. ეს კი, რეალურად, შემდეგს ნიშნავს - თბილისის კორუმპირებულმა მთავრობამ მუშაობა ისევ ისე გააგრძელოს. ანუ, კაბინეტში დავტოვოთ მთავარი არქიტექტორი ლოლაშვილი, რომელიც პიროვნულად კორუმპირებული არ მგონია, მაგრამ, თავისი სისუსტის გამო, ქალაქს ანადგურებს. ეს კონცეფცია ნიშნავს, რომ ქალაქს ჰყავდეს ძველი მთავრობა, ის, ვინც ათჯერ უფრო მეტად გაანდგურებს ქალაქს. ამ მიდგომის პრინციპული წინააღმდეგი ვარ. შევარდნაძეს ზოდელავა უნდა მოეხსნა, მაგრამ, რომც მოეხსნა, თავის კაცს დანიშნავდა და ის თავისი კაცი შემოიტანდა მთავრობის წევრთა კანდიდატურებს.

- ამ ლოგიკას თუ მივყვებით, თქვენ არც იმ კაცის მთავრობა უნდა დაამტკიცოთ და ეს უსასრულოდ გაგრძელდება... დრო კი გადის და ქალაქი მთავრობის გარეშე რჩება...

- თუ საკრებულოს შიგნიდან თანამშრომლობა იქნება, ვფიქრობ, რომ ვაიძულებთ მერიას, წარმოადგინოს ახალი სახეები. სხვათა შორის, ვილაპარაკე ზურაბ ჟვანიასთან და შევთანხმდით, რომ დარჯანიას ნაცვლად ახალ სახეს წარმოადგენენ. ასეთივე სიტუაციაა "ახლებთან". ვფიქრობ, რომ მათ კონსტრუქციულობა გამოიჩინეს ღვინიაშვილთან დაკავშირებით... მათი არც დატოვება შეიძლება იგივე თანამდებობაზე და არც სხვა თანამდებობაზე გადაყვანა.

შევარდნაძე ამბობს, რომ ქალაქი მახინჯდება და რეალურად კი ქალაქის მთავარ არქიტექტორს მფარველობს. ეს არის შევარდნაძის პირფერობა. მაქვს ლოლაშვილის ხელმოწერილი ათეულობით დოკუმენტი, რომელიც ქალაქს პირდაპირ ამახინჯებს. ის, რაც დღეს ქალაქში ხდება, არის ქალაქის დამახინჯების შევარდნაძისეული პოლიტიკა.

ჩვენ კატეგორიულად ვითხოვთ ახალ სახეებს. მთავრობა ქალაქს სჭირდება და ჩვენ ამისი საკმარისი ძალები გვყავს. შერაძის მოხსნა 25 ხმით ვერ მოვახერხეთ, მაგრამ 25 ხმა საკმარისია იმისთვის, რომ სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერი თანამდებობის პირი არ დავამტკიცოთ.

- რა მოხდა შერაძის შემთხვევაში? საფიქრებელია, რომ რაიმე გარიგება, რისი პრინციპულად წინააღმდეგიც ხართ...

- ძალზე მარტივი რამ მოხდა. ლეიბორისტებსა და "ნაციონალურ მოძრაობას" ერთად, იმ დღეს საკრებულოში 22 ხმა ჰქონდათ. ეს კი საკმარისი არ არის. ყველა დანარჩენი ძალები ღიად უჭერდნენ მხარს შერაძეს (ახლების გარდა, თუმცა, იქიდანაც ორი კაცი ღიად უჭერდა მხარს). ორი მესამედის მოგროვება ძნელია ნებისმიერ საკრებულოში. ამიტომ, ვფიქრობ, სწორედ ის ხალხი მოითხოვს შერაძის საკითხის დაყენებას, ვინც არასდროს მისცემს ხმას მის წინააღმდეგ. ეს სწორედ ის ნაწილია, ვისაც შერაძისგან ფიგურის შექმნა სურდათ და მათ ეს მოახერხეს. სინამდვილეში, შერაძე არ არის ყველაზე გავლენიანი ფიგურა. ზოგიერთი სამსახურის უფროსი, შეიძლება ბევრად უფრო გავლენიანი იყოს. მაგალითად, კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ან "თბილწყალკანალის" უფროსი...

მთელი აზრი - პოლიტიკური ცირკის მოწყობა გახლდათ. ლევან გაჩეჩილაძის მთელი გათვლა იყო ის, რომ საკრებულოს პრესტიჟი დაბლა წასულიყო. მე ვერ ვივლი დესტრუქციის გზით. მათი კონცეფცია კი დესტრუქციულია. ჩვენ გვჭირდება ახალი მთავარი არქიტექტორი, ახალი "ჯანგანი", ახალი სამსახურების უფროსები, ახალი ვიცე-პრემიერები, რათა ამ ქალაქში რაღაც დავიწყოთ. ჩვენს ამომრჩეველს არ გაუხარდება, თუ მომდევნო 10 თვეს ჩხუბში გავატარებთ. მე აქ საქმეების კეთება მინდა. ამით განვსხვავდები ჩემი ზოგიერთი კოლეგისგან.

- ჩვენი ინფორმაციით, თბილისის მთავრობაში დიდად არ არის მოსალოდნელი ახალი სახეების გამოჩენა. ახალი შემადგენლობა, ძირითადად, გადაადგილებულ ძველებს წარმოადგენს.

- მეც, დაახლოებით, ასეთი ინფორმაცია მაქვს და ამიტომაც, შევხვდი ზოდელავას და ძალიან ვურჩიე, რომ სანამ მთავრობას წარმოადგენს, დაფიქრდეს. მას რამდენიმე დღე მივეცით იმისთვის, რომ ახალი მთავრობის შემადგენლობა მოიფიქროს.

- დაგთანხმდათ?

- მარტო ზოდელავაში არ არის საქმე. საკრებულოში არიან პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც თავისი კანდიდატურა ჰყავთ. მაგალითად, "გაერთიანებული დემოკრატები" მხარს ყოფილ ვიცე-მერს, დარჯანიას უჭერენ. მათი ხმების გარეშე კანდიდატურის სკითხი ვერ გადაწყდება. არ ვიტყვი, რომ ის ცუდი ადამიანია, მაგრამ იგივე სახეა. ლეიბორისტებს ჰყავთ მუხრან მდივანი და ა.შ. "ნაციონალურ მოძრაობას" მხოლოდ 14 ხმა აქვს, თორემ ვიტყოდი, რომ განსახილველად არც ერთი ძველი სახე არ დადგება.

- გიწევთ დათმობებზე წასვლა?

- დათმობებზე საუბარი არ არის. ჩვენ მხოლოდ 14 ხმა გვაქვს. მთავრობის დამტკიცებას კი 25 ხმა სჭირდება. ეს ხმები კი - სხვებს აქვთ. ამიტომაც ხდება გარკვეული კოლეგიალური შეთანხმება.

- გყავთ ალტერნატიული კანდიდატურები?

- ახალი ხალხი პარტიული პრინციპით არ უნდა შეირჩეს. უნდა იყვნენ გამოცდილი, კომპეტენტური ადამიანები. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ ხალხს, რომ მართვა სხვაგვარადაც შეიძლება. ახლა საარჩევნო ციკლში შევდივართ. ეს ნათელია, რომ ჩვენი მიზანი შედეგის მიღწევაა, ჩვენი მოწინააღმდეგისა კი, ის, რომ შედეგს ვერ მივაღწიოთ. ქვეყნის მასშტაბით ჩვენ ოპოზიციაში ვართ, მაგრამ, აქ, ქალაქში, შეზღუდული უფლებამოსილების ფარგლებში, ჩვენ გარკვეულწილად მაკონტროლებელი ბერკეტები გაგვაჩნია. ამიტომ გვინდა, რომ თითოეულმა მაცხოვრებელმა საკრებულოს ხელი იგრძნოს.

აქვე დავძენ, რომ ძალიან საშიშია ენერგეტიკის თემა. ენერგეტიკა საერთოდ არ ეხება საკრებულოს. ძალიან კომპეტენტური ადამიანია ნანული ქაჩიბაია, ბევრი რამ აქვს გაკეთებული ენერგეტიკაში, მაგრამ მას ვურჩიე საკრებულოს კომპეტენციის გარეშე იმუშაოს ამ თემაზე. საკრებულოს არ ეხება არც "თბილგაზი", არც "თელასი", მაგრამ ის, რომ არ აშენდეს ბენზინგასამართი სადგური სკვერში, ის, რომ უნდა შეკეთდეს სახურავი, ის, რომ ჯანდაცვის სფეროში კორუფცია უნდა აღმოიფხვრას - ჩვენი საქმეა. ამიტომ, აქ შევეცდებით ძალზე პრინციპულები ვიყოთ.

- როგორც ვიცით, თქვენი ნების წინააღმდეგ, ფული დგას. როგორ აიცილებს თავიდან საკრებულო ამას?

- ძალზე მარტივად - ფული არ უნდა აიღონ. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ყველა პოლიტიკურ ჯგუფს პირი ამოუკეტეს. მქონდა ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთ სკვერში, ბენზინგასამართი სადგურის აშენებას აპირებდნენ. ამ ადგილის მოსანახულებლად რომ მივდიოდი, ორჯერ ტელეფონით შემომთავაზეს ფული და ერთხელ იქ რომ მივედი... როცა არ აიღებ ამ ფულს, სულ სხვა კრიტერიუმები იქნება. ამ საკრებულოში ხუთი კაციც რომ დარჩეს, ვინც ფულს არ იღებს, მაინც სხვა სიტუაცია შეიქმნება. აი, ეს არის მთავარი.

- რატომ წააგეთ არჩევნები სამტრედიაში და სად დაუშვით შეცდომა?

- სულაც არ მგონია, რომ არჩევნები წავაგეთ. სამტრედიაში, ერთი სოფლის გარდა, ყველა უბანი მოვიგეთ. სოფელი გომი - ჩვენი მოწინააღმდეგის მშობლიური სოფელი იყო. იქ, მოულოდნელად, ამომრჩეველთა 90 პროცენტი გამოცხადდა. ეს შეუძლებელია, რადგან იმ სოფელში ამდენი ხალხი არ ცხოვრობს. მოსახლეობის 60 პროცენტი წასულია იქიდან...

მიმაჩნია, რომ პირველად ოპოზიციის ისტორიაში, საქართველოს ერთ-ერთ რაიონში, ხელისუფლებისთვის თანაბარი კონკურენციის გაწევა შევძელით. თანაც იმ პირობებში, როდესაც ყველა პოლიტიკური პარტია, მთელი სახელისუფლო ძალები, უზარმაზარი ფული - მოწინააღმდეგის მხარეზე იყო. უფრო მეტიც, ჩვენი ტრადიციული პარტნიორები - "გაერთიანებული დემოკრატები", "მემარჯვენეები" (ტრადიციონალისტების გარდა), მხარს ჩვენს ოპონენტს უჭერდნენ. მიუხედავად ამისა, ზვიად ძიძიგურმა 340 ხმით წააგო არჩევნები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად, საარჩევნო ბრძოლა ერთი ერთზე იყო. თანაც, ძიძიგურმა ყველა სხვა უბანი მოიგო. ეს ნიშნავს, რომ სამტრედიამ ხმა ზვიად ძიძიგურს მისცა. ჩვენ შევძელით პრეცედენტის შექმნა - ხელისუფლება ყველა უბანში დამარცხდა.

10 თვიანი დეპუტატობა ჩვენთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა. მიმაჩნია, რომ 10 თვეში მთელს სამტრედიას უპრობლემოდ მოვიგებთ. ხალხი უნდა მიხვდეს, რომ ცოტათი მეტი აქტიურობაა საჭირო.

- ყოველთვის ელექტორატის იმედი გქონდათ. ხომ არ დაინახეთ, რომ სხვა ოპოზიციური ძალების დახმარება გესაჭიროებათ გასამარჯვებლად?

- სატრედიაში ვაჩვენეთ, რომ ერთნაირად შეგვიძლია დავამარცხოთ ყველა სხვა პარტია და ხელისუფლება, თუმცა, ჩვენთვის უსიამოვნო ფაქტი იყო ის, რომ ჟვანიას ხალხი მათ უჭერდა მხარს. ვფიქრობ, რომ ჟვანიასთან ეს შეთანხმებული არ იყო - არ შეიძლება ჟვანიას ხალხი მხარს უჭერდეს კორუმპირებულ მექვსე სამმართველოს თანამშრომელს.

- მაგრამ, მან გაიმარჯვა...

- ვფიქრობ, რომ "გაერთიანებული დემოკრატების" ადგილობრივი ორგანიზაცია ჟვანიას არ შეთანხმებია. ჯერ-ჯერობით, არც ეს პარტია და საქართველოში არც ერთი პარტია სრულფასოვან ორგანიზაციად არ არის ჩამოყალიბებული. ეს, გარკვეულწილად, სხვადასხვა ჯგუფების კონფედერაციაა. ისეთი ოპოზიციური ჯგუფების ჩამოყალიბება უნდა შევძლოთ, რომელიც მართლა კოორდინირებული იქნება. ამ არჩევნებმა ის დაგვანახა, რომ ოპოზიციის კოორდინაცია ძალზე მნიშვნელოვანია.

ძიძიგურმა 26 000 ამომრჩევლიდან 340 ხმით წააგო - მათ შორის, ორი უბანი მხოლოდ, 10 და 15 ხმით...

სამტრედიის შედეგებით კმაყოფილი ვარ. ჩვენს გარდა ვერც ერთმა პარტიამ ვერ გაუძლო ხელისუფლების გამოწვევას. რაც მთავარია, აბსოლუტურად თანაბარი შედეგი ვაჩვენეთ და ნათლად დავინახეთ, რომ შემდეგ არჩევნებში სამტრედია გარანტირებული გვაქვს. სხვათა შორის, არა მხოლოდ სამტრედია. გვყავს ძალზე ნიჭიერი ხობის მაჟორიტარი, ხარაგაულის მაჟორიტარი... იმერეთსა და სამეგრელოს ჩვენ მთლიანად მოვიგებთ, ამაში დარწმუნებული ვარ.

- საბურთალოს არჩევნებზე რას იტყვით?

- საბურთალოზე თარგამაძემ მოიგო. მოხდა მანიპულაცია საარჩევნო სიებით. ამომრჩეველთა თითქმის 50 პროცენტი დამატებით სიებში იყო გადატანილი. თუკი საპარლამენტო არჩევნებში ცოტა მეტი აქტივობა იქნება (რა თქმა უნდა, იქნება), დამატებითი სიებით ვერაფერს გააწყობენ. პრინციპში, თარგამაძეს საბურთალო გარანტირებული აქვს. ჩემთვის თარგამაძის პარლამენტში ახლა შესვლა არ იყო ისე პრინციპული. სხვათა შორის, თვითონ შედეგების გასაჩივრებას აპირებს და მას ყველა ის საბუთი აქვს, რაც ხელისუფლებას ამ არჩევნებს აღიარებინებს. მან 60 პროცენტზე მეტი, ხოლო კონკურენტმა 30 პროცენტი მიიღო და ეს იმ პირობებში, როცა ყველა სახელისუფლო რეზერვი მისთვის მუშაობდა... შტაბში, თავად სახელმწიფო მინისტრი მორიგეობდა მთელი დღე...

ჩვენ თბილისში უფრო ძლიერი ვართ, ვიდრე ხელისუფლება. რა თქმა უნდა, არჩევნებში მთავარია შედეგი და თუ შედეგზე ვილაპარაკებთ, რეგიონებში ვართ თითქმის ისეთი ძლიერი, როგორც ხელისუფლება და თბილისში - ბევრად იმაზე ძლიერი, ვიდრე ხელისუფლებაა.

თუ მოვახერხებთ ოპოზიციურ ძალებთან კოორდინაციას, ჩვენი დამმარცხებელი ამ ქვეყანაში არავინ არის. სწორედ ეს იყო ამ არჩევნების მთავარი შედეგი და ეს ხალხმა დაინახა. ჩვენ ხელი შევუშალეთ ტოტალურ გაყალბებას. ერთი სოფელი შეიძლება გაყალბდა, უმრავლესობა კი - ვერა.

- როგორ აპირებთ თანამშრომლობას ოპოზიციურ ძალთა გაერთიანებასთან?

- ჯერ-ჯერობით, ამ საკრებულოში მთავარი პრობლემა ლევან გაჩეჩილაძე და მისი ჯგუფია. გაჩეჩილაძის მთავარი ამოცანა, პირველივე დღიდან, სპიკერობა იყო. მაინც მგონია, რომ მასთან სიტუაციის დალაგებას შევძლებთ. არ მგონია, რომ ლევანთან პრობლემა შეგვექმნას. იმაზე საუბარი, რომ პოლიტიკური ბლოკი უნდა შევკრათ - ნაადრევია და სწორი არ არის. ჩვენ უნდა შევქმნათ საარჩევნო სისტემა. საბურთალოს და სამტრედიის არჩევნებმა, სადაც რეალურად არა რაიონის, არამედ - სოფლის დეპუტატმა გაიმარჯვა, ნათლად დაგვანახა, რა არის ჩვენი საარჩევნო სისტემა. არც ერთი ჩვენგანი ცალ-ცალკე არ არის იმდენად ძლიერი, რომ დიდი სურვილის მიუხედავად არჩევნების გაყალბება შესძლოს. ამიტომაც ვართ დაინტერესებული საარჩევნო სისტემის შეცვლით. ვფიქრობ, რომ "ახლებიც" შესძლებენ ამ პოზიციაზე დადგომას. სამართლიანი არჩევნები - ჩვენი საერთო ინტერესია. თავის დროზე, როცა ახლებს მონოპოლია ჰქონდათ - ამას ხმამაღლა ვამბობდი. მთავრობას მაშინ გაახსენდა მათი მონოპოლისტობა, როცა ისინი ოპოზიციაში გადავიდნენ. ახლა მათ წინააღმდეგ მთავრობა მოქმედებს. ასე რომ, ვცდილობთ, მათთან სიტუაცია დავარეგულიროთ.

რაც შეეხება "გაერთიანებულ დემოკრატებს" - ბუნებრივი მოკავშირეები ვართ. ჩვენ ცოტა რამ განგვასხვავებს. მიმაჩნია, რომ ოპოზიციამ წინასწარ არ უნდა თქვას, ვინ ეყოლება პრეზიდენტობის კანდიდატები. ჩვენ ერთნაირად უნდა გავინაწილოთ ხელისუფლების ტვირთი ისე, რომ არც ერთი ძალა არ დარჩეს ხელისუფლების გარეშე. თან ისე, რომ პირველ, მეორე და მეხუთე პოზიციებზე ის ხალხი იყოს, ვისაც მეტი შანსი აქვს. თუ ჩვენ წინასწარ ვიტყვით, ვინ იქნება პრეზიდენტი, ვინ პრემიერი და ვინ მინისტრი - არაფერი გამოვა.

დღეს ყველა გამოკითხვით ყველაზე დიდი შანსი მე მაქვს, მაგრამ პირდაპირ ვაცხადებ: არ ვიცი, რა იქნება სამი წლის შემდეგ. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი სისტემა, სადაც პირად ამბიციებზე მაღლა საერთო ინტერესებს დავაყენებთ. შემდეგ კი პირადი ამბიციები სხვადასხვა დონეებზე დაკმაყოფილდება.

ჩემი კონცეფციაა: ხელისუფლების გადანაწილება ოპოზიციის შიგნით. არავინ უნდა დარჩეს ხელისუფლების გარეშე, მაგრამ რაც შეეხება პირად ამბიციებს - ეს ხალხის არჩევანზე უნდა იყოს.

- კონკრეტულად, ვის ეყრდნობით საკრებულოში...

- ძალზე კარგი ურთიერთობები გვაქვს "გაერთიანებულ დემოკრატებთან", "აღორძინება თბილისთან". არის განსხვავება, მაგრამ პიროვნულად მათთან პრობლემები არ გვაქვს. ძალიან კარგი ურთიერთობაა "ერთობასთან" - პატიაშვილის ჯგუფთან; კარგი ადამიანია გურამ საღარაძე... დამოუკიდებელ დეპუტატებთანაც ვთანამშრომლობთ... "ლეიბორისტებთან" სიტყვის შენარჩუნების რეჟიმში ვმუშაობთ. ჩვენ ყველანაირი მოდელის საწინააღმდეგოდ მრავალპარტიული თანამშრომლობის მოდელი შევქმენით და სხვათა შორის, არჩევნებამდე 10 დღით ადრე, რაც უნიკალურია.

- პრეზიდენტმა კი თქვა, რომ ის იღებს პასუხისმგებლობას ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენზე, მაგრამ მას აქამდე, აფხაზეთიდან მოყოლებული, არაფერზე აუღია პასუხისმგებლობა...

- რაც შეეხება ნავთობსადენს, აქ ორი საკითხია - ერთი: თუ ეს ნავთობსადენი ბორჯომზე არ გაივლის, გაივლის სხვა, ბევრად უფრო ნაკლებად სტაბილურ რეგიონში. და ეს რეგიონი ნაკლებსტაბილურია არა იქ დასახლებული ხალხის გამო (საუბარია ჯავახეთზე), არამედ, ამ ხალხის მიმართ საქართველოს მთავრობის ბეცი პოლიტიკის გამო.

მეორე არის ის, რომ ბორჯომის ხეობა ისედაც ნადგურდება და ნადგურდება მრავალი წელია. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აქ ერთმანეთს უფრო კომერციული ინტერესები დაეჯახა, და არა მხოლოდ ბუნების დაცვის ინტერესები...

- მამუკა ხაზარაძე არც მალავს, რომ ბუნების დაცვის ინტერესების გარდა მას თავისი, კომერციული ინტერესებიც აქვს.

- ბორჯომი გადასარჩენია. ამას კომპრომისის მოძებნა სჭირდება. ნავთობსადენის ტრასის მკვეთრად შეცვლა პრობლემას შეუქმნის საქართველოსა და მათ შორის, ჯავახეთის მოსახლეობასაც და მეორე მხრივ, ტრასის დატოვება ისე, როგორც არის, ბორჯომს უქმნის საფრთხეს... ნავთობსადენი არის ნავთობის ტრანსპორტირების ყველაზე უსაფრთხო გზა.

შევარდნაძეს მიაჩნია, რომ საქართველო დერეფანია, მე კი მიმაჩნია, რომ საქართველო ჩემი სამშობლოა. აი, ეს არის განსხვავება ჩვენს შორის.

ტრასა უნდა შეიცვალოს ისე, რომ ბორჯომისთვის მეტი გარანტიები ჩაიდოს. ტრასის გადატანა სხვა რეგიონში დაუშვებელია. ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკამ ისე მოიტანა, რომ სხვა რეგიონი ჩვენ არ გვაქვს.

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 განათლება B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

სინემა

კინოთეატრი "ამირანი"

"წითელი დრაკონი"

აშშ, 2002წელი

კადრი ფილმიდან

Red Dragon
რეჟისორი: **ბრეტ რეტნერი**
მთავარ როლებში:
ენტონი ჰოპკინსი,
ედვარდ ნორტონი,
რალფ ფაინსი,
ჰარვი კეიტელი,
ემილი უოტსონი

ეს ფილმი "კრავთა დუმილის" პრეისტორიას მოგვითხრობს. მაყურებლებისთვის ალბათ საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ როგორ იპოვეს და დაიჭირეს ჰანიბალ ლექტერი - ფსიქიატრიის მეცნიერებათა დოქტორი და შეთავსებით ადამიანის ხორცისაგან უგემრიელესი კერძების მომზადების სპეციალისტი. უნდა ითქვას, რომ "კრავთა დუმილი" იმდენად პოპულარული და შემოსავლიანი ფილმი აღმოჩნდა, რომ სულაც არ იყო გასაკვირი, სწრაფადვე რომ მოჰყვა გაგრძელება თუ "დასაწყისი" ("ჰანიბალი", "წითელი დრაკონი").

მართლაც საინტერესოა, რატომ არის ეს პერსონაჟი ასე პოპულარული?! პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ენტონი ჰოპკინსის არაჩვეულებრივი თამაში. მან შეძლო დამაჯერებლად შეექმნა ისეთი კინოგმირი, რომელშიც არავითარი შინაგანი წინააღმდეგობა არ არსებობს. ჰანიბალ ლექტერმა ყოველთვის იცის, რას და რატომ აკეთებს. მისთვის უცხოა ყოველგვარი სინდისის ქენჯნა თუ ეჭვი. იგი იმდენადაა საკუთარ თავში დარწმუნებული, რომ ბრძოლას ღმერთსაც კი უცხადებს. მისთვის ყოველგვარი შემთხვევითობა გამორიცხულია. აქედან გამომდინარე, ჰანიბალი ეკრანზე აბსოლუტურ ბოროტებას განასახიერებს. თუ იგი სხვის სიბოროტეს ებრძვის, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რათა დაამტკიცოს, რომ სხვებზე უფრო ძლიერი და ეჭვიანია. მის გვერდით ყველა პერსონაჟი უბრალო ადამიანია, რომლებიც ისე იქცევიან, როგორც ჰანიბალი მოისურვებს. მისი გაუვნებელყოფა მხოლოდ შემთხვევითობის წყალობითაა შესაძლებელი. "წითელ დრაკონში" ენტონი ჰოპკინსის გმირმა საბოლოოდ დაკარგა კაცთმოყვარეობის ის ნიშნები, რომელიც გარკვევით ჩანდა "კრვათა დუმილში". ამ ახალი ფილმის ერთ-ერთი გმირი, რომელსაც რალფ ფაინსი განასახიერებს და მთელი ოჯახების ამოწყვეტაზეა დაოსტატებული, უფრო ჰუმანურ ადამიანად გამოიყურება, ვიდრე ჰანიბალ ლექტერი. ერთიც უნდა აღინიშნოს, რომ "წითელი დრაკონი" მსოფლიოში დიდი წარმატებით სარგებლობს, ამიტომ სულაც არ არის გამორიცხული, რომ ცოტა ხანში კაციჭამია პროფესორზე მეოთხე ფილმიც ვიხილოთ.

არჩილ მელიქიშვილი

კლასიკური მუსიკა არაბულად

12 დეკემბერს პლაჩიდო დომინგო თავის ყველაზე უცნაურ კონცერტს გამართავს - დიდი ტენორი დუბაიში ეგვიპტელ მომღერალთან არაბულ ენაზე იმღერებს დუეტს. მსოფლიო დონის ღონისძიებას დუბაიში ტურისტების მისაზიდად ატარებენ. ერთ-ერთი ორგანიზატორის თქმით, - "გვსურს, დავამტკიცოთ, რომ, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მიუხედავად, დუბაი კვლავაც უსაფრთხო ქალაქი და მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრია".

დომინგო აცხადებს, რომ სამსაათიანი კონცერტის რეპერტუარი სიურპრიზებით იქნება სავსე. "ვიცი, რომ დუბაიში ხალხი მიცნობს, მეც მათ ლამაზ მუსიკას ჩავუტან, ისეთს, სულს რომ ამშვიდებს", - აცხადებს ტენორი. დომინგოს სასცენო პარტნიორი ალ-ჰაჯარი კი, ბუნებრივია, მიიჩნევს, რომ დიდ ტენორთან ერთად დუეტის სიმღერა მისთვის დიდი პატივია.

დომინგოს დუბაიში ბადენ-ბადენის ფილარმონიის ორკესტრი და ჩილელი სოპრანო, ვერონიკა ვილაროელი ჩაჰყვება.

გერმანია ქართულ ექსპონატებს მასპინძლობს

გერმანიის ვისბადენის მუზეუმში ძველი ქართული ექსპონატების გამოფენა გაიხსნება. ლითონისა და ბრინჯაოსგან დამზადებული ეს ექსპონატები თითქმის ერთი წლის განმავლობაში ქალაქ ბოხუმის მუზეუმში იყო გამოფენილი და მას გერმანიის სხვადასხვა ქალაქიდან უამრავი დამთვალიერებელი ნახულობდა. საქართველოს არქეოლოგიური კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილის ვახტანგ ლიჩელის თქმით, გერმანელების ინიციატივით გამოფენა ვისბადენის მუზეუმში გადაინაცვლებს, რომელიც ივნისამდე გაგრძელდება. მუზეუმში წარმოდგენილია 600-მდე უნიკალური ექსპონატი, რომელთა უდიდეს ნაწილს გერმანიის მხარის ინიციატივით, კონსერვაცია და რესტავრაცია ჩაუტარდა. ვიბსადენის მუზეუმის გამოფენის გახსნას საქართველოდან მეცნიერთა დელეგაციაც დაესწრება, რომელსაც მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ თევზაძე უხელმძღვანელებს. გამოფენის გახსნის შემდეგ, ვიბსადენში სამეცნიერო კონფერენცია - „ძველი ქართული ლითონი და მეტალურგია“ გაიმართება, სადაც მონაწილეობას ქართველი და გერმანელი მეცნიერები მიიღებენ. ვისბადენის მუზეუმში ქართული ექსპონატების გამოფენა დეკემბერში გაიხსნება. **(მედია-ნიუსი)**

კალენდარი

3 დეკემბერი

სცენის ჯადოქარი, ჩვენი დროის უდიდესი არტისტი, ბრწყინვალე სოპრანო მომაჯადოებელი ხმით და იდუმალებით მოცული ცხოვრებით – ასე დარჩა მაყურებელთა ხსოვნაში მარია კალასი. მარია კალასი არ ყოფილა მარტო იშვიათი ვოკალური მონაცემებით დაჯილდოებული მომღერალი, რომელსაც ნებისმიერი პარტიის შესრულება შეეძლო, ის გენიალური მსახიობიც იყო: მარია კალასი საოცრად მომხიბვლელია სცენაზე, ის ნამდვილად თამაშობს, ასეთი მსახიობური ნიჭის მომღერალი სცენაზე მართლაც რომ იშვიათიაო – წერდნენ თავის დროზე კრიტიკოსები.

მარია კალასი - იგივე მარია ანა სესილია სოფია კალოგეროპულო 1923 წლის 3 დეკემბერს დაიბადა ნიუ იორკში. 1937 წელს მან შტატები მიატოვა და საბერძნეთში გადასახლდა. იქ ათენის კონსერვატორიაში სწავლობდა. მარია კალასის საოპერო დებიუტი 1941 წელს ათენის ოპერაში შედგა: კალასმა "ტოსკაში" მთავარი პარტია შეასრულა. ასე დაიწყო კალასის ტრიუმფალური სვლა. ტრიუმფი 1965 წლამდე გაგრძელდა. ამ წელს კოვენტ გარდენში 42 წლის სოპრანომ უკანასკნელად იმღერა "ტოსკაში". კოვენტ გარდენის დაუვიწყარი საღამოს შემდეგ მარია კალასი მხოლოდ ცალკეულ არიებს მღეროდა ხოლმე ფორტეპიანოს თანხლებით. მარია კალასი 1977 წელს გარდაიცვალა.

ამბები კვიპროსიდან

თეონა ჯაფარიძე

"როცა პირველად ავიღე გიტარაზე აკორდები, - ჟანდარმის თითები გაქვსო, - მითხრა ჩემმა ხატვის და, შეიძლება ითქვას, მუსიკის პედაგოგმა - გია ეძგვერაძემ. მახსოვს, - როლინგ სტოუნზის" ერთი კომპოზიციის იმპროვიზირებას ვცდილობდიო – ჩამესმა ტელეფონის ყურმილში ჩემი რესპოდენტის, მხატვარ გიორგი ლაღიძის შორეული ხმა კვიპროსიდან. "80-იანი წლების ბოლო იყო. როკმა, მიკ ჯაგერისა და "ლედ ზეპელინის" მუსიკამ გამიტაცა. ერთი პერიოდი ვატო ვარაზთან რიტმ-ენ-ბლუზსაც ვასრულებდი. მე, მიხო სტურუა და ზაზა სვანიშვილი გარაჟშიც ვუკრავდით," - ასე აღმიწერა 80-იანი წლების მართლაც მუსიკალური ბომონდის ტიპიური ცხოვრება, დღეს ევროპაში ცნობილი და გერმანიაში მოღვაწე ქართველი კონცეპტუალისტი მხატვრის, გია ეძგვერაძის მოწაფემ.

ცნობილია, რომ 90-იანი წლების დასაწყისში "რკინის ფარდის"ახდის პროცესს, პოსტ-საბჭოთა სივრციდან და, რა თქმა უნდა, საქართველოდანაც, ხელოვანთა ემიგრაციის პირველი ტალღა მოჰყვა. ესენი სწორედ ის თითზე ჩამოსათვლელი მუსიკოსები, მხატვრები თუ რეჟისორები იყვნენ, ვინც, 80-იანი წლების ქართულ კულტურაში ახალ, დასავლურ ამინდს ქმნიდა და პირველივე შესაძლებლობისთანავე დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ან შეერთებულ შტატებს მიაშურეს დაგროვილი შემოქმედებითი ენერგიის დასახარჯად.

ხელოვან ემიგრანტთა ერთი ასეთი წყვილი - ცოლ-ქმარი, მხატვრები – თინათინ ფეტვიაშვილი და გიორგი ლაღიძე, უკვე ცხრა წელიწადია, რაც კვიპროსზე ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. ნოემბრის ბოლოს მათ ერთობლივ გამოფენას ნიუ-იორკმა უმასპინძლა. როგორც შევიტყვეთ, გამოფენის გახსნას საკმაოდ სოლიდური და ოფიციალური სახე ჰქონდა: ქართველი მხატვრებისათვის მადლობა გამოუცხადებია თვით ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორს. გამოფენის მოწყობის ინიციატივა კი ქართული გალერეა "თაგის არტის" და კვიპროსის ქალაქ ნიქოზიის მერის ერთობლივი პროექტი ყოფილა. გამოფენა, "თაგის არტის" დირექტორს ანი ლაღიძეს გაუხსნია.

თინათინ ფეტვიაშვილისა და გიორგი ლაღიძის მიერ ზეთში შესრულებული კვიპროსის 57 მონასტრის ამსახველი ფერწერული ტილო, ნიუ-იორკის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის სივრცეში იყო წარმოდგენილი. კვიპროსზე გამოცემული გამოფენის კატალოგიდანაც კარგად ჩანს, რომ მხატვრებს ნატურაზე უდიდესი სიზუსტის დაცვით უმუშავიათ, რათა ტილოზე გადმოეცათ ბიზანტიური კულტურის მემკვიდრე, კვიპროსის ადრეული ქრისტიანული არქიტექტურის შედევრები. "მხოლოდ ათი მონასტრის ტილოს შესრულება მოგვიხდა შავ-თეთრი ფოტოს დახმარებით, რადგან ამ ათი ძეგლის უშუალოდ მონახულება ვერ მოვახერხეთ. ეს მონასტრები ამჟამად თურქეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება,"- მოკლედ და სწრაფად მიამბობდა კვიპროსიდან სატელეფონო საუბრისას გიორგი.

ნიუ იორკიდან გამოფენა საბერძნეთში, კერძოდ, ათენში გადაინაცვლებს. საბოლოოდ კი, ქართველ მხატვართა 57-ივე ნამუშევარი კვიპროსის სახელმწიფო მუზეუმში დაიდებს ბინას.

"კვიპროსზე მე და თინა მხატვარ-გამფორმებლებად ვმუშაობთ. პარალელურად, კვლავ ვუკრავ და ისევ როკს ვასრულებ სხვადასხვა კლუბებში. 4 დეკემბერს კონცერტისათვის ვემზადები. რეპერტუარში ისევ "როლინგ სტოუნზის" კომპოზიციები მაქვს. კონცერტი კვიპროსის ერთ-ერთ კლუბში გაიმართება და შობის შემდეგ დღეებშიც განმეორდება,"- მეუბნება საუბრის დასასრულს გიორგი და თბილისს მოკითხვას უთვლის.

გიორგი ლაღიძე და თინათინ ფეტვიაშვილი



გიორგის და თინათინის ნამუშევრები კატალოგიდან

უკრაინელი სოკრატე

დღეს უკრაინა დიდი პოეტის, ფილოსოფოსის და მოაზროვნის გრიგორი სკავაროდას 280 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ ღირშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით საგანგებო ღონისძიება იმართება თბილისშიც, რომლის საინფორმაციო მხარდაჭერასაც სააგენტო "უკრაინ-პრესი" უზრუნველყოფს.

უკრაინელი პოეტის დაბადების დღეს ძალზე საინტერესო პროგრამით ხვდებიან კიევში. იქ ისტორიული მოღვაწის დამსახურებებს კიეველებს ყოველდღიურად ახსენებს, არა მარტო უკრაიანაში, არამედ მთელ მართლმადიდებლურ სლავურ სამყაროში უძველესი უნივერსიტეტი და სკავაროდას ძეგლი, რომელიც ქალაქის უძველეს უბანში დგას (სხვათა შორის, ძეგლის ავტორი ქართველი სკულპტორი ი. კავალერიძეა). სწორედ ზემოთხსენებული აკადემიის კედლებში გაატარა ათ წელზე მეტი ხანი სკავაროდამ, იქ მიიღო სუკეთესო ევროპული განათლება და გაიზიარა ის ფასეულობები, რითაც იმ ხანად უკრაინის ინტელიგენციის ახალი თაობა გამოირჩეოდა. საბოლოო ჯამში კი, სკავაროდა უკრაინას მოევლინა იმ ისტორიული მნიშვნელობის მოღვაწედ, რომლის მემკვიდრეობასაც მეცნიერები დღესაც დიდი ინტერესით სწავლობენ. სკავაროდას როლი ხომ სასულიერო კულტურის განვითარებაში უდიდესია. ეს თემა მის მთელ შემოქმედებას აერთიანებს. ამიტომაც შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ფილოსოფია, პოეზია და რელიგია იუბილარი უკრაინელის შემოქმედებაში ერთი ორგანული მთელივითაა წარმოდგენილი.

"ფილოსოფიამ და კეთილგონიერებამ ჩვენს სულებს სიცოცხლე უნდა შთაბეროს, გულები გააკეთილშობილოს, ფიქრებს სიმსუბუქე და სინათლე შესძინოს. როდესაც ადამიანს სული მხიარული აქვს, ფიქრები უბოროტო, გული მშვიდობით სავსე, მაშინ ცხოვრებაშიც ყველაფერი სინათლით, ბედნიერებით, ღვთიურობით ივსება. ეს არის ფილოსოფია," – ეს გახლდათ სკავაროდას ერთ-ერთი მთავარი კრედო. ანუ, მისი შემოქმედება აბსოლუტურად შორს იდგა მატერიალური მოთხოვნებისა და სოციალური საკითხებისგან, ის ერთმნიშვნელოვნად სულიერების სფეროს მოიცავდა.

უკრაინელი პოეტის ასეთი უნივერსალური აზროვნების გამო ერთი საინტერესო მოსაზრებაც არსებობს, რომელიც სკავაროდას შემოქმედების ცნობილ მკვლევარს, ა. ეფიმენკოს ეკუთვნის. ის ვარაუდობდა, რომ სკავაროდასა და ნაციონალურ უკრაინულ კულტურას შორის გენეტიკური კავშირი არ არსებობს და ამის საფუძველზე სვამდა კითხვას: "ხომ არ მიეკუთვნება სკავაროდა იმ საინტერესო, ხალასი ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებათა რიგს, რომლებზეც შეიძლება ვთქვათ: "საკუთარი თავის წინაპარი თვითონვეა?" თუმცა, ამ მოსაზრებას სხვა მკვლევარები პოეტის სამშობლოსადმი სიყვარულით აბათილებენ. სკავაროდას მეგობარი და მოსწავლე, მ. კოვალინსკი წერდა: "ის მალარასიას დედას უწოდებდა იმიტომ, რომ იქ დაიბადა, ხოლო უკრაინას დეიდას – ამ ქვეყნისადმი სიყვარულის გამო".

სკავაროდასა და უკრაინას შორის ამ კავშირის მიუხედავად, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მისი შემოქმედება მხოლოდ უკრაინულ სულიერ ტრადიციებს ეფუძნება. პირიქით, პოეტის ნააზრევი ყოველთვის უფრო გლობალურია. სწორედ ამიტომ მას ხშირად "ხარკოველ დიოგენეს" ანდა "უკრაინელ სოკრატეს" უწოდებენ. მეტიც, დ. ოლიანჩინი აცხადებს, რომ სკავაროდა საკუთარ თავში აერთიანებს სოკრატეს, ეპიკურესა და ქრისტეს ნიშნებს...

სკავაროდას შემოქმედების საფუძველზე მეცნიერები ასკვნიან, რომ პოეტი ერთ-ერთი იმ უკრაინელ ინტელიგენტთაგანია, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ნაციონალური კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში. მკვლევარების აზრით, სწორედ ამ კუთხით უნდა შევაფასოთ მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა უკრაინის ისტორიისთვის.

როგორც ხედავთ, დღეს, სკავაროდას 280 წლის იუბილეს უკრაინელებისთვის ერთგვარი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. ალბათ, სწორედ ამიტომაც აღინიშნება ეს თარიღი არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ ჩვენთანაც.

75 პატარა ბალერინა

A1 გვერდიდან

ეს სპექტაკლი სპეციალურად სტუდიისთვის დადგა თამაზ ვაშაკიძემ. მასში გამოყენებულია ლონდონის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის ჩანაწერი, სცენოგრაფია ვანცა ყიფშიძეს ეკუთვნის, კოსტუმების მხატვარია ანა კალატოზიშვილი.

XIX საუკუნის ფრანგი კომპოზიტორის "კოპელიამ ანუ მინანქრის თვალება გოგონამ" თავის დროზე დიდი გარდატეხა მოახდინა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაზე. ეს ბალეტი ინტენსიურად იდგმება დღესაც სხვადასხვა ქვეყნების ოპერისა და ბალეტის თეატრების სცენაზე.

საბალეტო სტუდიას "კოპელიაზე" არჩევანი შემთხვევით არ შეუჩერებია; "კოპელია", რა თქმა უნდა, საბავშვო ბალეტი არ არის, მაგრამ ამ ბალეტს (ისევე როგორც "მაკნატუნას") ბავშვები დიდი სიამოვნებით უყურებენ. აქ ერთმანეთს ერწყმის არაჩვეულებრივი მუსიკა, არის თოჯინები, ნიმფები და ზღაპრის გმირები, ლამაზი დეკორაციები და კოსტუმები...

სპექტაკლის დაწყების წინ ბავშვები ღელავდნენ და ამ მღელვარებას ყველა თავისებურად გამოხატავდა: ზოგი დახტოდა, ზოგი გულმოდგინედ ემზადებოდა სცენაზე გასასვლელად, ზოგს წყალი მოსწყურდა, ზოგს უცბად ძალიან მოშივდა, არანაკლებ ნერვიულობდნენ მშობლები, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც სტუდიის ხელმძღვანელი, ქალბატონი მაკა მახარაძე იყო აფორიაქებული: კულისებიდან კულისებში დარბოდა, თან ყველას უღიმოდა და სცენაზე გასულ მოსწავლეებს წამდაუწუმ ანიშნებდა – რა დაგემართათ, გაიღიმეთო.

"ასეთ დროს ყოველთვის ვღელავ, ვღელავდი მაშინ, როცა მე თვითონ ვცეკვავდი და ვღელავ ახლაც, როცა სცენაზე ჩემი მოწაფეები არიან. დღევანდელი დღე დიდი სიხარულია ბავშვებისთვის, ჩვენთვის და, იმედია, მაყურებლისთვისაც," – ამბობს ქალბატონი მაკა.

სპექტაკლში სხვადასხვა ასაკის, განსხვავებული მონაცემების და განსხვავებული ხასიათის 75 მონაწილეა. 75 ბავშვთან ერთობლივად მუშაობა სახუმარო საქმე ნამდვილად არ არის. "მუშაობა, რა თქმა უნდა, ძნელია, - ღიმილით ამბობს სტუდიის ხელმძღვანელი, - ზოგმა წესიერად სიარულიც კი არ იცის, ჩვენ კი ვცდილობთ მათი მოძრაობები ცეკვას მივამსგავსოთ."

"კოპელია" მხიარული გალოპით მთავრდება. ეს ლამაზი სპექტაკლი და პატარა ბალერინები მაყურებელმა უკვე შეიყვარა.



სცენა სპექტაკლიდან

ფოტო ხაჩატურ ზაქარიაძის

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავი?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

სასწავლებლად – მასწავლებლები

თბლისში უკვე რამდენიმე წელია ფუნქციონირებს (იმედია, მათი რიცხვი კიდევ გაიზრდება) ისეთი სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც სხვა ქვეყნების წამყვან სასწავლებლებთან აქტიურად თანამშრომლობენ. ამჯერად მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებთან კონტაქტების შესახებ მოგახსენებთ.

თანამშრომლობა სხვადასხვა ხასიათისაა და გარდა, ამერიკელი სპეციალისტების პედაგოგებად მოწვევის ან სტუდენტების გაცვლითი თუ ინდივიდუალური პროგრამებით გარკვეული ვადით ამერიკაში გამგზავრებისა, ითვალისწინებს, კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან მომენტს: მოკლევადიან სტაჟირებასა და სამაგისტრო სრული კურსის გასავლელად თავად პედაგოგების გამგზავრებას.

1994 წელს დაარსებული საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) იმ პრესტიჟულ უმაღლესთა რიცხვს განეკუთვნება, რომლის დიპლომსაც საქართველოში დიდი წონა აქვს. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ამ სასწავლებელში ამერიკელი პედაგოგებიც ასწავლიან. თანაც სასწავლებელი მუდმივად ცდილობს სწავლების ამერიკული მეთოდიკა და შესაბამისად ამერიკული ხარისხი შეინარჩუნოს. რაკი სწავლება ინგლისურ ენაზე წარმოებს, სასწავლებლის კარი ყველასთვის ვერ გაიღებოდა და ინსტიტუტის ბაზაზე, რომელიც თავიდან მხოლოდ სახელმწიფო მოხელეებს ამზადებდა, ქართულენოვანი ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სკოლა გაიხსნა. სამაგისტრო პროგრამა მაღალკვალიფიციურ პედაგოგებს ითხოვდა, რომლებიც დასავლური მეთოდიკით, მაღალი ხარისხით, ქართულ ენაზე წაიყვანდნენ კურსს. GIPA-ს კურსდამთავრებულთაგან კონკურსის წესით 3 ქართველი სპეციალისტი შეირჩა, რომლებიც ჯორჯიის უნივერსიტეტის კარლ ვინსონის სამთავრობო ინსტიტუტში გაიგზავნენ. სწორედ მათ შეადგინეს ქართულ ენაზე სასწავლო პროგრამები, რომლის საფუძველზეც ქართული სკოლის გახსნა გახდა შესაძლებელი.

ამავე, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, ცოტა უფრო ადრე, 2001 წელს ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა გაიხსნა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სოროსის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტისთვის პროფესორ-მასწავლებლების შერჩევას და სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელობას ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი (ICFJ,აშშ) ახორციელებს ინტერნიუსთან, ლუიზიანის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სკოლასთან, იურიდიული საზოგადოებრივი განვითარების ასოციაციასთან და ქ. ლილის ჟურნალისტიკის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით.

თავისუფალი ჟურნალისტიკის სწავლების გამოცდილება საქართველოში ფაქტიურად არ არსებობს. ამ სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადება კვლავ ამერიკულმა მხარემ აიღო თავის თავზე და დააფინანსა ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამის გავლა 6 ქართველი პედაგოგისთვის. ორი ამჟამად უკვე ლუიზიანაში იმყოფება, სამი კანდიდატი შეირჩევა და გაემგზავრება 2003 წელს და ერთიც – 2004 წელს (შესაძლოა ეს იყოს აზერბაიჯანის ან სომხეთის მოქალაქე, რადგანაც ეს კავკასიური სკოლაა). ამერიკული პროფესიონალური ჟურნალისტიკის სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ქართველი პედაგოგები პროგრამას ქართული კონტექსტით გაამდიდრებენ, ჩვენში არსებულ კონკრეტულ პრობლემებს გაითვალისწინებენ და მათზე გაამახვილებენ ყურადღებას. ამერიკელ კოლეგებთან პარალელური მოღვაწეობისას სათანადო გამოცდილების დაგროვების შემდეგ ნავარაუდებია ქართულენოვანი ფაკულტეტის გახსნაც.

თბილისის კიდევ ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი - მართვის ევროპული უმაღლესი სკოლა (ESM) საზღვარგარეთის არაერთ უმაღლეს სასწავლებლებთან სხვადასხვა სახის კონტაქტების სიმრავლითაც გამოირჩევა, რომელთა შორის პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებაცაა. ჯერ კიდევ 1994წ.-ს გაიგზავნა სამი თანამშრომელი კალიფორნიის უნივერსიტეტის მაკლარენის ბიზნეს-სკოლაში სტაჟირებაზე. მას შემდეგ პედაგოგთა გამგზავრებას შეერთებულ შტატებში ხშირი ხასიათი აქვს, თუმცა, ეს მათ მიერ ინდივიდუალურად მოპოვებული გრანტების საფუძველზე ხდება. მაგ. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ვაშინგტონში სტაჟირება ოთხმა მასწავლებელმა გაიარა. ამჟამად "ექსესის" ერთწლიანი პროგრამით ტენესის შტატის ერთ-ერთ სასწავლებელში ერთი პედაგოგია.

გარდა უმაღლესი სასწავლებლებისა, რომლებიც ბაკალავრისა თუ მაგისტრის დიპლომს იძლევიან, თბილისში გაიხსნა სკოლა სახელწოდებით "ამერიკული აკადემია თბილისში," სადაც ყველა საგანი (ქართული და რუსული ენების გარდა) ინგლისურად ისწავლება. არა მხოლოდ ამით განსაზღვრება მისი განსხვავება საქართველოს სხვა სკოლებისგან. მთავარი განსხვავებაა მასწავლებლების პროფესიონალიზმი, რაზედაც ძირითადად სკოლის წარმატებაა დამკოდებული. ამიტომ, მას შემდეგ, რაც სკოლა თავისი სპეციალობის განხრით მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს შეარჩევს, მას მუშაობის დაწყებამდე შეერთებულ შტატებში აგზავნის. ისინი ერთ აკადემიურ წელს ატარებენ ჰარვარდის უნივრსიტეტის განათლების უმაღლეს სკოლაში ან სიმონსის კოლეჯში (ქ. ბოსტონი). ჯერ კიდევ სწავლების დაწყებამდე, ზაფხულის პერიოდში წარგზავნილები პრაქტიკას ამერიკის ერთ-ერთ უძველეს და ძალიან პრესტიჟულ სკოლაში - ფილიპს ექსეტერის აკადემიაში გადიან. იქ ისინი ეცნობიან სწავლების ახალ მეთოდებს, რომლებიც მთლიანად ინტერაქტიულ პრინციპზეა დამყარებული, რითაც რადიკალურად განსხვავდება ჩვენში დანერგილისგან. ამას გარდა, შტატებში გატარებული ერთი წლის განმავლობაში მასწავლებლები სწავლობენ განათლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობებს, რასაც შემდეგ თბილისის ამერიკულ აკადემიაში წარმატებით იყენებენ. სკოლის მიზანია მოამზადოს 21-ე საუკუნის ახალგაზრდობა, რომელიც თანატოლებს კონკურენციას გაუწევს საერთაშორისო დონეზე და სწავლის გაგრძელებას მსოფლიოს ნებისმიერ საუკეთესო უნივერსიტეტში შესძლებს.

სკოლა 13 მასწავლებლის სწავლის დაფინანსებას გეგმავს. ცხრა კანდიდატიდან ნაწილი უკვე თბილისში დაბრუნდა და მოღვაწეობას შეუდგა, ნაწილი ამჟამად იმყოფება შეერთებულ შტატებში და გაისად კიდევ 4 გაემგზავრება. აქვე აღვნიშნავთ, რომ საკუთარ მასწავლებლებში ამხელა ინვესტიციის ჩადების გასამართლებლად თუ საპასუხოდ, შტატებში განსწავლულ პედაგოგებს მოეთხოვებათ სულ ცოტა 4 წელი დაჰყონ თბილისის ამერიკულ აკადემიაში.

"ამერიკული აკადემია" პირველია და ჯერჯერობით ერთადერთი ამ ტიპის სასწავლებლებიდან, მაგრამ მალე კიდევ ერთი ინგლისურენოვანი სკოლის გახსნაა ნავარაუდები. მრავალმხრივი მიმართულებების მქონე დამოუკიდებელ, არასამთავრობო ორგანიზაციას "პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის" (PSI) აქვს სხვადასხვა ცენტრი, რომლიდან ერთ-ერთი განათლებისაცაა. სწორედ ეს ცენტრი გეგმავს თბილისში ლიბერალური ხელოვნების კოლეჯის გახსნას, რომელსაც, თავის მხრივ, თავისუფლად მოაზროვნე ახალგაზრდების აღზრდა აქვს მიზნად. ლიბერალური განათლების ფესვებს კვლავ ამერიკის შეერთებულ შტატებში მივყავართ. მომავალი კოლეჯის პედაგოგებიც სასწავლებლად იქ გაემგზავრებიან. პირველი ოთხი შერჩეული კანდიდატი უკვე მომდევნო წელს გაატარებს ერთ სემესტრს ერთ-ერთ ლიბერალურ კოლეჯში. მათ კიდევ მომავალი რვა პედაგოგი შეუერთდება.

სასწავლებლად გასაგზავნი მასწავლებლების შერჩევა ყველგან ღია კონკურსის წესით ხდება. მაგრამ მხოლოდ სავალდებულო ენის ტესტის ჩაბარება (TOEFL}, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება და კარგი რეკომენდაციები საკმარისი არაა. კომისიები, რომლებშიც ერთად შედიან ქართველი და ამერიკელი პარტნიორები, ბევრ სხვა მოთხოვნასაც აყენებს. ლიბერალური კოლეჯი, მაგალითად, პირველ რიგში ღრმა აზროვნებისა და საფუძვლიანად მსჯელობის უნარს ითხოვს, ამერიკულ კოლეჯში კი ჩატარებული ორი საჩვენებელი გაკვეთილის შემდეგ შეფასებას, კომისიის წევრების გარდა მოსწავლეთა მშობლები და თვით მოსწავლეებიც კი იძლევიან.

ასე რომ, მაღალანაზღაურებადი პედაგოგის ადგილი იოლი მოსაპოვებელი სრულიადაც არ გახლავთ. ამ ყველაფერს კი ერთი დიდი და დადებითი შედეგი მოაქვს: მასწავლებლობა ჩვენში ისევ პრესტიჟული პროფესია ხდება.

ჭონ ჰარვარდის ძეგლი

ბოდიშს გიხდით წინა ჩამატებაში "განათლება საზღვარგარეთ" დაშვებული შეცდომისათვის: British Council უნდა თარგმნილიყო, როგორც ბრიტანეთის საბჭო (ტელ: 250407, ან 252360) და არა როგორც ბრიტანეთის საკონსულო.

უმაღლესი განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში

მრავალი მიზეზის გამო, ამერიკა საქართველოსთვის ერთობ მიმზიდველი ქვეყანაა. პოლიტიკურ ინტერესს თავი რომ დავანებოთ, ჩვენს შორის საგანმანათლებლო ურთიერთინტერესებიც არსებობს, ოღონდ ცოტა სპეციფიკური: ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები დაინტერესებულნი არიან უმაღლესი განათლება ამერიკაში მიიღონ, რადგან ეს მათი პროფესიული წინსვლის აშკარა გარანტია. ამერიკელები კი დაინტერესებულნი არიან საქართველოს (და სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების) მოქალაქეებს ასეთი განათლება მისცენ, რადგან აქ გარკვეულ როლს პირველი - პოლიტიკური - ინტერესი ასრულებს. პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს ამერიკის შეერთებული შტატები მრავალ საგანმანათლებლო პროგრამას სთავაზობს. მათ შესახებ ჩვენს გვერდზე შეძლებისდაგვარად ამომწურავად იქნება საუბარი. ამჟამად კი ამერიკაში სასწავლებლად ინდივიდუალურად გამგზავრების გზებსა და აშშ-ს უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთ თავისებურებებზე მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა. მანამდე კი გაწეული დახმარებისთვის ამერიკის საელჩოს თანამშრომელს მაგდა მაღრაძესა და ნიუ-იორკის New School University-ს მიწვეულ მკვლევარს ზურა ჭიაბერაშვილს გადავუხდი დიდ მადლობას.

სტენფორდის უნივერსიტეტი

ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა პირობითად ორ ეტაპად – undergraduate (ბაკალავრიატი) და graduate (მაგისტრატურა და phD) – იყოფა. თორმეტწლიანი საშუალო განათლების მიღების შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარება ყველასთვის, მათ შორის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვისაც შესაძლებელია. თუ სკოლაში წარმატებით სწავლობდით, თქვენი ინგლისურის დონე საშუალოზე მაღალია და ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას გაძლევთ (სწავლა წელიწადში დაახლოებით 12-15 ათასი დოლარი ჯდება), შეიძლება უმაღლეს სასწავლებელთა ძებნა ინტერნეტითაც დაიწყოთ. მაგრამ, მათი რიცხვი იმდენად დიდია და ისინი იმდენად მრავალფეროვანნი არიან, რომ უმჯობესია, პირველ რიგში სტუდენტთა და მოსწავლეთა საკონსულტაციო ცენტრებს მიაკითხოთ. ჩვენს ქვეყანაში ასეთ ცენტრებს "სოროსის ფონდი" კურირებს. აქ თქვენი ცოდნისა და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების შესახებ მიიღებთ ინფორმაციას, გაიგებთ რა რეიტინგი აქვს მოცემულ უმაღლეს სასწავლებელს, არის თუ არა იგი აკრედიტირებული, სწავლის რა პირობებია, როგორია საფასური და ა.შ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამედიცინო და იურიდიულ დარგებზე სწავლას ამერიკის შეერთებულ შტატებში გარკვეული სპეციფიკა გააჩნია. სკოლის დამთავრების შემდეგ პირდაპირ ასეთ ფაკულტეტებზე ვერ მოხვდებით, ამისათვის გარკვეული კურსების გავლაცაა საჭირო. სწავლების დროის თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდებიან უმაღლესი კოლეჯები და უნივერსიტეტები. მოკლედ, ამ საგანმანათლებლო ლაბირინთში გარკვევას მხოლოდ თქვენი ძალებით ნუ შეეცდებით "სოროსის ფონდთან" არსებულ საკონსულტაციო ცენტრს მიაკითხეთ.

საბუთებს აშშ-ს უმაღლესი სასწავლებლები ერთი წლით ადრე ითხოვენ. თავად ამერიკელები სკოლის დამთავრების შემდეგ სულ მცირე 20 უმაღლეს სასწავლებელში აგზავნიან განაცხადს. ოციდან მათ სამი მაინც ეხმაურება და შემდეგ მათგან ოპტიმალურს თავად სტუდენტი არჩევს. იგივეს გაკეთების უფლება აქვთ ქართველ ახალგაზრდებსაც. როგორც წესი, ბაკალავრიატის საფეხურზე ჩასაბარებლად უცხოელ სტუდენტებს ინგლისური ენის ტესტის (TOEFL) ჩაბარება ჭირდებათ. უმაღლეს სასწავლებელთა უმრავლესობა ამ ტესტში სულ მცირე 500-550 ქულის დაგროვებას ითხოვს, პრესტიჟული სასწავლებლები კი ამ რიცხვს 600-650-მდე ზრდიან. ენის ტესტის გარდა, ამ საფეხურზე შესაძლებელია თქვენი უნარ-ჩვევებისა და ზოგადი განათლების შესამოწმებელი ტესტის (SAT, AT ან ACT) ჩაბარებაც მოგიხდეთ. სამაგისტრო კურსებისათვის კი ზოგ შემთხვევაში GRE-ის (ზოგადი გამოცდა), GMAT-ის (ზოგადი მათემათიკა), ან მილერის ტესტის დაწერაა საჭირო. ყველა მათგანის საქართველოშივე ჩაბარების უზრუნველყოფას ამერიკის საბჭოები ახდენენ. გამოცდის დასანიშნად ამ ორგანიზაციას რამოდენიმე თვით ადრე უნდა მიმართოთ. გაითვალისწინეთ, რომ ტესტები ფასიანია (20-იდან 75 დოლარამდე). რაც უფრო მაღალია თქვენს მიერ დაგროვილი ქულები, მით უფრო მეტი შანსი გაქვთ ამერიკულ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრისა. თანხმობის შემთხვევაში უმაღლესი სასწავლებელისგან მიიღებთ შესაბამის წერილსა და ანკეტას F-1 ვიზის მისაღებად, რომელიც სხვა შესაბამის საბუთებთან ერთად ამერიკის საკონსულოში უნდა წარადგინოთ. ვიზის მოსაპოვებლად აუცილებელია ჩარიცხული იყოთ კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელში, გქონდეთ დაფინანსების სანდო ფურცელი და წესრიგში იყოს ყველა საბუთი. თუმცა, სამწუხაროდ ვიზის მიღების 100%-იანი გარანტი ესეც არ არის.

ნუ დაელოდებით საბოლოო შედეგებს, ბინაზე ზრუნვა სწავლაზე ზრუნვასთან ერთად დაიწყეთ. ამერიკულ უმაღლესთან წარმოებული მიმოწერის დროს უკვე დაფიქრდით სად გინდათ ცხოვრება: ე.წ. უნივერსიტეტის კამპუსში თუ მის გარეთ და ამის შესახებ განაცხადი გააკეთეთ. კამპუსის დორმიტორიები ან Residence halls, როგორც წესი მარტოხელა სტუდენტებისთვისაა გათვალისწინებული. ე.წ University apartments-ში კი, როგორც წესი დაოჯახებული წყვილები, მაგისტრატურის სტუდენტები და phD-ზე მომუშავე მკვლევარები ცხოვრობენ. კამპუსში ცხოვრებას ბევრი დადებითი მხარე გააჩნია. ჯერ ერთი ისინი თითქმის ყოველთვის უმაღლესი სასწავლებლის ახლოს მდებარეობენ. უმრავლესობა მათგანს თავისი სასადილო გააჩნია, რომლის ფასიც (სამჯერადი, ორჯერადი, ან ერთჯერადი კვება) ხშირ შემთხვევაში ბინის გადასახადში შედის. გარდა ამისა, კამპუსში ცხოვრება ამერიკულ სამყაროში ინტეგრირებას უფრო აადვილებს. აქ თქვენ თავისთავად ერთვებით ამ ქვეყნის ცხოვრების წესში, იძულებული ხართ საცხოვრებელში არსებულ წესებს დაემორჩილოთ, გაიცნობთ ახალ მეგობრებს, საშუალება გექნებათ კამპუსის ტერიტორიაზე არსებულ უამრავ სპორტულ თუ სხვა სახის კლუბში გაერთიანდეთ და თავისუფალი დრო საინტერესოდ გაატაროთ. თანაც ყოველ ასეთ საცხოვრებელს თავისი Adviser-ი ყავს, რომელიც ნებისმიერი საყოფაცხოვრებო საკითხის მოგვარებაში დაგეხმარებათ: აგიხსნით რომელ ბანკში ჯობია ანგარიშის გახსნა, როგორ ისარგებლოთ ტელეფონით, რომელი ტრანსპორტი იქნება თქვენთვის მოსახერხებელი, გაგარკვევთ დაზღვევის საკითხებში და ა.შ. საშუალოდ, კამპუსში ცხოვრება თავისი კვებით სტუდენტს წელიწადში 2200-5500 დოლარი უჯდება. უნივერსიტეტებთან ახლოს დაახლოებით იგივე პრინციპზე მოწყობილი კერძო კამპუსებიც არსებობს. მაგრამ თუ თქვენ "კოლექტივიზაციის" ყველა ფორმის წინააღმდეგი ხართ, მაშინ ბინა ცალკე უნდა დაიქიროთ: უავეჯო ბინა, (ავეჯის ყიდვა მეორადი ავეჯის მაღაზიებშია შესაძლებელი, მის შეძენასა და ტრანსპირტირებას დაახლოებით 500-1000 დოლარი დასჭირდება), ავეჯიანი ბინა, ერთი ოთახი ვინმეს ოჯახში, ან აპარტამენტები. ბინების ფასი თვეში 200-600 დოლარამდე და ზევით მერყეობს. გააჩნია სად გიწევთ ცხოვრება დიდ ქალაქში თუ არა, როგორია ბინა ავეჯიანი თუ უავეჯო და ცენტრში მდებარეობს თუ არა. სანამ ბინას იქირავებთ კარგად გაეცანით ხელშეკრულების პირობებს. ყველა შემთხვევაში გახსოვდეთ, რომ ბინის ქირაობისთვის თქვენი საერთო შემოსავლის ერთ მესამედზე მეტი არ უნდა დახარჯოთ.

თავიდანვე დაფიქრდით ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხზეც. აშშ-ში ჯანმრთელობის დაზღვევის უამრავი პროგრამა არსებობს, თუმცა ყველას ნდობა არ შეიძლება. ხშირად უნივერსიტეტები სტუდენტებს საკუთარი ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისებს სთავაზობენ და ალბათ უმჯობესია თქვენი ყურადღება აქეთკენ გაამახვილოთ. ისე კი, სანამ ამერიკაში გაემგზავრებოდეთ მოიწესრიგეთ კბილები, (ოღონდ სანდო სტომატოლოგთან, რომ მერე უარესი არ იყოს. თუ სათვალეს ატარებთ იზრუნეთ დამატებითი სათვალის აქედანვე წაღებაზე. გაითვალისწინეთ ისიც, რომ დაზღვევაში, როგორც წესი ქრონიკული დაავადებების მკურნალობა არ შედის. პოლისი წელიწადში დაახლოებით 200-500 დოლარი დაგიჯდებათ.

თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ბარიერი წარმატებით გადალახეთ და ამერიკულ უმაღლეს სასწავლებელში მოხვდით იქ ჩვენგან ერთობ განსხვავებული გარემო დაგხვდებათ. ამ ქვეყნის ახალგაზრდები ჩვენი სტუდენტებისაგან კარდინალურად განსხვავდებიან ცხოვრებისადმი სერიოზული დამოკიდებულებით. მათ შორის ურთიერთობა მძაფრ კონკურენციაზეა აგებული. აშშ-ი არ არსებობს ისეთი კოლექტივიზმი როგორიც ჩვენთანაა. ჩვენთან მოსწავლეები ერთად დადიან შატალოზე, იწერენ ერთმანეთისგან, ერთად ემზადებიან გამოცდებისთვის და ა.შ. ამერიკაში ჯგუფის ჩვენთან დღემდე შემორჩენილი საბჭოური გაგება საერთოდ არ არსებობს. ყველა სტუდენტს ინდივიდუალური გრაფიკი აქვს და თავის მინდორზე იბრძვის. თითოეული თავის სამუშაო განრიგსა და ტემპს ინდივიდუალურად ირჩევს. ამიტომ ხდება, რომ პრესტიჟულ უმაღლესებში სადაც, ძირითადად პერფექციონისტები სწავლობენ ხშირად ხდება საუკეთესო სტუდენტთა თვითმკვლელობის ფაქტები. თუმცა, თქვენ ეს ნუ შეგაშინებთ: ძნელი წარმოსადგენია ისეთი ქართველი, რომელიც სწავლაში იმდენ ძალისხმევას და ფინანსებს ჩადებს, რომ ამან თვითმკვლელობამდე მიიყვანოს.

ფაკულტეტზე მოხვედრისას თქვენ უფლება გეძლევათ რამოდენიმე სავალდებულო საგნის გარდა თქვენი ინტერესების შესაბამისად დამატებითი საგნებიც აირჩიოთ. ამ არჩევანში Academic Adveser-ის წარმომადგენლები დაგეხმარებიან (ყველა ფაკულტეტთან არსებული მრჩეველთა სპეციალური განყოფილება). ისინი გირჩევენ თქვენი პროფესიული განვითარებისათვის რომელი საგნების არჩევა სჯობს.

როგორც წესი, ამერიკულ უნივერსიტეტებში ბაკალავრიატის საფეხური 4 წელიწადს გრძელდება. ბაკალავრიატის დონეზე სპეციალობების დავიწროება და გამოკვეთა არ ხდება. აქ ისწავლება ისეთი ზოგადი მიმართულებები, როგორიცაა: ჰუმანიტარული, ტექნიკური, სამედიცინო ან სხვა. სტუდენტს საშუალება აქვს მის მიერ არჩეულ სფეროში ძალიან ფართო განათლება მიიღოს. შემდეგ კი თუ სწავლის გაგრძელებას გადაწყვეტს კონკრეტული სპეციალობა მაგისტრატურაში აირჩიოს. სისტემა ასე იმისთვისაა მოწყობილი, რომ სკოლადამთავრებულ ახალგაზრდას არჩევანის გასაკეთებლად საკმარისი დრო და განათლება მიეცეს. მაგისტრატურაში, სადაც სწავლა 2-3 წელს გრძელდება უკვე პრაქტიკულად ყველა სტუდენტს თავისი ინდივიდუალური ხაზი და სამუშაო გრაფიკი გააჩნია და ის ძირითადად მის მიერ არჩეულ თემაზე მუშაობს. აშშ-ს უმაღლესი აკადემიური ხარისხი phD-ია. ამ ხარისხზე მუშაობა 3-4 წელი გრძელდება და სამეცნიერო თემის კეთებისა და სხვადასხვა გამოცდების ჩაბარების გარდა, გარკვეულ სამასწავლებლო პრაქტიკის გავლასაც გულისხმობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრ უმაღლეს სასწავლებელში ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ პირდაპირ phD-ზე მუშაობის დაწყებაცაა შესაძლებელი. უფრო სწორედ, სამაგისტრო კურსების გარკვეული ნაწილი ამ ხარისხზე მუშაობის პროცესში მოიაზრება.

ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ფასიანია. სწავლის დაფინანსებისათვის ძირითადად სამი წყარო არსებობს: აშშ-ში ძალიან კარგად მუშაობს საკრედიტო სისტემა. უმაღლესში ჩარიცხული ახალგაზრდა სწავლის ფულს კრედიტით ბანკისგან იღებს. სწავლის დასრულებისა და სამუშაოზე მოწყობის შემდეგ კი ამ თანხას ნელ-ნელა ხელფასიდან ისტუმრებს. ამერიკის მოქალაქეთა დიდი ნაწილი სწავლების დასაფინანსებლად სწორედ ამ გზას ირჩევს. უფრო მცირე ნაწილს სწავლის ფულს მშობლები უხდიან. გარკვეული პროცენტი კი თავისი განათლების დაფინანსებას გრანტების მოპოვებით ცდილობს. როგორც წესი, ბაკალავრიატის დონეზე ე.წ. Scholarship-ების მოპოვება უფრო ჭირს. მიზეზი მარტივია, ფონდი რომ გენდოს უკვე რამე გაკეთებული უნდა გქონდეს. ბაკალავრიატში თავის გამოჩენის შემდეგ, მაგისტრატურის საფეხურზე ეს უფრო ადვილია. თანაც სტუდენტი, რომელმაც ბაკალავრიატი ბანკიდან აღებული კრედიტის მეშვეობით დაამთავრა, ყველანაირად ცდილობს სტიპენდია მოიპოვოს და ძველ კრედიტს ახალი აღარ დაუმატოს.

როგორც ვხედავთ, იმისთვის რომ სტუდენტმა ისწავლოს საკმაოდ უნდა გაისარჯოს. ამის გამო, ამერიკელი სტუდენტის სწავლისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებულია: სტუდენტი ლექციაზე არასოდეს აგვიანებს. თუ ლექტორმა შემთხვევით ერთი წუთით დააგვიანა, ის დიდ ბოდიშს იხდის, რადგან ამ ძვირფას დროში ფულია გადახდილი. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებისაგან განსხვავებით იქაურ ლექციებზე არ არის ხმაური და ჩურჩული - იქ ყველა ცოდნის მისაღებადაა მისული. ჩვენთან სტუდენტები და მასწავლებლები დღესაც ორი განსხვავებული პოლუსის წარმომადგენლები არიან. მათ შორის ბარიკადის უხილავი ხაზია აღმართული. ამერიკაში ეს ასე არ არის. დამოკიდებულება ლექტორსა და სტუდენტს შორის ჩვენგან განსხვავებულია. მასწავლებელი მენტორი არ არის, რომელიც 45 წუთის განმავლობაში დგას და რაღაცას ყვება. ის არის ერთგვარი ფასილიტატორი, რომლის ფუნქციაცაა ზრდასრულ ადამიანებს ცოდნის მიღებაში მიეხმაროს. ცოდნა სტუდენტს ძირითადად წიგნიდან გადაეცემა. ლექტორი კი მას ამ პროცესის წარმართვაში ეხმარება. საკითხავი მასალა ლექციის კურსის აუცილებელი კომპონენტია. პირველ რიგში სტუდენტი სალექციო კურსის არჩევისას შესაბამისი საკითხავი მასალის ნუსხას იძენს. ყოველ ლექციაზე ახალგაზრდა წაკითხული მასალით მიდის და შემდეგ იქ ამ მასალაზე ხდება მუშაობა.

ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში შეფასების სისტემა საკრედიტოა. შეფასებისას დიდი ყურადღება ექცევა ლექციებზე აქტიური მონაწილეობას. შუა სემესტრში სტუდენტები შუალედურ წერით გამოცდას აბარებენ. საბოლოო გამოცდაც თემის მიხედვით ფასდება. ჩვენი სასწავლებლებისაგან განსხვავებით, აქტიური მუშაობა იქ მუდმივი პროცესია. მასწავლებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი ყველა სტუდენტისათვის ცნობილია. პრაქტიკულად მთელი სემესტრის განმავლობაში გარდა სალექციო კურსზე დასწრებისა ლექტორი და სტუდენტი ინტერნეტითაც ურთიერთობენ. სტუდენტი მას არჩეული თემის მონახაზს მეილის საშუალებით უგზავნის. ლექტორი შენიშვნებსა და რჩევებს იქვე მიაწერს და გასწორებულ მასალას სტუდენტს ინტერნეტითვე უბრუნებს.

სტუდენტები ძალიან აქტიურები არიან საუნივერსიტეტო საქმეების გადაწყვეტაში. თანაც, ამაში ყველაზე ინტენსიურად მაღალი მოსწრების სტუდენტები მონაწილეობენ. თუმცა, მათ ამისთვის თითქოს დრო არც უნდა რჩებოდეთ. სტუდენტის გრაფიკი ძალიან დაძაბულია. მაგისტრატურაში კვირაში მათ საშუალოდ ოთხი, მაქსიმუმ ხუთი ლექცია აქვთ, რადგან მეტის დაძლევა პრაქტიკულად შეუძლებელია. კვირაში სტუდენტს, დაახლოებით 500-600 გვერდის წაკითხვა უწევს. ის, ვინც ბევრ კურსებს ესწრება მთლიანი წასაკითხი მასალის ათვისებას ვერც ასწრებს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტმა წასაკითხი მასალის სელექციის უნარი, ანუ მიღებული ინფორმაციის ეფექტურად გადამუშავებისა და ათვისების კულტურა გამოიმუშაოს.

უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე არა მხოლოდ ცოდნას იძენს, არამედ მისი პრაქტიკულად გამოყენების გზებსაც ეჩვევა. მაგისტრატურის კურსებზე არსებობს სპეციალური განყოფილებები, რომლებიც ახალგაზრდებს სწორედ ამ მიმართულებით კურირებენ. ამ განყოფილების სემინარებზე სტუდენტებს ასწავლიან, როგორ უნდა მოიპოვონ გრანტი, სტიპენდია, როგორ დაწერონ პროექტი, როგორ გააკეთონ განაცხადი, რომელია სტიპენდიის გამცემი ორგანიზაციები და ა.შ. გარდა ამისა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტში გატარებული წლები სტუდენტს მკაცრ რეჟიმს აჩვევს. მისი მთელი კვირა როგორც წესი, დაგეგმილია. მან იცის, რომ თუ ზედმეტი ათი წუთი შეყოვნდება საუზმეზე და რამეს არ წაიკითხავს, ამან შეიძლება მთელი კვირის გრაფიკი დაურღვიოს. ცხოვრების ასეთი წესით ისინი მომავალი სერიოზული და დაძაბული სამუშაოსთვის ემზადებიან, რამაც მათ წარმატებული კარიერა და უზრუნველყოფილი სიბერე უნდა მოუტანოს. ამიტომ არის, რომ ამერიკელი სტუდენტის დამოკიდებულება სწავლისადმი ერთობ სერიოზულია. მისი ბავშვობა მთავრდება მაშინ, როცა ის ხელს ბანკის საკრედიტო ხელშეკრულებაზე აწერს.

სწავლა ამერიკაში ამერიკელებისავე სახსრებით

ანუ სად და როგორ მოვიპოვოთ გრანტები აშშ-ში სწავლისა თუ მეცნიერული კვლევისთვის

საზღვარგარეთ განათლების მისაღებად გამგზავრების მსურველი ახალგაზრდა (და არა მხოლოდ ახალგაზრდა) ბევრია. საბედნიეროდ, ამ ბოლო წლებში ამის რეალური შანსები საგრძნობლად გაიზარდა. სწავლის სურვილის, თანდაყოლილი ნიჭისა და შემეცნების უნარის ქონასთან ერთად საჭიროა, და მგონი გადამწყვეტ როლსაც თამაშობს, ინფორმირებულობის ხარისხი. გაემგზავრებით, თუ დროულად გაიგეთ სად და რისთვის იძლევიან გრანტს, განაცხადი ყველა წესის სრული დაცვით შეავსეთ და კომისიაც დაარწმუნეთ გრანტის თქვენთვის მონიჭების მართებულობაში. სტიპენდიებსა და გრანტებს საზღვარგარეთის მოქალაქეებს პრინციპში ყველა განვითარებული ქვეყანა აძლევს, მაგრამ ყველაზე მსხვილი დონორი ამერიკის შეერთებული შტატებია.

თავისუფლების ქანდაკება

რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, რომ აშშ-ს განათლების სისტემა კრიზისს განიცდის, ამ ქვეყნის საუკეთესო უნივერსიტეტები მსოფლიო რეიტინგით კვლავ პირველ ადგილებზე რჩებიან. ხარისხთან ერთად მათ სწავლის საფასურის სიდიდეც გამოარჩევთ. თითქოს ამის პასუხად ცოდნას დაწაფებულთათვის ფინანსური დახმარების მთელი ინდუსტრია შეიქმნა. საქველმოქმედო ფონდების განვითარების სისტემით ამერიკა მსოფლიო მასშტაბით ლიდერობს (მეცნიერებისა და განათლების მხარდამჭერი ფონდები აქ 30 ათასზე მეტია). კერძო პირების მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდების გარდა (რომელთა საერთო კაპიტალი 250 მილიარდ $-ს შეადგენს და რომელიც განათლებისა და მეცნიერების მხარდასაჭერად ყოველწლიურად 16 მილიარდ $-ს ხარჯავს), საკუთარი თუ საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეთა განათლებაზე დიდ თანხებს თავად სახელმწიფოც იღებს (ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურული ურთიერთობების ბიურო (ECA) მეშვეობით).

საქართველოში ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებულ პროექტებს ამერიკის საელჩო მეთვალყურეობს, თუმცა ყველას თავად არ ახორციელებს. ამერიკის მთავრობას კონკურსის საფუძველზე შერჩეული ჰყავს ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მას სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში ეხმარებიან. საქართველოში ასეთი რამდენიმე ორგანიზაცია მუშაობს, კერძოდ: საერთაშორისო კვლევის გაცვლების საბჭო (IREX), საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები (American Councils for International Education: ACTR/ACCELS) და საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა საქართველოში - პროექტი "ჰარმონია". პროგრამების უმეტესობა დაფინანსებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ 1992წ. ჩამოყალიბებული "თავისუფლების მხარდამჭერი აქტით."

საკუთრივ ამერიკის საელჩო, კერძოდ მისი საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ატარებს კონკურსს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ყოველწლიურად გამოცხადებული ფულბრაიტის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. ეს ყველაზე დიდი სტიპენდიაა, რომელიც საქართველოში შეიძლება მოიპოვოთ, მაგრამ იგი განკუთვნილია მხოლოდ იმ მეცნიერ-მკვლევართათვის, რომლებიც სამეცნიერო ხარისხს ან ევროპის/ამერიკის ინსტიტუტში მიღებულ მაგისტრის წოდებას ფლობენ. სამეცნიერო კვლევის თემა (რომელზეც ცხრა თვის მანძილზე იმუშავებენ ამერიკულ უნივესიტეტსა ან შესაბამის დაწესებულებაში) აუცილებლად უნდა პასუხობდეს საკონკურსო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ საგანთა ნუსხა საკმაოდ ვრცელია, საქართველოში გამოცხადებული ფულბრაიტის საკონკურსო პროგრამა საკვლევი საგნების შეზღუდულ რაოდენობას მოიცავს. გრანტის მისაღებად ისინი ვერ იბრძოლებენ, ვინც ბოლო ორი წლის მანძილზე ამერიკაში იმყოფებოდა, ამ ქვეყნის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში მხოლოდ 3 ქართველი მკვლევარის არჩევა ხდება, გამოდის, რომ ფულბრაიტის სტიპენდიის მოპოვება საკმაოდ რთული საქმეა.

გარკვეული შემზღუდველი პირობები არსებობს ჰუბერტ ჰამფრის სახელობის სტიპენდიის მოპოვებისთვისაც. კონკურსში მონაწილეობის უფლება არ ეძლევათ მათ, ვინც ბოლო 7 წლის მანძილზე ასპირანტურის ერთწლიანი პროგრამით აშშ-ში სწავლობდა, ან თუნდაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე 6 თვეზე მეტი ვადით ამ ქვეყანაში პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმყოფებოდა. ჰუბერტ ჰამფრის პროგრამა იმ პროფესიონალთათვის არის განკუთვნილი, ვისაც ლიდერობის უნარი შესწევს და ვისი მოღვწეობაც კერძო თუ სახელმწიფო სექტორში საზოგადოებრივი საქმიანობისკენაა მიმართული. გამარჯვებულებს საშუალება ეძლევათ აშშ-ს უმაღლესების ასპირანტურაში კვალიფიკაცია აიმაღლონ და პროფესიული გამოცდილება მიიღონ. ფულბრაიტის სტიპენდიისგან განსხვავებით, ჰამფრის სტიპენდია ყველა ხარჯს სრულად არ ფარავს (მაგალითად, თავად სამაგისტრო გამოცდის თანხებს), არც ოჯახის წევრების ამერიკაში სამოგზაურო და საცხოვრებელ ხარჯებს იღებს თავის თავზე.

სრულად დაფინანსებულ პროგრამებს (რომელიც სწავლის, საერთაშორისო ბილეთის, ცხოვრების და კვების გარდა სტიპენდიას, სამედიცინო დაზღვევას და წიგნების შესაძენ თანხასაც კი ითვალისწინებს) გვთავაზობს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX). მას სამი მიმართულება აქვს, რომელთაგან აკადემიური გაცვლების პროგრამა ერთ-ერთია. ამჟამად IREX-ი ახორციელებს ორ, სტუდენტურ და თანამედროვეობის საკითხთა პროგრამას. პირველი საშუალებას აძლევს წელიწადში ოცამდე 1-3 კურსის სტუდენტს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ უნივერსიტეტში ან კოლეჯში ისწავლონ (აკადემიური ხარისხის მინიჭება არ ხდება).

თანამედროვეობის საკითხთა პროგრამა (Fellowship) საშუალებას აძლევს პროფესიონალებს უმაღლესის დიპლომითა და სულ ცოტა, სამწლიანი სამუშაო გამოცდილებით, ოთხი თვის განმავლობაში აწარმოონ კვლევა შემოთავაზებულთაგან მათ მიერვე ამორჩეულ უნივერსიტეტში. ამ პროგრამით ამერიკაში წელიწადში ხუთიდან ათამდე მკვლევარი მიემგზავრება.

პროგრამების მრავალფეროვან არჩევანს გვთავაზობს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები, რომლის ოფისიც მეთერთმეტე წელია საქართველოში მუშაობს. პირველია "მომავალ ლიდერთა გაცვლის პროგრამა," რომლითაც ორმოცდაათზე მეტი მე-9-11 კლასელის წასვლა ფინანსდება, რათა მათ ერთი წლის განმავლობაში ამერიკულ სკოლაში ისწავლონ და ამერიკულ ოჯახებში იცხოვრონ.

"ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამა" წელიწადში 25-დან 30-მდე უმაღლესდამთავრებულს აძლევს საშუალებას აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში ისწავლოს და ერთი ან ორი წლის შემდეგ მაგისტრის ხარისხი დაიცვას (ხანგრძლივობას კონკურსანტი აქვე თავად ირჩევს, ან შემდგომში მას ამ ადგილზე კონკრეტული პირობები კარნახობს).

"ლექტორთა გაცვლითი პროგრამა" საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ორწლიანი მუშაობის გამოცდილების მქონე წელიწადში ექვსი მასწავლებლისთვისაა განკუთვნილი. ეს ერთწლიანი პროგრამა გათვლილია ახალი სამასწავლებლო თვისებების შეძენაზე და მიზნად ისახავს მონაწილეთა მიერ სასწავლო პროგრამების განვითარებას. ამას გარდა, "ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების მასწავლებელთა პროგრამა" ინგლისური ენისა და ამერიკული კულტურის სწავლების საშუალო სკოლის საუკეთესო მასწავლებლებს აჯილდოვებს აშშ-ში 7კვირიან "ლიდერობის სემინარზე" გამგზავრებით.

კიდევ ერთი პროგრამა, რომელსაც ACTR/ACCELS ახორციელებს გახლავთ "პარტნიორობა განათლების სფეროში". იგი მიზნად ისახავს საქართველოს და ამერიკის სკოლებსა და მასწავლებლებს შორის პირადი კონტაქტების განვითარებას. სულ ცოტა ორწლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებელი ისტორიის, საზოგადოებრივ ან სოციალურ მეცნიერებათა სფეროში ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მომუშავე პირი, რომელიც ხელს უწყობს სამოქალაქო განათლების განვითარებას საქართველოში, 6 კვირით გაემგზავრება აშშ-ში პროფესიული გამოცდილების ასამაღლებლად.

ამ პროგრამებიდან რამდენადმე განსხვავებულია პროექტ "ჰარმონიის" მიერ განხორციელებული "საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა." იგი განკუთვნილია კერძო მეწარმეებისა და სხვადასხვა დარგში მომუშავე პროფესიონალებისთვის, რომელთაც სთავაზობს 3-დან 5 კვირამდე სტაჟირებასა და ტრეინინგებს აშშ-ში. იგი მასში მონაწილეთა სიუხვითაც გამოირჩევა - წელიწადში 70 პროფესიონალი და მეწარმე მოიპოვებს ამ უფლებას. (დგება 3 ბიზნეს და 4 პროფესიული 10 კაციანი ჯგუფი). ეს ერთადერთი პროექტია, რომლის გასაუბრებაზე დაიშვება ყველა, ვინც შეიტანა განაცხადი და ერთადეთი, სადაც მონაწილეთა ნაწილს (პროფესიული ჯგუფების წევრებს) ინგლისურის ცოდნაც კი არ მოეთხოვებათ (ჯგუფებს 2-2 თარჯიმანი ემსახურება).

ინგლისურის საფუძვლიანი ცოდნა სხვა ყველა შემთხვევაში აუცილებელი პირობაა. ბარდება ძირითადად TOEFL-ის ტესტი, სკოლის მოსწავლეები რამდენადმე გამარტივებულ სასკოლო SLEP ტესტს აბარებენ, გამონაკლის შემთხვევებში კი (მასკის პროგრამის რამდენიმე სპეციალობაზე) GRE და GMAT-ი ბარდება (ზოგადი განათლებისა და ზოგად მათემატიკური ცოდნის შემამოწმებელი ტესტები).

კერძო საქველმოქმედო ფონდებიდან საქართველოში აქტიურად მუშაობს ჯორჯ სოროსის ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო". სასწავლო პროექტებზე აქ რამდენიმე პროგრამა მუშაობს. სტუდენტების გაცვლითი პროგრამა (შეზღუდული სფეროებით - სოციოლოგია და ჰუმანიტარული დისციპლინები), რომელიც ერთი წლით აგზავნიდა მეორეკურსელ სტუდენტებს, მომავალ წელს იხურება, რადგან ანალოგიურ პროგრამას IREX-ი ახორციელებს (ამავე მიზეზით აღარ ხორციელდება სტუდენტური პროგრამა American Council-ის მიერ).

"სოროსის" გრანტებიდან განსაკუთრებით მიმზიდველი ჩანს ორწლიანი სამაგისტრო კურსის სრული დაფინანსება ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტსა და სენტ-ლუისის ვაშინგტონის უნივერსიტეტებში. თუმცა, ეს პროგრამა ზრუნავს ხარისხის მინიჭებისათვის მხოლოდ სოციალურ მუშაკთა შორის და ისიც წელიწადში 2-3 კაცით შემოიფარგლება.

სოროსის ფონდის საქართველოს ოფისის ყველაზე წარმატებულ პროექტად უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა გადამზადების პროგრამას თვლიან, რომელშიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან წამსვლელთა რაოდენობის მხრივ პროცენტულად საქართველო ლიდერობს. პროგრამის ხანგრძლივობა ორი წელია. ყოველწლიურად 4-5 მასწავლებელი წელიწადში ერთ სემესტრს აშშ-ში ატარებს, შემდეგ ბრუნდება, ნახევარი წლის შემდეგ კი კვლავ ერთი სემესტრით მიემგზავრება. ნიშანდობლივია, რომ ქართველი მასწავლებლები იქაც ლექციებს კითხულობენ. ხშირად დაფინანსების გაგრძელება მესამე წელსაც ხდება. ფონდი გამარჯვებულების სამუშაო ადგილიდან ხელმძღვანელთა საგარანტიო წერილს ითხოვს, რომ დროში საკმაოდ გაწელილი გადამზადების შემდეგ პროგრამის მონაწილენი სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ.

ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" წელიწადში ოცამდე მე-10 კლასის მოსწავლესაც სთავაზობს შტატებში საზაფხულო სკოლაში მოხვედრის ან ერთი წელი სწავლის შანსს.

"სოროსში" კიდევ ერთი პროექტის, ამჟამად მხოლოდ ნაწილობრივი დაფინანსება ხდება - სამეცნიერო სადოქტორო დისერტაციაზე მომუშავე მეცნიერებისთვის, რომელსაც უკვე აქვთ კონტაქტები კონკრეტულ სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებასთან, ან კერძო პირთან ამერიკაში და რაიმე სახის დაფინანსებაც გააჩნიათ.

იმ კონკრეტული მოთხოვნების გარდა, რომლებზეც ზემოთ შეძლებისდაგვარად გავამახვილეთ ყურადღება (იქნება ეს ასაკობრივი ჯგუფი, სწავლისა და მოღვაწეობის წინასწარ განსაზღრული სფერო თუ, ზოგ შემთხვევაში, დროის გარკვეულ მონაკვეთში ამერიკაში ყოფნა იმავე წყაროს დაფინანსებით ან "მწვანე ბარათის" გათამაშებაში მონაწილეობა), სხვამხრივ, კონკურსები ყველასთვის თანასწორუფლებიანია, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, რელიგიისა თუ ფიზიკური ნაკლისა.

როგორც ყველა ორგანიზაციის ოფისში აღნიშნეს, ინფორმაციას გამოცხადებული კონკურსების შესახებ გაზეთებშიც ანთავსებენ და ვებ-გვერდებზეც, იშვიათად ტელევიზიითაც კეთდება განცხადება, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ კონფერენციებსაც ატარებენ თავისუფალი დასწრებით, ზოგჯერ ცალკეულ ორგანიზაციებსაც სტუმრობენ და რეგიონებშიც დადიან სხვადასხვა ჯგუფებთან შესახვედრად. მაგრამ რატომღაც მოსახლეობა მაინც ინფორმაციის ნაკლებობას უჩივის და ეს რეალობაა. ჩვენც მოგაწვდით ვებ-გვერდების მისამართებს. თუ ინტერნეტამდე ხელი არ მიგიწვდებათ, სხვა რა დაგვრჩენია გარდა იმის შემოთავაზებისა, რომ შიგადაშიგ შეიაროთ დასახელებული უცხოური ორგანიზაციების ოფისებში (როგორც წესი, მათ რეგიონებშიც ყავთ საკონტაქტო პირები). აქვე იმასაც გეტყვით, რომ საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების მიერ გამოცხადებულ "ლექტორთა გაცვლის პროგრამის" კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა 6 დეკემბერი, "ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების სკოლის მასწავლებელთა პროგრამაში" მონაწილეობის მისაღებად კი 16 დეკემბრამდე შეგიძლიათ შეიტანოთ საბუთები.

ჩვენის მხრით, კი საქართველოს მოსახლეობის სწავლას მოწყურებულ ნაწილს წარმატებებს ვუსურვებთ გრანტების მოპოვების არც თუ რთულ(?), თუ არც თუ იოლ(?) გზაზე.

ბიბლიოთეკარების ცერემონია ჰარვარდის უნივერსიტეტში

MBA-ს ბუმი ცხრება

იმ სტუდენტთა რიცხვი, რომლებმაც წელს ამერიკაში ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო (MBA) პროგრამებზე ჩააბარეს ასი ათასს გადააჭარბა, მაშინ, როდესაც აშშ-ში MBA-ს მხოლოდ 350 აკრედიტირებული პროგრამა არსებობს. 1956 წელთან შედარებით, როდესაც MBA-ს ბუმი მხოლოდ იწყებოდა ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა რიცხვი 35-ჯერ გაიზარდა! მითი, რომელიც ბისზნეს-ადმინისტრირების პროგრამებს მუდმივად თან სდევს, ჯერ კიდევ მყარია: ასეთი დიპლომის მფლობელს კარგი კარიერა და ფული გარანტირებული აქვს. თუმცა, შესაძლებელია, რომ ეს მითი მხოლოდ წარმატებული სარეკლამო ფანდი იყოს. ყოველ შემთხვევაში, ამას ადასტურებს ცოტა ხნის წინ სტენფორდის ბიზნეს-სკოლის მეცნიერების ჯეფრი პრეფერისა და კრისტინა ფონგის მიერ ჩატარებული გამოკვლევები. მათ პირველად შეისწავლეს MBA-ს ისტორია ბიზნეს-განათლებაში ფულის ჩადების ეფექტურობის თვალსაზრისით. მეცნიერები ფიქრობენ, რომ პროგრამათა უმრავლესობა თავის კურსდამთავრებულებს არაფერს აძლევს, ასეთ განათლებაში ჩადებული ფული უმრავლეს შემთხვევაში არ ნაზღაურდება. თანაც პროგრამათა დიდი ნაწილი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არ განახლებულა და თანამედროვე ეკონომიკურ რეალიებს სულაც არ ასახავს. რა თქმა უნდა, ამ გამოკვლევას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, პირველ რიგში ბიზნეს-სკოლების სახით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკვე ნელ-ნელა ჩნდება ტენდენცია იმისა, რომ MBA-ს ბუმი მალე ჩაივლის... თუმცა, ალბათ არც ისე მალე... ამიტომ ცუდი არ იქნება, თუ ჩვენი თანამემამულეები, რომლებსაც თავიანთი ძალების მოსინჯვა ამ სფეროში სურთ, ამ პროგრამების რეიტინგებს გაეცნობიან. Executive MBA-ს პროგრამების პირველ ხუთეულში შევიდა: Nortwestern University (Kellog), University of Pennsylvania (Wharton), Duke University (Fuqua), University of Chicago და Columbia University. სტენფორდისა და ჩრდილოეთ კაროლინას (Kenan-Flagler) უნივერსიტეტები პირველ ათეულს ასრულებენ. A Rice University (Jones) და Wake Forest University (Babcock) ლიდერების ოცეულშიც კი არ მოხვდნენ.

TOEFL-ის თაღლითები

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო სკანდალური განხილვა, რომელიც ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებას უკავშირდება.

ინგლისური ენის კარგი მცოდნე და თანაც დიდი გაქანების მქონე ახალგაზრდებს მშვენიერი ბიზნესი ჰქონდათ აწყობილი. ისინი გარკვეული საფასურის აღების შემდეგ TOEFL-ს იმ უცხოელი აბიტურიენტების მაგივრად აბარებდნენ, რომლებსაც ინგლისური ენის ცოდნის დონე ამ ტესტის ჩაბარების შესაძლებლობას არ აძლევდა. ამ საქმეში განსაკუთრებით ვინმე *მახმუდ ფირასი* და *ბეგად აბელ-მეჯიდი* გამოირჩეოდნენ, თითოეულმა მათგანმა ეს რთული გამოცდა 50-ჯერ ჩააბარა!

პროცედურა კი ასე მიედინებოდა: თაღლითებს გამოცდაზე საგამოცდო ფურცელი საკუთარი სურათებით მიჰქონდათ, ტესტის ჩაბარების შემდეგ კი ითხოვდნენ, რომ მათთვის შედეგები ამა თუ იმ მისამართზე ფოსტით გადმოეგზავნათ. რეზულტატის მიღების შემდეგ ისინი თავიანთ ფოტოსურათს აბიტურიენტის ფოტოთი ცვლიდნენ, რის შემდეგაც უმაღლესებში დოკუმენტებს საგამოცდო საბჭოს ყალბ კონვერტებში აგზავნიდნენ.

საგამოცდო საბჭომ ამ ფაქტის შესახებ მთავრობას აცნობა და ერთობ კმაყოფილია 13 შტატში ჩატარებული დაკავების ფაქტებით (სულ დაკავებულია 75 ადამიანი). "იმედი გვაქვს ეს მაგალითი იქნება მათთვის, ვინც ცდილობენ საგამოცდო პროცედურის სამართლიან ჩატარებას ხელი შეუშალონ და პატიოსანი უცხოელი სტუდენტების ადგილებს იკავებენ."- აცხადებს კომპანია.

საინტერესო საიტები

http://www.aacc.nche.edu/

ამ მისამართზე ამერიკული კოლეჯების ასოციაცია მოგაწვდით ინფორმაციას სტიპენდიების, მნიშვნელოვანი მოვლენების, კონფერენციებისა და სასწავლო პროცესების შესახებ. ასევე აქ ნახავთ ინფორმაციას ასოციაციის ურთიერთობებზე ამერიკის მთავრობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან განათლების საკითხებში.

http://www.igc.apc.org/aaup

1915 წელს დაარსებული უნივერსიტეტის პროფესორთა ამერიკული ასოციაცია, რომლის მიზანია სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორთა შორის ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა.

http://www.ACENET.edu/

განათლების ამერიკული საბჭო ამერიკის შეერთებული შტატების სათაო ორგანიზაციაა განათლების სფეროში. მის შემადგენლობაში შედიან კოლეჯები, უნივერსიტეტები და განათლებასთან კავშირის მქონე სხვა ორგანიზაციები.

http://www.class.ufl.edu/CLAS/american-universities.html

ამ მისამართზე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ასობით ამერიკული უნივერსიტეტისა და კოლეჯის სათაო გვერდებს.

http://www.chronicle.com/

უმაღლესი განათლების ქრონიკა: როგორ ცხოვრობენ დღეს ამერიკის კოლეჯები და უნივერსიტეტები.

http://www.edweek.org/

მსოფლიო კომპიუტერულ ცენტრში ჩართულია ჟურნალის - "Education Week End Teacher Magazine" სრული ტექსტი.

http://www.gnacademy.org:8001/uugna/index.html1

"Globeaid Network Academy" (GNA) გახლავთ დისტანციური სწავლების წარმომადგენლების კომერციული კონსორციუმი. ეს ორგანიზაცია მსურველებს სთავაზობს ქსელურ კავშირს, რაც თავისთავად "დისტანციური სწავლების კატალოგის" ძირითადი კურსების შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

http://www.iel.org/

არაკომერციული ორგანიზაცია "ხელმძღვანელობის ინსტიტუტი განათლების სფეროში". მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში განათლების მიღებისა და მისი ეფექტურად გამოყენების პროცესს.

http://nces.ed.gov/naep/

განათლების ხარისხის ნაციონალური შეფასების მისამართი ქსელში. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ეს პროგრამა უკვე 20 წელია ხორციელდება. მისი მიზანია განათლების სფეროში არსებული პროგრესის ხარისხის შემოწმება, მოზარდებისა და ახალგაზრდების მიერ შეძენილი უნარ-ჩვევებისა და მოსწრების ხარისხის მუდმივად საკონტროლებლად.

http://nces.ed.gov/pubsearch.indreport.idc?1

თუ თქვენ გაინტერესებთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე განათლების პროცესების სტატისტიკური მონაცემები, ფაქტები და რიცხვები ამ მისამართით აშშ-ს განათლების სფეროს სტატისტიკის ნაციონალურ ცენტრს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ.

http://www.uscharterschools.org/

მსოფლიო კომპიუტერულ ქსელში არსებული ამერიკის ჩარტერული სკოლების საიტი. აქ თქვენ იპოვით დამოუკიდებელი პროგრამებისა და წესდებების მქონე სკოლების შესახებ სრულ ინფორმაციას: ასეთი სკოლების მუშაობის პრინციპს, იმ შტატების სიას, სადაც ისინი არსებობენ და ასევე რეკომენდაციებს ასეთი სკოლების შექმნის მსურველთათვის.

http://www.ed.gov

ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სამინისტროს საიტი, რომელიც გვთავაზობს კომპლექსურ ინფორმაციას სამინისტროს პროგრამებისა და პრიორიტეტების შესახებ.

http://www.irex.org.ge

ამ მისამართზე შესაძლებელია დაუკავშირდეთ საერთაშორისო კვლევითი გაცვლის სამსახურის (IREX) ორგანიზაციის ოფისს საქართველოში და მოიპოვოთ სრული ინფორმაცია მისი საქმიანობისა და პროგრამების შესახებ.

http://www.projectharmony.org

ამ მისამართზე შეიტყობთ დაწვრილებით ინფორმაციას პროექტ "ჰარმონიის" მიერ ადმინისტრირებული პროგრამების შესახებ.

http://www.americancouncils.org.ge

სხვადასხვა სტუდენტური პროგრამებისა და ჩასაბარებელი გამოცდების ორგანიზების საკითხებზე საქართველოს ამერიკული საბჭოების ვებ-გვერდს დაუკავშირდით.

http://www.exchanges.state.gov.edu

"ფულბრაიტის" სტიპენდიის, სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის შეტყობა ამ მისამართზე შეგიძლიათ.

ჩანართი მოამზადეს: ნინო ცინცაძემ და თეა ჯაიჭაძემ

ბინები

იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფას: 18000$. ტელ: 98-40-41.

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(93) 202767

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა 39-53-41 მარინა 877 495-490

იყიდება სამოთახიანი, მაღალჭერიანი კუთხის ბინა I(III). ორი სარდაფით. ავტოფარეხით, ჩაშენებული კარადებით. მოსკოვის გამზირი N39. ტელ: 71-20-07.

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

ბინები ქირა, ბირაო

ქირავდება!

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

კომერციული ფართი

იყიდება 90 კვ.მ კომერციული ფართი 200 კვ.მ. სარდაფით საბჭოს მოედანზე 27 000-ად. 77 19 40, 92 24 64 ტარიელი

მანქანები

იყიდება "ჰონდა-აკორდი" ავარიულ მდგომარეობაში. ტელ: 899 169181.

იყიდება ან იცვლება 1988 წლის მერსედეს 190 ნივა-ტაიგაზე 1998 ზემოთ გამოშვებულზე. ფასი: 2900$. 23-39-69

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 ნლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814, 8(24) 1798 95

სწავლება

ვასწავლი კომპიუტერს გამოძახებით. WINDOWS, OFFICE, Internet და სხვა. 1 სთ. - 5 ლარი. ტელ: 79-83-17; 893 342709.

მოვამზადებ გერმანულში მოსწავლეებს შეღავათიან ფასად. 8 გაკვეთილი 20-25$. ტელ: 39-22-71 სოფო.

შეგასწავლით საოფისე პროგრამებს საფუძვლიანად. სწავლება ინდივიდუალურად. ტელ: 39-22-71.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

სხვადასხვა

იყიდება Pentium IV 1800 Mhz, HDD 30GB, RAM –256MB, Mother board Asestek B533-VM. KEY, Mause, Spk. ფასი 650$. ტელ: 79-83-17, 893 342709.

საწრაფოდ იყიდება სამშენებლო სინკარები ზომით 6,0X1,5მ 14 ცალი, ერთი ცალის ფასი 90 ლარი, სინკარები აწყვია დიღმის მასივში. ტელ: 52-78-20, ზურა, მანანა.

სრული კომპიუტერული მომსახურება. პროგრამული გამართვა, სავიზიტო ბარათები, ვებ-დიზაინი და სხვა. ტ: 79-83-17, 893 34-27-09.

ჰომეოპათი-ნევროპათოლოგი მკურნალობს ნევროზს, შიშს, შაკიკს. თევდორე მღვდლის 11. საგზაო პოლიკლინიკა, 23-ე კაბინეტი. 13.00-15.00. 39 47 28

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 53 55, 8(93) 39 82 84

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

საუკეთესო საჩუქარი საყვარელი ქალისათვის. 62 59 09 ნანა.

გთავაზობთ ნიგნების, ჟურნალების, ბროშურების აკრეფვა-დაკაბადონებას, გაფორმებას, სავიზიტო ბარათების, ბლანკების დამზადებას, სხვადასხვა პოლიგრაფიულ მომსახურეობას.
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908.
Tel/Fax: 25-35-48, 23-53-69

შეგასწავლით!
კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.
ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

სადილი ყველას

შაბათს, 7 დეკემბერს "კათარზისში" კვლავ ღია კარის დღეა, ანუ ნებისმიერ მსურველს შეუძლია 12-დან 17 საათამდე მოვიდეს სათნოების სახლში და აქ, ადგილზე მიირთვას ცხელი გემრიელი სადილი.
დარეკეთ 11-დან 17-საათამდე 95-16-46.
დავით აღმაშენებლის 121.

თბილისის სახელმწიფო აკადემიის პიტოთერაპიული კლინიკა მკურნალობს:

1. ქოლეცისტიტი - მწვავე, ქრონიკული (ნაღვლის ბუშტის გამორეცხვა ზონდირების გარეშე, ჩირქი, მარილები, ბილიარული სიმკვრივე);
2. ფილტვების გასუფთავება ლორწოსაგან აქტიურ და პასიურ მწეველებში;
3. თირკმელებში ცილა, სილა, კენჭი, ჩირქი;
4. მაგნიტური ტალღების და კომპიუტერული სისტემების უარყოფითი გავლენის მოხსნა.

ტელ: 25-31-83, მაია
მის: მე-9 საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა, I სართული

ისრაელის მთავრობის სტიპენდიები 2003-2004 სასწავლო წლისათვის

ისრაელის მთავრობა აცხადებს სტიპენდიებს საქართველოს მოქალაქეებისათვის ისრაელის უნივერსიტეტებში სასწავლებლად 2003-2004 აკადემიური წლებისათვის.

სწავლების სფეროები:
სწავლების სფეროებში შეზღუდვა არ არის, თუმცა უპირატესობა მიენიჭება სოციალურ და ჰუმანიტარულ სფეროებს.

სტიპენდიის სახეობები:
ერთი აკადემიური წელი;
საზაფხულო კურსი;
ძულპანი" - ივრითის საზაფხულო კურსი;

საბუთების მიღების საბოლოო ვადაა 2002 წლის 10 დეკემბერი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:
ისრაელის საელჩო საქართველოში, აღმაშენებლის 61. ტელ:94 24 58; 95 52 09.

აფიშა

თეატრები

რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთველის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

თეატრალური სარდაფი
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო"
"კარმენი", რეჟ. თენგიზ კოშკაძე; მთავარ როლში, მარინა ჭანიშია
დას: 17:00 სთ; ფასი 3 ლარი
პანტომიმის თეატრი
"დუმილის პოეზია", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3,5 ლარი

საგამოფენო დარბაზები

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

TMIS
ქეთი იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

"ქარვასლა"
გიორგი მასხარაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
ანტონ ბალანჩივაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

ძველი გალერეა
გოგა ჭაფარიძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

გალერეა "ჰობი"
"ტროპიზმი-4", ბესო ქართველიშვილის, ლაშა წიწიკაშვილისა და გიგა ხუტაშურის ნამუშევრების გამოფენა
ქართველ მხატვართა ნამუშევრების ჯგუფური გამოფენა "ჩვენი პალიტრა"

კინოთეატრები

ამირანი
"წითელი ურჩხული", რეჟ. ბრედ რატნერი
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ, ფასი 5-8 ლარი
"მობრძანდით კოლინვუდში", პროდიუსერები: სტივენ სოდერბერგი, ჯორჯ კლუნი; რეჟ. ჯოზეფ რუსო
დას: 16:00 სთ; 18:00 ფასი 5,6 ლარი

"რუსთაველი"
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51", რეჟ. ბონი იუ
დას: 17:00; 21:30 სთ. ფასი 5,7 ლარი

"ელისო"
"ფორმულა 51",რეჟ. ბონი იუ
დას: 15:00; 19:00 სთ, ფასი 5 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 17:00 სთ; ფასი 5 ლარი

"ნოვა"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

TV პროგრამა 3 დეკემბერი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 სერიალი "ტალღის ძიმზე"
19.35 პერეკროსტოკი
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
00.20 მხ. ფილმი "როლერგოლი" მთ. როლებში ჭან რენო, კრის კლეინი
02.30 კლასიკა.

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 დრო და ფული
09.55 მხ. ფილმი "კაცია და გუნება"
11.45 დოკ. სერიალი "კონტაქტი"
12.00, 15.00, 20.00 მოამგე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი "იდუმალი მგზავრი"
16.55 ტელესერიალი "ძილის წინ"
17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" - "კანადა ონტარიო"
17.40 დოკ. სერიალი "ყველანი ორგიტაზე"
18.00 ვესტნიკი
18.20 გასტი-გუბუ
18.40 "და არს მუსიკა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმლერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 "ჩვენი ფეხბურთი"
23.00 "დღის გოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "ფარატიევის ფანტაზიები"

პირველი სტერეო

08.00 "ტოროლა"
08.20 "კვირის საუკეთესო ლექსები" განმეორებით
11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
11.45 - 13.45 აუზის გარეშე
13.45 მუსიკა
17.00 "კომედია" მხ.ფ. "უკაიკოდ გევერლი-ჰილზში"
19.00 "აპარატი" განმეორებით
19.30 ვიდეორადიო
21.00 "ქართული მუს. ათეული" განმეორებით
21.45 აბა გამოიცანი კინოოზანა
22.45 მოკლე სეანსი
23.00 სველი ხაზი
00.00 "გრავო" მხ.ფ. "მექსიკელი"
01.45 "ღამურა" მხ.ფ. "რაატორი"
03.45 აუზის გარეშე

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამგე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამბები ჩვენზე
21.00 დოკ. ფილმი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "ძალბატონის ვიზიტი"

ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.20 მულტფილმი
12.00, 21.00 სალონი
14.00, 15.00 მუსიკალური აუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 სტუდია "ეკონომისტი"
00.00 მხ.ფ. "აირისი"

იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.30 გურთი და მოედანი
09.05 მხ. ფილმი "აცტეკთა მზე"
10.25 დოკ. სერიალი
10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, მუსიკა
10.50 მხ.ფ. "დამხრჩვალთა ათვლა"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "რობორ გავხდე პრინცესა"
22.30 ძველი კინო "ერთი სიყვარულის ქრონიკა"
00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ჯორჯ ფიცჯერალდ კენედი"
15.00 მხ. ფილმი "სარკეს ორი მხარე აქვს"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "ლამაზმანი ჯო"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "სათამაშო"
22.30 მხ. ფილმი "შერბურგული ქოლგები"

მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ძარი"
10.45, 11.50, 20.50, 21.45, 23.50 მუსიკა
11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება"
12.00 გადაცემა "მსოფლიო რაბები"
12.30 მულტფილმი "ტარზანი მაიმუნთა მბრძანებელი"
13.30 მხ. ფილმი "ძურდად დაბადებული"
15.05 დოკ. ფილმი "ცეკვა საშიშ მიწაზე"
16.30 დოკ. ფილმი "ველური გუნება"
17.40 მხ. სერიალი "ზურგის ძარი"
18.30 მულტფილმი "მეფის ასული შახრაზადი"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება"
20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" მე-13 სერია
21.00 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა"
21.30 "მსოფლიო კულტურის საბანქური". "გათი მალალი საზოგადოების ცხელი წყარო".
22.00 მხ.ფ. "იაკუძას ძმა"
00.00 მხ.ფ. "მაილოს დაბადება"

აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 1 სერია
10.20 სათავგადასავლო ფილმი "ბებერი გოგი"
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.10 ისტორიული ფილმი "რანი"
14.45 კომედია "გამოუსწორებელი მატყუარა"
16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.20 მულტფილმი "გემბი"
17.30 ფილმი-კატასტროფა "შტორმი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.20 კომედია "ის,ვინც შეყვარებულია"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება"
01.10 მხატვრული ფილმი "ზაფხულის ხალხი"
03.30 მხატვრული ფილმი "ვინა ვარ?"

VII არხი

09.30 "აჩიკუდა"
09.55 "გეღნიერი ერი"
10.00 "სახლიდან გაუსვლელად"
10.25 "ავტოტრეკინგი"
11.10 სპორტული პრომგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
11.45 "სახლიდან გაუსვლელად"
12.25 ანიმაცია
12.50 "სახლიდან გაუსვლელად"
13.20 "გიორითმი" - მადონა
13.40 დისნეი და მისი მეგობრები
14.00 "სახლიდან გაუსვლელად"
14.25 სპორტი
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.30 მელოდია
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.05 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.15 სპორტული პრომგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.00 "ღამის კაპარიზი" - თემა: მავნე ჩვევა
21.50 მოკლედ... სპორტი
22.00 "სახლიდან გაუსვლელად"
22.35 "კინოკლუბი" - "რაზმი".
00.20 "სახლიდან გაუსვლელად"
00.55 "გიორითმი" - მადონა

ОРТ

07.00 "Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.05 Независимое расследование
11.50 "Ералаш"
12.05, 16.15, 00.30 "Фабрика звезд"
12.35 Дисней-клуб: "Переменка"
13.15 Детектив "ПОДХОДЯЩИЕ УЛИКИ"
14.45 "Ералаш"
15.00 Жди меня
16.50 Сериал "Знатоки"."ПУД ЗОЛОТА", 1 с.
18.00 "Большая стирка"
19.25 "Кумиры". Клара Румянова
20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
20.55 "Последний герой 2". "Бумеранг"
22.00 Время
22.40 Сериал "Знатоки". "ПУД ЗОЛОТА", 2 с.
23.45 "Лубянка". "Гений разведки". Фильм 2
01.00 Ночное "Время"
01.20 Телеканал "Новый день". "Жестокие боги Вуду"
01.50 "Апология"
02.20 "Идолы". Пол Ньюмен
02.50 "Апология"

РТР

06.45 "Доброе утро, Россия!"
09.45 Сериал "МУЖСКАЯ РАБОТА 2"
10.40 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ"
11.45, 18.20, 00.30 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 "Цена успеха"
13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС"
14.10 "Экспертиза"
14.30 "Колоссальное хозяйство"
14.45, 19.20, 21.35 Вести-Москва
15.20 "Что хочет женщина"
16.20 Худ.фильм "ГАРДЕМАРИНЫ, ВПЕРЕД!"
18.50 "Дорожный патруль"
19.05 Вести-Спорт
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 "Спокойной ночи, малыши!"
21.55 Сериал "МУЖСКАЯ РАБОТА 2"
22.50 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ" 00.00 "Вести +"
00.45 Худ.фильм "ХОЛОДНОЕ СЕРДЦЕ"
02.30 "Дорожный патруль"
02.40 "Горячая десятка"



ფეხბურთი

"სოსიედადი" ვერც "ბარსელონამ" შეაჩერა

გაკოტრებული "ლაციო" სერია A-ს ლიდერია

აკა ტონია

ესპანეთი, XII ტური

30 ნოემბერი:

ოსასუნა - ატლეტიკო	1:0

1 დეკემბერი:

ალავესი - ვალენსია	0:0
ესპანიოლი - რაიო ვალეკანო	3:1
სანტანდერი - მალაგა	1:0
ბეტისი - ბილბაო	1:0
ვალიადოლიდი - სელტა	0:2
ვილიარეალი - რეკრეატივო	1:0
სოსიედადი - ბარსელონა	2:1
დეპორტივო - მაიორკა	2:2

ესპანეთის ახლანდელმა ჩემპიონმა "ვალენსიამ" ვიტორიაში, ადგილობრივ "ალავესთან" ფრედ ითამაშა (0:0) და მნიშვნელოვანი 2 ქულა დაკარგა. მაგრამ კიდევ უფრო დიდი პრობლემაა ვალენსიელთა მეკარის, სანტიაგო კანისარესის მძიმე ტრავმა, რომელიც მან მატჩის მე-19 წუთზე მიიღო, როდესაც მას ალავესელი ხორდი კროიფი დაეჯახა. კანისარესი მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. ეს იყო ერთადერთი დასამახსოვრებელი მომენტი, რაც ამ უსახურმა მატჩმა შემოგვთავაზა.

ტურის ცენტრალური მატჩი კვირას, სან-სებასტიანში გაიმართა. ესპანეთის ჩემპიონატის მოულოდნელმა ლიდერმა "რეალ სოსიედადმა" კატალონიურ "ბარსელონას" უმასპინძლა. მთელი საფეხბურთო სამყარო დარწმუნებულია, რომ "სოსიედადის" ჰეგემონია მალე დამთავრდება და მას თავის ადგილს მიუჩენენ, მაგრამ... სანსებასტიანელები აქამდე ვერც "რეალმა" და ვერც "დეპორტივომ" ვერ შეაჩერა. მისი შეჩერება ვერც "ბარსელონამ" შეძლო. კატალონიელები დამარცხდნენ - 1:2. მართალია, კლუივერტის 33-ე წუთზე გატანილი გოლით ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ იუგოსლავიელმა დარკო კოვაჩევიჩმა "ბარსას" 2 ბურთი გაუტანა (40` და 53` წუთებზე) და "სოსიედადის" პირველი ადგილი კიდევ უფრო გაამყარა.

უკანასკნელ ტურში არ უთამაშიათ "სევილიას" და მადრიდის "რეალს". იმის გამო, რომ "რეალი" ტოკიოში, საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში იღებს მონაწილეობას, მათი მატჩი გადაიდო.

იტალია, XII ტური

30 ნოემბერი:

კომო - უდინეზე	(გადაიდო)
რეჯინა - კიევო	1:1

1 დეკემბერი:

ატალანტა - პერუჯა	0:2
ბოლონია - მოდენა	3:0
ემპოლი - მილანი	1:1
ინტერი - ბრეშა	4:0
პიაჩენცა - ლაციო	2:3
ტორინო - პარმა	0:4
რომა - იუვენტუსი	2:2

"სოსიედადის" ფეხბურთელები "ბარსელონას" კარში გატანილ გოლს აღნიშნავენ

REUTERS

ყველას უკვირს, თუ როგორ ახერხებს ამას "ლაციო": კლუბი უმძიმეს ფინანსურ კრიზისს განიცდის, სეზონის დაწყების შემდეგ მოთამაშეებს ხელფასი არ აუღიათ და ამ გუნდს, უკვე 16 თამაშია, (სერია A და UEFA-ს თასი) რაც არ წაუგია. კვირას რომაელებმა პიაჩენცაშიც მოიგეს და იტალიის ჩემპიონატის ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ.

თუმცა, ეს გამარჯვება უკანასკნელ წუთამდე ბეწვზე ეკიდა: უკვე 26-ე წუთზე მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ. შემდეგ კი, ძლიერი ნისლის გამო, მატჩს შეწყვეტაც ემუქრებოდა. მაგრამ სიმეონესა და ლოპესის მიერ გატანილ ბურთებს, მატჩის 90-ე წუთზე კიდევ ერთი დაუმატა კორადიმ და "ლაციომ" 2:3 მოიგო.

ამ გამარჯვებით რომაელებმა ორივე მილანურ კლუბს ("მილანს" და "ინტერს") გადაასწრეს. "ინტერმა" "ბრეშას" უმასპინძლა და 4:0 მოუგო. კუპერის თავდასხმა ბრწყინვალე ფორმაშია: ერნან კრესპოს, ძირითადად, ჩემპიონთა ლიგის მატჩებში გაქვს გოლები (9 ბურთით საუკეთესო ბომბარდირია), ვიერის კი - სერია A-ში. პიაჩენცაში გატანილი ოთხივე ბურთი ვიერის ანგარიშზეა.

ვერ მოიგო "მილანმა". კარლო ანჩელოტი ემპოლის ტრავმირებული კალაძისა და რივალდოს გარეშე ესტუმრა და 1:1-ს დასჯერდა. როჩის გოლის წყალობით (42` წუთზე) ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისში კი ანდრეი შევჩენკომ წონასწორობა აღადგინა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო იტალიის ჩემპიონატის პირველი მატჩი, რომელშიც ინძაგი და შევჩენკო ერთად გამოვიდნენ მოედანზე, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ დუეტმა მაინცდამაინც ვერ გაამართლა.

ინგლისი, XIV ტური

30 ნოემბერი:

არსენალი - ასტონ ვილა	3:1
ბირმინგემი - ტოტენჰემი	1:1
ბლექბერნი - ფულემი	2:1
ჩელსი - სანდერლენდი	3:0
მანჩესტერ სიტი - ბოლტონი	2:0
ვესტ ბრომვიჩი - მიდლსბრო	1:0

1 დეკემბერი:

ლივერპული - მანჩესტერი	1:2
ნიუკასლი - ევერტონი	2:1
ლიდსი - ჩარლტონი	1:2

ინგლისის უკანასკნელი ტური იღბლიანი გამოდგა ლონდონის "არსენალისთვის". არსენ ვენგერის გუნდმა ბირმინგემის "ასტონ ვილას" უმასპინძლა და 3:1 მოუგო. ლონდონელებმა კიდევ უფრო გაიმყარეს ლიდერის პოზიციები, რაშიც მათ უშუალო კონკურენტი "ლივერპულიც" დაეხმარა.

ტურის ცენტრალური მატჩი ლივერპულში შედგა. ჟერარ ულიეს გუნდმა "მანჩესტერს" უმასპინძლა და დამარცხდა. ეს მოსალოდნელიც იყო: მაშინ, როდესაც "ლივერპულს" ამ ბოლო დროს დაღლა დაეტყო, ფერგიუსონის ბიჭებმა წინა ტურში "ნიუკასლი" გაანადგურეს და წარმატების გზას დაუბრუნდნენ. ყოველივე ეს კვირის მატჩშიც გამოჩნდა. "ლივერპულის" დამარცხებაში დიდი წვლილი მიუძღვის მათივე მეკარე დუდეკს, რომლის კისერზე ორივე გაშვებული ბურთია. საპირისპირო შეიძლება ითქვას მის მანჩესტერელ კოლეგაზე - ფაბიენ ბარტეზი ამ მატჩში ბრწყინავდა. "იუნაიტედმა" 29 ქულით მე-4 ადგილზე გადაინაცვლა და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში გამარჯვების რეალური შანსი აქვს. მეორე ადგილზე მყოფი "ლივერპული" კი "არსენალს" 4 ქულით ჩამორჩება.

გერმანია, XV ტური

30 ნოემბერი:

ლევერკუზენი - ჰამბურგი	2:3
ბაიერნი - ჰერტა	2:0
ბოხუმი - არმინია	0:3
კოტბუსი - მიუნხენ 1860	3:4
ჰანზა - მიონხენგლადბახი	3:1
კაიზერსლაუტ. - ვოლფსბურგი	2:0
ნიურნბერგი - დორტმუნდი	1:2

1 დეკემბერი:

ჰანოვერი - შალკე	0:2
ვერდერი - შტუტგარტი	3:1

25 წელიწადზე მეტია, რაც "ჰერტას" მიუნხენში არ მოუგია - გასულ შაბათს ეს ტრადიცია კვლავ გაგრძელდა. გერმანიის ჩემპიონატის ერთ-პიროვნულმა ლიდერმა, "ბაირნმა", ბერლინელებს უმასპინძლა და დიდი ძალისხმევის გარეშე დაამარცხა - 2:0. "ჰერტა" მთელი მატჩის მანძილზე უსუსურად გამოიყურებოდა, "უსიამოვნო ტრადიციის" დასარღვევად თითქმის არაფერს აკეთებდა. ასეა თუ ისე, "ბაიერნის" აქტივში მორიგი 3 ქულა ჩაიწერა. სულ მიუნხენელებს 35 ქულა აქვთ.

ალბათ, აღარავის ჰგონია, რომ "ბაიერნი" წლევანდელი ბუნდესლიგის ლიდერობას დაკარგავს. აქ უფრო საინტერესოა ბრძოლა მეორე ადგილისთვის. გასულმა კვირამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ლიდერის უმთავრესი კონკურენტი დორტმუნდის "ბორუსია" კი არა, ბრემენის "ვერდერია". ამ უკანასკნელმა თავისი მორიგი მატჩი მოიგო "შტუტგარტთან" (3:2) და მეორე ადგილი შეინარჩუნა. ნიურნბერგში, გასვლით შეხვედრაში, გაიმარჯვა "დორტმუნდმაც", მიუხედავად იმისა, რომ მსაჯმა მარკუს მერკმა მათიას ზამერი ტრიბუნებზე გაისტუმრა და "ბორუსია" მწვრთნელის გარეშე დატოვა.

ერთ-ერთი მთავარი მოვლენა, ალბათ, "კაიზერსლაუტერნის" გამარჯვებაა. ერიკ გერეტსის გუნდმა "ვოლფსბურგს" უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა. როგორც იქნა, გამარჯვებას მოესწრო "კაიზერსლაუტერნის" გულშემატკივარიც, რასაც ის ნამდვილად იმსახურებდა. თავიანთ გუნდს ჰფალცელებმა არნახული თანადგომა უჩვენეს. იმ დღეს კაიზერსლაუტერნში ნამდვილი ზეიმი იყო, რასაც ვერ ვიტყვით ლევერკუზენზე - აქ სრულიად საპირისპირო ვითარება სუფევდა. "ბაიერმა" კვლავ წააგო, ამჯერად - "ჰამბურგთან" (2:3). კლაუს ტოპმიოლერის გუნდი მე-13 საფეხურზეა და ელვის სისწრაფით უახლოვდება "გასავარდნ" ზონას.

ესპანეთი

	მ	მ	ფ	წ	ხ.ბ.	ქ
სოსიედადი	12	7	5	0	23:14	26
ბეთისი	12	7	2	3	19:15	23
ვალენსია	12	6	4	2	20:7	22
სელტა	12	6	3	3	15:8	21
ბარსელონა	12	5	5	2	20:12	20
დეპორტივო	12	5	4	3	17:16	19
რეალი	11	4	5	1	17:10	18
ატლეტიკო	12	4	6	2	18:13	18
ალავესი	12	4	5	3	17:17	17
ვალიადოლიდი	12	4	4	4	18:15	16
ბილბაო	12	4	3	5	18:23	15
ვილიარეალი	12	3	5	4	12:12	14
სანტანდერი	12	4	2	6	12:13	14
ვალიადოლიდი	12	4	2	6	11:18	14
ატლეტიკო	12	3	4	5	14:21	13
ოსასუნა	12	3	3	6	12:18	12
სევილია	11	2	5	4	8:10	11
ესპანიოლი	12	3	1	8	12:21	10
რაიო ვალეკანო	12	2	3	7	14:22	9
რეკრეატივო	12	2	2	8	9:23	8

იტალია

	მ	მ	ფ	წ	ხ.ბ.	ქ
ლაციო	12	8	3	1	25:10	27
მილანი	12	8	2	2	27:9	26
ინტერი	12	8	2	2	25:12	26
იუვენტუსი	12	7	5	0	21:6	26
კიევო	12	7	1	4	21:13	22
ბოლონია	12	6	4	2	18:9	22
პარმა	12	5	4	3	22:14	19
მოდენა	12	5	0	8	11:19	15
რომა	12	4	5	3	23:21	17
ემპოლი	12	5	2	5	19:17	17
პერუჯა	12	5	2	5	17:19	17
უდინეზე	11	4	3	4	9:12	15
პიაჩენცა	12	3	2	7	11:17	11
ბრეშა	12	2	3	7	14:25	9
ატალანტა	12	2	2	8	11:23	8
რეჯინა	12	1	4	7	10:21	7
ტორინო	12	2	0	10	8:28	6
კომო	11	0	4	7	6:19	4

ინგლისი

	მ	მ	ფ	წ	ხ.ბ.	ქ
არსენალი	16	11	2	3	36:17	35
ლივერპული	16	8	4	3	27:15	31
ჩელსი	16	8	6	2	26:13	30
მანჩესტერი	16	8	5	3	25:17	29
ევერტონი	16	9	2	5	19:17	29
ნიუკასლი	15	8	1	6	25:23	25
მიდლსბრო	16	7	3	6	19:13	24
ტოტენჰემი	16	7	3	6	20:22	24
ფულემი	16	6	3	7	22:19	21
სანდერლენდი	15	5	5	5	17:17	20
ბირმინგემი	16	5	5	6	18:19	20
ჩარლტონი	16	6	2	8	18:20	20
მანჩესტერ სიტი	16	6	2	8	17:23	20
ფულემი	16	5	4	7	21:22	19
ასტონ ვილა	16	5	4	7	15:16	19
ლიდსი	16	5	2	9	20:24	17
ვესტ ბრომვიჩი	16	4	3	9	11:22	15
სანდერლენდი	15	3	4	8	17:27	13
ვესტ ჰემი	15	3	3	9	15:25	12

გერმანია

	მ	მ	ფ	წ	ხ.ბ.	ქ
ბაიერნი	15	11	2	2	33:14	35
ვერდერი	15	9	2	4	31:20	29
დორტმუნდი	15	7	6	2	21:12	27
მილანი	15	7	5	3	20:13	26
შტუტგარტი	15	6	6	3	25:18	24
მიუნხენ 1860	15	7	3	5	24:20	24
ჰამბურგი	15	7	2	6	20:22	23
ჰერტა	15	6	4	5	16:15	22
ვოლფსბურგი	15	7	1	7	17:10	22
ბოხუმი	15	6	3	6	25:25	21
ჰანზა	15	5	4	6	20:17	19
არმინია	15	5	3	7	18:24	18
ლევერკუზენი	15	4	5	6	21:25	17
ნიურნბერგი	15	5	2	8	19:25	17
მონხენგლადბახი	15	4	4	7	19:17	16
ჰანოვერი	15	4	3	8	22:32	15
კაიზერსლაუტერნი	15	2	4	9	14:24	10
კოტბუსი	15	2	3	10	11:32	9

"რეალი" ფავორიტია, "ოლიმპია" გამარჯვებაზე ოცნებობს

დღეს იოკოჰამაში შედგება საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება. პლანეტის უძლიერესი გუნდის წოდების მოსაპოვებლად ერთმანეთს შეხვდებიან ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მადრიდის "რეალი" და ლიბერტადორესის თასის მფლობელი ასუნსიონის "ოლიმპია" (პარაგვაი).

აკა ტონია

ეს პირველი შემთხვევაა, როცა საკონტინენტთაშორისო, ანუ TOYOTA-ს თასის გათამაშდება არა ტოკიოში, არამედ იოკოჰამაში, იმ სტადიონზე, სადაც 5 თვის წინათ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი შედგა.

პრეზიდენტი კონკრეტულად საუბრობდა: "ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიგოთ საკონტინენტთაშორისო თასი. ეს პრესტიჟის საქმეა. კლუბის საიუბილეო წელი, ჩემპიონთა ლიგის მოგებასთან ერთად, ამ თასის აღებითაც უნდა დავასრულოთ". თუ "რეალის" ფეხბურთელებმა ფლორენტინო პერესის მოთხოვნა შეასრულეს, ეს იქნება რიგით მესამე საკონტინენტთაშორისო თასი კლუბის ისტორიაში (1960 და 1998 წლების შემდეგ).

დელ ბოსკემ იაპონიაში გუნდის მთელი შემადგენლობა ჩაიყვანა. ხუთშაბათს, როცა "რეალი" ტოკიოში მიფრინავდა, Airbus 340-ის სალონში, კლუბის ორი ექიმი, ერთდროულად, გრიპით დაავადებულ 9 ფეხბურთელს მკურნალობდა. აღსანიშნავია, რომ ცხრავე ფეხბურთელმა უკვე ივარჯიშა გუნდთან ერთად და დღევანდელ მატჩშიც მიიღებენ მონაწილეობას. ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ მაკელელე, გუტი და რაულ ბრავო. სამაგიეროდ, ტრავმა მოირჩინა ფერნანდო იერომ, რომელიც ასევე გამოვა მოედანზე.



კარლოსი და ზიდანი უკანასკნელი ვარჯიშისას იოკოჰამაში

REUTERS

მცველი რობერტო კარლოსი "რეალის" გამარჯვებაში დარწმუნებულია, თუმცა, მეტოქის სიძლიერესაც აღნიშნავს: "მეტოქის ძალა სათანადოდ უნდა შევაფასოთ. ტავარელი შესანიშნავი მეკარეა. ბენიტესის სახით კი "ოლიმპიას" უაღრესად გამოცდილი მოთამაშე ჰყავს. გუნდის უძლიერესი რგოლი დაცვაა", - ამბობს კარლოსი, თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ "რეალი" ბევრ გოლს გაიტანს და დიდი ანგარიშით მოიგებს.

ისევე როგორც "რეალი", წლეულს "ოლიმპიაც" თავის 100 წლის იუბილეს ზეიმობს. ლიბერტადორესის თასის მოგებით, ეს თარიღი სანახევროდ უკვე აღინიშნა. ახლა მათ საკონტინენტთაშორისო თასის აღებაც სურთ. "ჩვენ აუტსაიდერები ვართ. ეს ცხადია, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება. შესაძლოა, "რეალმა" სათანადოდ არც შეაფასოს ჩვენი სიძლიერე და ამის გამო დაისაჯოს", - ამბობს "ოლიმპიას" არგენტინელი მწვრთნელი ნერი პუმპიდო.

მიმდინარე სეზონში "ოლიმპია" ნაკლები წარმატებით ასპარეზობს საკუთარ ჩემპიონატში. ხშირად გაისმის კრიტიკა იმის გამო, რომ ფეხბურთელები დიდ დროს ატარებენ დისკოთეკებზე. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონ პუმპიდოს საბრძოლო განწყობა აქვს: "ამ მატჩისთვის თვეების მანძილზე ვემზადებოდით. "რეალი" უნდა დავამარცხოთ".

საკონტინენტთაშორისო თასის უკანასკნელი 20 წლის გამარჯვებულები:

1982: პენიაროლი (ურუგვაი)
1983: გრემიო (ბრაზილია)
1984: ინდეპენდიენტე (არგენტინა)
1985: იუვენტუსი (იტალია)
1986: რივერ პლეიტი (არგენტინა)
1987: პორტო (პორტუგალია)
1988: ნასიონალი (ურუგვაი)
1989: მილანი (იტალია)
1990: მილანი (იტალია)
1991: ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
1992: სან პაულუ (ბრაზილია)
1993: სან პაულუ (ბრაზილია)
1994: ველესი (არგენტინა)
1995: აიაქსი (ჰოლანდია)
1996: იუვენტუსი (იტალია)
1997: დორტმუნდი (გერმანია)
1998: რეალი (ესპანეთი)
1999: მანჩესტერი (ინგლისი)
2000: ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)
2001: ბაიერნი (გერმანია)

ბოგბაურთი

გი ფორჟე: "საფინმა და იუჭნიმ ფსიქოლოგიურად გვაჯობეს"

ბორის ელცინი რუსეთის გუნდს გამარჯვებას ულოცავს

REUTERS

დევისის თასის ფინალის დასრულების შემდეგ მატჩის მონაწილეებმა ემოციური კომენტარები გააკეთეს. ფრანგები გაოცებას გამოხატავდნენ, რუსები კი - უსაზღვრო სიხარულს.

"ვცდილობდი, მეჩვენებინა საუკეთესო თამაში, როგორიც კი ოდესმე მიჩვენებია, - განაცხადა მიხაილ იუჟნიმ, - მაგრამ პირველ ორ სეტში ჩემი თამაში არ იყო ისეთი, როგორიც მინდოდა. ნამდვილი ბედნიერება განვიცადე პოლ-ანრი მატიესთან შეხვედრის შემდეგ".

"კაცმა რომ თქვას, ჩვენ ნაკრებებს შორის მსოფლიო ჩემპიონები გავხდით. სწორედ ამით განსხვავდება დევისის თასის მოგება ამერიკის ღია ჩემპიონატში ჩემი გამარჯვებისგან (2000 წელს), - აღნიშნა საფინმა, - ბუნებრივია, ამ მომენტით ვტკბები. მით უფრო, რომ მიმდინარე კვირაში აბსოლუტურად თავისუფალი ვარ".

"მინდა, წარმატება მთელ გუნდს მივულოცო. ეს ყველამ დაიმსახურა, - განაგრძო ევგენი კაფელნიკოვმა, - ჩვენი კაპიტანი შამილ ტარპიშჩევი კი, უბრალოდ, ბრწყინვალე იყო. ყოველ წუთს გვამხნევებდა. ამისთვის მისი დიდად მადლობელი ვარ".

ფრანგების კომენტარის ლაიტმოტივი იყო გაოცება, რაც მიხაილ იუჟნის საოცარმა თამაშმა გამოიწვია. "რუსმა პირველი ორი სეტის შემდეგ ბევრად უკეთესი თამაში აჩვენა. მე იძულებული გავხდი, დაცვაზე გადავსულიყავი. ვფიქრობ, ამ პატარა განსხვავებამაც ითამაშა გადამწყვეტი როლი, - განაცხადა პოლ-ანრი მატიემ, - იუჟნის ასეთი თამაში ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო. მინდა, ვთქვა, რომ ის კარგი ჩოგბურთელია".

"რაც უფრო გაგრძელდა იუჟნი-მატიეს თამაში, რუსი ჩოგბურთელი უფრო უკეთესად თამაშობდა. ბოლოს კი იგი საოცრად კარგი იყო. ვფიქრობ, მან გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა შანსი", - მიიჩნევს სებასტიან გროსჟანი. ფაბრის სანტოროს თქმით კი, "შეიძლება ასეც ვთქვათ: ეს მისი დღე იყო".

საფინის თამაშთან დაკავშირებით, გროსჟანმა განაცხადა: "როცა მარატი საკუთარ თავში დარწმუნებულია, მას ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია". საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა გი ფორჟემ მოიტანა კიდევ ერთი არგუმენტი, რომელმაც, გი ფორჟეს ვარაუდით, გამარჯვების სასწორი რუსების მხარეს გადახარა.

"ვფიქრობ, საფინი და იუჟნი, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უფრო ძლიერები იყვნენ. თუ მარატისთვის ეს ბუნებრივი იყო, ახალგაზრდა იუჟნის ასეთმა მდგომარეობამ ჩვენ გაგვაოცა", - განაცხადა გი ფორჟემ. თანამემამულეთა გამოთქვამებს წერტილი დაუსვა ნიკოლა ესკუდემ: "სპორტი სპორტია - იქ წარმატებასაც აქვს ადგილი და წარუმატებლობასაც".

მოკლედ

ფეხბურთი. 2003 წელს არგენტინის ნაკრები ევროპულ ტურნეს გამართავს. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ერთ მატჩს უკრაინის ნაკრებთან გეგმავენ. სავარაუდოდ, ის მარტში, კიევში გაიმართება. მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს მიუხედავად, არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა, მარსელო ბიელსამ, მწვრთნელის რანგში თავისი მეორე ციკლი 20 ნოემბერს იაპონიაში მოგებით დაიწყო. ბიელსამ უკვე დაგეგმა ტურნე ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში. მას არგენტინელები თებერვალში გამართავენ და ამხანაგურ მატჩებში შეხვდებიან ჰონდურასის, მექსიკისა და აშშ-ის გუნდებს. შემდეგ ამსტერდამში ჰოლანდიის გუნდს ეთამაშებიან, მარტში უკრაინის, ხოლო აპრილში, ტრიპოლიში, ლიბიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

■ ■ ■

ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონი მეთხუთმეტედ გახდა "ინდეპენდიენტე", რომელმაც კვირას, ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში, "სან-ლორენცო" დაამარცხა - 3:0. მეორე ადგილზე გავიდა "ბოკა ხუნიორსი". დიეგო მარადონას ყოფილი კლუბი ჩემპიონს სამი ქულით ჩამორჩა. "წითლებმა", როგორც მას არგენტინაში უწოდებენ, გატანილი და მიღებული ბურთების რაოდენობითაც პირველობა მოიპოვეს (45:19).

ამრიგად, "ინდეპენდიენტემ" საშემოდგომო ჩემპიონატი მოიგო. საგაზაფხულო პირველობა თებერვალ-მარტში დაიწყება.

"ინდეპენდიენტე" ქვეყნის ჩემპიონი პირველად 1922 წელს გახდა, უკანასკნელად კი - 1994 წელს. კლუბი ლიბერტადორესის 7-გზის და საკონტინენტთაშორისო თასის 2-გზის გამარჯვებულია.

■ ■ ■

ფეხბურთი. მადრიდის "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა უარი განაცხადა საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელის კლოდ მაკელელესთვის ხელფასის გაზრდაზე. შეგახსენებთ, რომ ფრანგი დათანხმდა ახალი კონტრაქტის პირობებზე, რომელიც ხელფასის გაზრდასაც ითვალისწინებდა, მაგრამ მაკელელე ძველებურად ახირდა და კლუბთან შეთანხმების გაუმჯობესება მოითხოვა.

ფეხბურთელის აგენტებმა მარკ როჟემ და სანტოს მარკესმა სამეფო კლუბის ხელმძღვანელობასთან უკვე გამართეს მოლაპარაკებები, მაგრამ ფლორენტინო პერესი შეუვალი იყო და "რეალი" თავისი ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვას არ აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ კლოდ მაკელელეს უაღრესად მაცდური წინადადება აქვს ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედისგან", რომელიც ფრანგ ნახევარმცველს ორჯერ მეტ ხელფასს სთავაზობს.

■ ■ ■

ფეხბურთი. სეულის სტადიონზე, სადაც მაისის ბოლოს მსოფლიო ჩემპიონატის საზეიმო გახსნით მსოფლიო ფეხბურთის უდიდესი ფორუმი დაიწყო, დღეს იაპონიასთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების პატივსაცემად მონუმენტი გაიხსნება. ამ არენაზე, სენგამის რაიონში, ჩემპიონატის პირველ მატჩში საფრანგეთის ნაკრები სენეგალის გუნდს დაუპირისპირდა.

მონუმენტზე ამოტვიფრულია ფრაზა: "კორეისა და იაპონიის რესპუბლიკის ხალხთა ნათელი მომავლის რწმენისა და მათი საუკუნო მეგობრობისთვის". ამ პროექტის განხორციელებაზე შეთანხმებას ორი ქვეყნის ლიდერებმა შარშან მიაღწიეს. მონუმენტის გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მას ამ მოვლენისთვის საგანგებოდ აგებულ "ხსოვნის დარბაზში" გადაიტანენ. ასეთივე მონუმენტი აღიმართება იაპონიის იოკოჰამას სტადიონზე, რომელზეც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართა.

■ ■ ■

ფეხბურთი. გუშინ მოსკოვის "ლოკომოტივი" გაემგზავრა ესპანეთის ქალაქ მალაგაში, სადაც მადრიდის "რეალთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრისთვის მოემზადება. რუსები ესპანეთს უძლიერესი შემადგენლობით ეწვივნენ. გუნდს შეუერთდნენ იგნაშევიჩი, პიმენოვი, მამინოვი, ობიორა და ობრადოვიჩი. "ლოკომოტივის" მწვრთნელის ვლადიმერ ეშტრეკოვის განცხადებით, კიევის "დინამოსთან" დაგეგმილი მატჩი 6 დეკემბერს გაიმართება.

■ ■ ■

ფეხბურთი. ფიფას რეგლამენტის თანახმად, მოსკოვის "სპარტაკს" უფლება აქვს, კომპენსაცია მოითხოვოს სიჩოვის მხოლოდ მომზადების გამო. ამის შესახებ განაცხადა ფიფას სამართლებრივი სტატუსის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ჯანპაოლო მონტენერიმ. ფიფას მოქმედ რეგლამენტში არსებობს მუხლი, რომლის თანახმად, ფეხბურთელის ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლის შემთხვევაში, მის ყოფილ გუნდს ფულადი კომპენსაცია მხოლოდ ფეხბურთელის მომზადებისთვის ეკუთვნის.

"სპარტაკი" გაცილებით უფრო მეტის მიღწევას გეგმავდა. კერძოდ, ის ითხოვდა 6 მილიონ დოლარს, რომელიც სიჩოვის კონტრაქტში არის ჩადებული. თუმცა 4-თვიანი დისკვალიფიკაციის ვადის დამთავრების შემდეგ სიჩოვი თავისუფალი აგენტი ხდება. ასე რომ, რჩება მხოლოდ კომპენსაცია ფეხბურთელის მომზადებისთვის, რომელიც "სპარტაკის" ხელმძღვანელობის მოთხოვნებზე გაცილებით უფრო ნაკლებია.

■ ■ ■

ფეხბურთი. ებრაელებმა, როგორც ჩანს, მოძებნეს სტადიონი, რომელზეც ეროვნული ნაკრები საშინაო მატჩებს გამართავს. ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰავრი ლევიმ შეთანხმებას მიაღწია ლონდონის "უოტფორდთან". ადრე ამ კლუბში თამაშობდნენ ებრაელი ფეხბურთელები რონი როზენტალი და ალონ ხაზანი. ახლა კი ლონდონელები ებრაელებს საერთაშორისო მატჩების ორგანიზებაში დახმარებას დაჰპირდნენ. ჰავრი ლევი ინგლისელებს შეუთანხმდა, რომ, თუ უეფა თავის გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს, მაშინ ისრაელის ნაკრები თავის საშინაო მატჩებს ჩაატარებს ლონდონის "ვიკრეჯ როუდზე", რომელიც "უოტფორდის" საკუთრებაა. ჯერჯერობით საუბარია ორ თამაშზე კვიპროსისა და საფრანგეთის გუნდებთან, რომელიც 29 მარტსა და 2 აპრილს გაიმართება. "ვიკრეჯ როუდის" სტადიონი 22 ათას მაყურებელს იტევს და სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო ნორმებს.

■ ■ ■

კრივი. მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონმა, ბრიტანელმა ლენოქს ლუისმა, მიიღო ძმების - ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოების გამოწვევა. ლუისი აპირებს 8 მარტს დაიცვას WBA-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვიტალი კლიჩკოსთან შეხვედრაში, ხოლო მაიკ ტაისონთან ბრძოლის შემდეგ, მის უმცროს ძმას, ვლადიმირსაც გაუსწორდეს.

"ჩემმა წარმომადგენლებმა უკვე მიაღწიეს შეთანხმებას ძმებ კლიჩკოებსა და მაიკ ტაისონთან შეხვედრის შესახებ. სამივე ბრძოლა შედგება იმ შემთხვევაში, თუ ვიტალისთან შეხვედრის შემდეგ სპორტულ კარიერას გავაგრძელებ", - განაცხადა ლუისმა. "რკინის მაიკის" დამარცხების შემდეგ ლუისი აპირებდა, პროფესიულ სპორტს დამშვიდობებოდა. თუმცა, ტაისონის გამოწვევამ, როგორც ჩანს, ლუისის თავმოყვარეობაზე იმოქმედა, სპორტული კარიერა გააგ

ქ 1 რესიკო ახვლედიანი ასაკი-16, 182/91/62/92, თვალი - ცისფერი, თმა - ბავი

ქ 2 სოფიკო კვეჭაძე ასაკი-13, 172/81/63/90, თვალი - ცისფერი, თმა - ნაბალნა

ქ 3 გვანცა ფოფხაძე ასაკი-15, 177/84/64/91, თვალი - ყავის, თმა - ნაბალნა

ქ 4 ნინო ოსაძე ასაკი-17, 177/91/68/93, თვალი - ცისფერი, თმა - ნაბალნა

ქ 5 ბელა ძაბანინა ასაკი-17, 178/91/68/93, თვალი - თაფლის, თმა - ღია ნაბალნა

ქ 6 თათა ქართველიშვილი ასაკი-16, 178/89/61/90, თვალი - ცისფერი, თმა - ნაბალნა

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი

საქართველოში პირველი საკონსულტაციო ფირმა კადრების მენეჯმენტში
ორგანიზაციებს სთავაზობს პრაქტიკული მომსახურეობის შემდეგ პაკეტებს:

საშუალოს აღწერა ანალიზი – თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავება; სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის (განყოფილებები, დეპარტამენტები) დებულებების დამუშავება.

პერსონალის შერჩევა - ორგანიზაციის მოთხოვნათა შესაბამისად კადრების მოძიება და შერჩევა.

ატესტაცია, შეფასება - აგტესტაციისათვის პროცედურული გეგმების დამუშავება; შესრულებული სამუშაოს პერიოდული შეფასებისათვის მეთოდების მომზადება.

ტრენინგი და განვითარება – გუნდური მუშაობის ტრენინგი; კომუნიკაციური ტრენინგი; მოლაპარაკებელთან მუშაობის ტრენინგი; სემინარები და ტრენინგები ადამიანური რესურსის მენეჯმენტში.

საკადრო სამსახურის რეორგანიზაცია - საკადრო სამსახურის აწყობა (სამსახურის დებულებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავება); ორგანიზაციაში კადრების შერჩევისა და დაკომპლექტებისაგანტესტაციის, ორგანიზაციული კვლევისა და კადრების მართვისათვის აუცილებელი სხვა მეთოდების სწავლება.

მარკეტინგული კვლევები და მრჩეველობა მრსაბრძანების შესწავლა – თვისებრივი (ფოკუს-ჯგუფები,ინტერვიუ და სხვ) და რაოდენობრივი კვლევები;

მისამართი: თბილისი 380079, ჭელიძისეულის 12;
სასტუმრო "საქართველო" V სართული,
ტელ: (995-32) 22-13-32 ფაქსი: (95-32) 22-13-23
ელ. ფოსტა: pmc@mmc.ge

Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

მიკროკრისტალურ დერმაბრაზიას "Aesthipeel"

MATTIOLLI ENGINEERING

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"[illegible]" [illegible]

"[illegible]" [illegible]

[illegible]

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

[illegible]

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად ინვიტებენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

კანდიდატების ფოტოები გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათში" 6 დღის განმავლობაში და კითხვის ღირსს ხვდება შემაჯამებელ მეორეში ექვსის გამარჯვებული ამ ნახევარფინალისტებში. შემდეგ ნახევარფინალისტებს გამოეცხადებათ გამარჯვებული "მის ფოტო მოდელი 2002". კონკურსში გამოვლინდებიან შემდეგი გოგონები:

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო სახეზარე კონკურსში

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვაკითხეთ მისამართზე ვაჟა ფშაველას 45, 82-ე სართული, მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი", ტელ: 93 69 11

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6